

ნინო ყველაიძე

ელექტრონული განცხადებების მართვის სისტემის შემუშავება და  
დანერგვა ორგანიზაციულ ეკონომიკურ სფეროში

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, 0175, საქართველო

2013 წელი

საავტორო უფლება წელი „ნინო ყველაიძე 2013 წელი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ნინო ყველაიძის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „ელექტრონული განცხადებების მართვის სისტემის შემუშავება და დანერგვა ორგანიზაციულ ეკონომიკურ სფეროში“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის ხარისხის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი -----

ხელმძღვანელი:

თინათინ კაიშაური

სრული პროფესორი

რეცენზენტი:

თამარ ლომინაძე

სრული პროფესორი

რეცენზენტი:

თეიმურაზ ბერძენიშვილი

ასოც.პროფესორი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2013 წელი

ავტორი: ნინო ყველაიძე

დასახელება: ელექტრონული განცხადებების მართვის სისტემის  
შემუშავება და დანერგვა ორგანიზაციულ ეკონომიკურ  
სფეროში

ფაკულტეტი: ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა: -----

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემოთ მოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს

---

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტირებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

## რეზიუმე

თემის აქტუალობა. დღეის მდგომარეობით აპლიკაციების 75%-ზე მეტი, რომელიც ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბიზნეს პროცესებს უწევს მხარდაჭერას ან/და საგადასახადო აღრიცხვაზე მყოფი გადასახადის გადამხდელებისა და საზოგადოებისთვის მომსახურების მისაწოდებლადაა განკუთვნილი, ვებ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ აპლიკაციებს და ვებ-სერვისებს წარმოადგენს. შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ სისტემებში რამოდენიმე სახელმწიფო სტრუქტურა, საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკი და ყველა საგადასახადო აგენტი - გადასახადის გადამხდელია ჩართული. ამ მომსახურებებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია გადამხდელთა პორტალი, განსაკუთრებით კი განცხადებების ელექტრონულად წარდგენის და პასუხების გაგზავნის სისტემის შექმნის პროექტი, რომელშიც განხორციელდა შემოსავლების სამსახურში მიმდინარე ყველა სახის მომსახურების გაწევისთვის საჭირო დოკუმენტების მიმოწერისა და დამუშავების პროცედურების სრული ავტომატიზაცია. ამ პროექტის ფარგლებში განხორციელდა 300-მდე ელექტრონული განცხადების ფორმის დანერგვა, თითოეული განცხადების ფორმის მოძრაობის პროცესის სრული ავტომატიზაციით. აღნიშნული სისტემა შედგება ორი ძირითადი კომპონენტისგან, კერძოდ განცხადებების წარდგენა/მიღების, განხილვა/დამუშავების, შესრულების კომპონენტი (სამომხმარებლო ინტერფეისი) და თვითონ ამ განცხადებების აწყობის და მართვის კომპონენტი, რომელიც ასევე თავის თავში მოიცავს სისტემის მომხმარებლების მართვას (ადმინისტრირება).

სადისერტაციო ნაშრომში განხილული იქნება განცხადებების ელექტრონულად წარდგენის, შემსრულებელთან ავტომატურად გადანაწილების, განხილვის, პასუხების გენერაციისა და გაგზავნის სისტემის შექმნის პროექტი. აღნიშნული სისტემის შექმნა არამარტო საქართველოში,

არამედ სხვა წამყვანი ქვეყნებისთვისაც სიახლეს წარმოადგენს. აღნიშნული სისტემის ავტომატიზაცია განახორციელა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრმა. სისტემის მონაწილეები არიან შემოსავლების სამსახურის საქვეუწყებო დეპარტამენტები, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, მოქალაქეები და საგადასახადო აღრიცხვაზე მყოფი კომპანიები და ორგანიზაციები. დღეს ავტომატიზებული სისტემის არსებობამ, მინიმუმამდე დაიყვანა შეცდომების რაოდენობა, გაამარტივა ყველა ის ოპერაციული ქმედებები, რაც დაკავშირებული იყო ხელით შრომის სირთულეებთან. სისტემის დანერგვამ ხელი შეუწყო სახელმწიფო სექტორში არსებული პროცესების მიმდინარეობის დაჩქარებას, ინფორმაციის რეალურ დროში მიღებას, ინფორმაციის გამჭვირვალობას, მომსახურების გაუმჯობესებას, ხარჯების შემცირებას, დოკუმენტების დამუშავებისთვის საჭირო დროის შემცირებას, ქვეყნის მასშტაბით მონაცემების მარტივად დამუშავებას, დროისა და რესურსების ეფექტურ მართვას.

სადისერტაციო ნაშრომში განხილული თემა - „ელექტრონული განცხადებების მართვის სისტემის შემუშავება და დანერგვა ორგანიზაციულ ეკონომიკურ სფეროში“, ქვეყნის ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგიის ერთერთი შემადგენელი ნაწილია, რომლის უმთავრესი მიზანია სახელმწიფო ფინანსების მართვის შემდგომი განვითარება და გაძლიერება, კერძოდ, ფისკალური დისციპლინის შენარჩუნება, საბიუჯეტო სისტემის მაკროეკონომიკური სტაბილურობა და პროგნოზირება, სტრატეგიული მიდგომით რესურსების მიმართვა სტრატეგიულად პრიორიტეტულ საკითხებზე, რესურსების მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენება, სახელმწიფო რესურსების გამოყენებაზე ანგარიშგებისა და კონტროლის უზრუნველყოფა. ელექტრონული სისტემების შემუშავება, დანერგვა, შემდგომი განვითარება ხელს უწყობს ამ სტრატეგიის და მიზნების განხორციელებას. ელექტრონული განცხადებების მართვის სისტემის დანერგვა ხელს უწყობს შემოსავლების სამსახურის საქმიანობის

ეფექტურობის გაუმჯობესებას, საგადასახადო აღრიცხვაზე მყოფი გადასახადის გადამხდელთა მომსახურების გამარტივებას, საგადასახადო-საბაჟო პროცედურების დახვეწას, საერთო სტანდარტების დანერგვას. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სადისერტაციო თემა-„ელექტრონული განცხადებების მართვის სისტემის შემუშავება და დანერგვა ორგანიზაციულ ეკონომიკურ სფეროში“, ითვლება აქტუალურად.

ნაშრომის მიზანი და ძირითადი ამოცანები. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო სექტორში, ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით, მიმდინარე პროცესების ავტომატიზაციისთვის კონცეფციის შემუშავება. პროექტის მიმდინარეობა საჭიროა წარმართოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სერვისების მართვის სფეროში თანამედროვე მეთოდოლოგიის, საუკეთესო პრაქტიკების გამოყენებით, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტს, რაც საშუალებას მოგვცემს მომხმარებლებს, კერძოდ მოქალაქეებს და გადასახადის გადამხდელებს შევთავაზოთ ხელსაყრელი სერვისები, მომხმარებლის მოთხოვნებზე მუდმივად ორიენტირებული მომსახურება, სადაც ხელმისაწვდომი იქნება, როგორც მიღწეული მიზნების და ხარისხის დონე, ისე გამოყენებული რესურსების შეფასება. ნაშრომის ძირითადი ამოცანაა აღწეროს პროექტის მიმდინარეობა, რომელმაც უნდა გაიაროს ყველა სავალდებულო ფაზა - სერვისების სასიცოცხლო ციკლი. ნაშრომში განხილულია პროექტის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე გამოყენებული მეთოდოლოგია, განხილულია ამ სისტემის ავტომატიზებული პროცესები და სისტემის შესაძლებლობები, სისტემის შესაქმნელად გამოყენებული ინსტრუმენტი.

თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. სადისერტაციო ნაშრომში მიღებული თეორიული და პრაქტიკული შედეგები გამოყენებულია ელექტრონული განცხადებების სისტემის შემუშავებისა და დანერგვის ამოცანების გადასაწყვეტად, სადაც ძირითადი აქცენტი მიმართულია სტრატეგიული ხედვის მიზნების მიღწევაზე, ეფექტურობის საკვანძო

მაჩვენებლების ანალიზზე და რესურსებზე, რომლებიც დაიხარჯა ამ მიზნების მისაღწევად.

ნაშრომის აპრობაცია. სადისერტაციო თემის ირგვლივ პროექტის ძირითადი შედეგები განხილული და წარმოდგენილი იქნა სამთავრობო შეხვედრებზე. ინტენსიურად იქნა გადასახადის გადამხდელების ინფორმირება ბუკლეტების, ვებგვერდის, ტელევიზიის მეშვეობით. ქვეყნის მასშტაბით შემოსავლების სამსახურის სერვის ცენტრებში გამართული იქნა „ღია კარის დღეები“, სადაც აღნიშნული პროექტის შესახებ გაიმართა პრეზენტაციები, კონსულტაციები, მიღებული იქნა რჩევებიც, ბევრი მათგანი შემდგომ იქნა გათვალისწინებული სისტემის განვითარების პროცესში.

პუბლიკაციები. დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებულია ხუთი სტატია და ერთი დამხმარე სახელმძღვანელო.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურისგან. ნაშრომის ძირითადი ნაწილის მოცულობა შეადგენს ნაბეჭდი ტექსტის 124 გვერდს, საერთო მოცულობა 141 გვერდს. ლიტერატურის ნუსხა შეიცავს 20 დასახელების ბიბლიოგრაფიულ წყაროს.

## Resume

Rationale. By the present status, over 70% of applications, supporting business processes of the Revenue Service of the Ministry of Finance, and/ or intended for providing service to payers and public, represent application and web-services based on web-technologies. Several governmental structures, all commercial bank operating in Georgia and all tax payers are connected to the electronic systems of the Revenue Service. One of the most important among these services is the payers' portal, especially the project of creation of the system of electronic submission of applications and sending responses, where full automation of document processing procedures occurred. About 300 forms of electronic applications were introduced in the framework of this project with complete automation of circulation process of each application form. The mentioned system consists of 2 basic components, in particular, application submission, processing, execution components and the component of compilation and management of the application itself.

The project of electronic submission of applications, their automated distribution to the executors, consideration and sending responses will be considered in the thesis work will. Creation of the mentioned system is a novelty not only for Georgia, but for other leading countries as well. Automation of the mentioned system was implemented by Informational Technologies Center of the Revenue Center of the Ministry of Finance of Georgia. The participants of the system are subordinated departments of the Revenue Service, Public Register Service, citizens and tax payers. Presently, the existence of automated system has minimized the number of errors, simplified all operational actions related to the difficulties of manual work. Introduction of the system facilitated acceleration of progress of the existing processes in governmental sector, receiving of information in real time, information transparency, improvement of service, reduction of costs, reduction of



time required for processing of documents, simple data processing throughout the country, efficient management of time and resources.

The topic, considered in the thesis work – “Development and Introduction of Electronic Application Management System in Organizational Economic Sphere” – is one of the components of finance management reform strategy of the country, main goal of which is further development and strengthening of state finance management, in particular, maintenance of fiscal discipline, macroeconomic stability and prognostication of budget system, resource management through strategic approach in strategically priority issues, as efficient use of resources as possible, ensuring of reporting and control over the use of state resources. Elaboration, introduction, further development of electronic systems facilitates implementation of this strategy and goals. Introduction of electronic applications management system facilitates improvement of efficiency of activities of the Revenue Service, simplification of rendering service to payers, perfection of tax-customs procedures, introduction of common standards, and, consequently, the thesis work “Development and Introduction of Electronic Application Management System in Organizational Economic Sphere” shall be considered actual.

*The goal and basic tasks of the work.* The goal of the work is to develop a concept for automation of processes through informational technologies in state sector. The project implementation shall be directed by using present-day methodology, best practices, conforming to international standard, which will allow offering the users, in particular, citizens and tax payers, favorable services, service, permanently oriented towards the users’ demands, where the level of the achieved objectives and quality, as well as the assessment of the used resources will be utilized. The basic task of the work is to describe the project progress, which shall go through all mandatory phases – life cycles of services. Methodologies, used on all stages of the project progress is reviewed, automated processes of this system and the capabilities of the system, the instrument used for creation of this system is considered in the work.

*Theoretical and practical value.* Theoretical and practical results, obtained in the thesis work, are used for solving the tasks of elaboration and introduction of electronic applications system, where the main focus is made on achievement of the goals of strategic vision, analysis of key indicators of efficiency and resources, spent for achievement of these goals.

*Approbation of the work.* The basic results of the project around the thesis work were reviewed and presented at governmental meetings. Notification of tax payers through booklets, web-page, TV was extensively carried out. “Doors open days” were arranged in service centers of the Revenue Service throughout the country, during which presentations, consultations were held around the project, advices were received, many of which will be taken into account in the process of elaboration of the system.

*Publications.* 5 articles and 1 manual were published on the thesis work.

*The structure and volume of the thesis work.* The thesis work consists of the introduction, five sections and the list of references. The volume of the basic part of the work makes 124 pages, total volume – 141 pages. The list of references includes bibliographical sources of 20 nominations.

## შინაარსი:

შესავალი	16გვ.
<b>I. ელექტრონული განცხადებების შემუშავების პროექტის მიმდინარეობის მეთოდოლოგია</b>	18 გვ.
1.1. ელექტრონული განცხადებების შესწავლა და კვლევა	18გვ.
1.2. პროექტის ინიცირება, გამოყენებული მეთოდოლოგია და მიმდინარეობის ფაზები	20 გვ.
1.3. პროექტის განხორციელებისთვის არჩეული ტექნოლოგიები და ინსტრუმენტები	27გვ.
1.3.1. სისტემის შემუშავებისათვის შერჩეული მონაცემთა ბაზის საერთო მიმოხილვა	27გვ.
1.3.2. ინტერნეტ აპლიკაციისათვის გამოყენებული ტექნოლოგია	35გვ.
1.3.3. აპლიკაციებისათვის გამოყენებული პროგრამირების ენა	37გვ.
<b>II. განცხადების წარდგენა რეფორმამდე (ქალაქური მატარებლით)</b>	44გვ.
2.1. რეფორმამდე განცხადებების წარდგენის პროცესი	44გვ.
2.2. რეფორმამდე განცხადებების დეტალური შესწავლა	49გვ.
<b>III. სისტემის შესაძლებლობები</b>	83გვ.
3.1. სისტემის დანიშნულება	83გვ.
3.2. სისტემის აღწერა	87გვ.
3.3. ელექტრონული განცხადებების სერვისის აღწერა	100გვ.
3.4. მენეჯერის ინტერფეისი	122გვ.
<b>IV. სისტემის მართვა, დანერგვა და მხარდაჭერა</b>	126გვ.
4.1 სისტემის მართვის საშუალებები	126გვ.
4.2 დანერგვა და მხარდაჭერა	135გვ.
დასკვნა	138გვ.
გამოყენებული ლიტერატურა	140გვ.

## ცხრილების ნუსხა

1. ცხრილი N1. ვადაგასული ან/და შემდგომი მიწოდებისათვის უვარგისი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ჩამოწერის განცხადების ფორმა -----  
----- 111გვ.
2. ცხრილი N2. 2012 წელს გადმოგზავნილი განცხადებების სტატისტიკა მარეგისტრირებელი ორგანოს მიხედვით -----122გვ.
3. ცხრილი N3. 2012 წელს გადმოგზავნილი განცხადებების სტატუსები, თვეების მიხედვით -----123გვ.
4. ცხრილი N4. 2012 წელს შემოსული განცხადებებიდან ავტომატური განცხადებების სტატისტიკა -----124გვ.

## ნახაზების ნუსხა

1. ნახაზი N1.ITIL-ის სასიცოცხლო ციკლი ----- 23გვ.
2. ნახაზი N2 მსოფლიოში გამოყენებული მონაცემთა ბაზების სტატისტიკა ----- 28გვ.
3. ნახაზი N3. ORACLE სერვერის სტრუქტურა ----- 29გვ.
4. ნახაზი N 4. კერძო კომპანიებთან და სახელმწიფო სტრუქტურებთან მონაცემთა ონლაინ გაცვლის სქემა ----- 33გვ.
5. ნახაზი N5. შემოსავლების სამსახურის სისტემის მომხარებლების სქემა -----34გვ.
6. ნახაზი N6. სისტემის არქიტექტურა ----- 39გვ.
7. ნახაზი N7 აპლიკაციების სერვერის მეშვეობით მომხმარებლების დაკავშირება ORACLE სისტემასთან ----- 43გვ.
8. ნახაზი N8. განცხადების მართვის პორცესი ----- 101გვ.

## ნაშრომში გამოყენებული აბრევიატურები და ტერმინები

IT (Information Technologies) - საინფორმაციო ტექნოლოგიები;

ITIL - (IT Infrastructure Library — библиотека инфраструктуры информационных технологий) – საუკეთესო პრაქტიკების ბიბლიოთეკა, სადაც აღწერილია გამოცდილება კომპანიებში და სტრუქტურულ ქვედნაყოფებში სამუშაოს ორგანიზების საუკეთესო პრაქტიკები, რომლებიც აწვდიან მომსახურებას საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში.

სსკ - საქართველოს საგადასახადო კოდექსი

ITSM (IT Service Management ) – IT სერვისების მართვა

CLR (Common Language Runtime) - ვირტუალური მანქანა, სადაც კომპილირდება პროგრამები, რომლებიც დაწერილია .NET.

SSL (Secure Sockets Layer) - სექტორების დაცულობის დონე - კრიფტოგრაფიული პროტოკოლი, რომელიც უზრუნველყოფს კავშირის უსაფრთხოებას.

გეზ - გაფორმების ეკონომიკური ზონა

თიზ - თავისუფალი ინდუსტრიული ზონა

GPRS საკონტროლო სალარო აპარატი - საკონტროლო სალარო აპარატი, რომელსაც გააჩნია მონაცემების გადაცემის საშუალება

Prive - პირადი საგადასახადო მრჩეველი

ASYCUDA (Automated SYstem of CUstoms DAta)- საბაჟოს მონაცემების ავტომატიზირებული სისტემა

ავს - ავტო გასამართი სადგური

ჩგდ - ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტი

## მადლიერება

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მეცნიერ ხელმძღვანელს ქალბატონ თინათინ კაიშაურს და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის პროექტების დაგეგმვისა და მართვის სამმართველოს უფროსს ქალბატონ მანანა ჩინჩალაძეს, მათი დახმარებისა და მხარდაჭერისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაწერის დროს.

## შესავალი

სახელმწიფო სახსრების ფინანსური მართვის ფუნდამენტური მიზანია ქვეყანაში არსებული რესურსების ეფექტურად გამოყენება. ამ მიზნის მისაღწევად ფისკალური პოლიტიკა მიმართულია სახელმწიფო სახსრების სტრატეგიულ განთავსებაზე, რაც გულისხმობს სახელმწიფო სახსრების სახელმწიფო პრიორიტეტებისკენ ეფექტურად მიმართვას. სახელმწიფო სახსრების ეფექტური ფინანსური მართვა ემსახურება ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილურობის გაუმჯობესებას.

ამ სტრატეგიის ნაწილია მიმდინარე საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის და კანონმდებლობის რეფორმის დასრულება და შემოსავლების მართვის რეფორმის შემდგომი გამყარება და განვითარება. ეს გულისხმობს საგადასახადო და საბაჟო კოდექსების გამარტივებას, გადამხელთა მომსახურების, საგადასახადო აუდიტის, საბაჟო კონტროლის, ინფორმაციული ტექნოლოგიების გაუმჯობესებას და ინსტიტუციონალურ განვითარებას, რომელიც საბოლოო ჯამში გაამდიერებს შემოსავლების სამსახურს და ეფექტურს გახდის საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციას.

დღეის მდგომარეობით აპლიკაციების 75%-ზე მეტი, რომელიც ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბიზნეს პროცესებს უწყევს მხარდაჭერას ან/და გადასახადის გადამხდელებისა და საზოგადოებისთვის მომსახურების მისაწოდებლადაა განკუთვნილი, ვებ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ აპლიკაციებს და ვებ-სერვისებს წარმოადგენს. შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ სერვისებში რამოდენიმე სახელმწიფო სტრუქტურა და საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკია ჩართული. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ დანერგილმა ელექტრონულმა მომსახურებამ მონაცემთა დამუშავებისთვის განკუთვნილი დროის მნიშვნელოვნად



შემცირებას შეუწყო ხელი და მოქალაქეებს, გადასახადის გადამხდელებს და სახელმწიფო სტრუქტურებს გაუადვილა კომუნიკაცია შემოსავლების სამსახურთან (საბაჟო და საგადასახადო სექტორთან). იმავდროულად, მნიშვნელოვნად შემცირდა დანახარჯები და გაიზარდა მართვის ეფექტურობა. ამ მომსახურებებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია გადასახადის გადამხდელთა პორტალი, განსაკუთრებით კი განცხადებების ელექტრონულად წარდგენის და პასუხების გაგზავნის სისტემის შექმნის პროექტი, რომელშიც განხორციელდა შემოსავლების სამსახურის საქვეუწყებო სისტემებში მიმოქცევაში არსებული დოკუმენტების მიმოსვლისა და დამუშავების პროცედურების სრული ავტომატიზაცია. ამ პროექტის ფარგლებში განხორციელდა 300-მდე განცხადების ფორმის დანერგვა. განცხადებების ელექტრონული სისტემის დანერგვის შედეგად ყოველთვიურად სისტემაში საშუალოდ რეგისტრირდება 37462 სხვადასხვა შინაარსის განცხადება, წელიწადში საშუალოდ მუშავდება 449 538 მეტი ელექტრონული განცხადება, გაიცემა 150 000 მეტი ავტომატური პასუხი. ელექტრონული განცხადების მართვის სისტემით სარგებლობს 400 000-ზე მეტი გადასახადის გადამხდელი და შემოსავლების სამსახურის 2000-ზე მეტი სხვადასხვა დეპარტამენტის თანამშრომელი.

# თავი I ელექტრონული განცხადებების შემუშავების პროექტის მიმდინარეობის მეთოდოლოგია

## 1.1. ელექტრონული განცხადებების შესწავლა და კვლევა

აღნიშნული პროექტი დაიწყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის გადამხდელთა მომსახურების დეპარტამენტის მიერ გადასახადის გადამხდელთან მომსახურების გაწევის ნაწილში არსებული პროცესების მიმდინარეობის და სერვისის მიწოდების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ამისათვის მომსახურების დეპარტამენტის სპეციალისტების და სადისერტაციო ნაშრომის ავტორის მიერ დაიწყო საკითხის შესწავლა. მოძიებული იქნა ყველა არსებული ქალაქური ფორმატის განცხადება, რომელიც წარედგინებოდა შემოსავლების სამსახურში. განცხადებების მოძიების შემდეგ საჭირო გახდა გამოგვეკვლია, რომელი განცხადება სად ბარდებოდა, ვინ იყო ამ განცხადების მიმღები, შემსრულებელი. კვლევის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ შემოსავლების სამსახურში არსებობდა საგადასახადო ინსპერქციები, დიდი ცენტრალური აპარატი, საბაჟო გამშვები პუნქტები და ა.შ., სადაც მოძრაობდა ეს განცხადებები. დაპროექტების ჯგუფის მიერ ჩატარდა კვლევა სხვა მოწინავე ქვეყნებში როგორ არის ორგანიზებული მსგავსი პროცესები. კვლევის შედეგები არცთუ ისე სახარბიელო იქნა, რადგან ვერც არსებულ ლიტერატურაში და ვერც ინტერნეტ სივრცეში მსგავსი პროცესები და განცხადებების საგადასახადო-საბაჟო ორგანოებში ელექტრონულად წარდგენა არ გამოვლინდა. მსგავსი პროცესი დანერგილი იყო ქალაქ თბილისის მერიაში ნებართვების მიღების კუთხით. სადისერტაციო ნაშრომის ავტორის მიერ, მომსახურების დეპარტამენტის სპეციალისტებთან ერთად შესწავლილ იქნა განცხადებების ელექტრონულად მიღების და დამუშავების პრინციპები ქ.თბილისის მერიის მაგალითზე. კვლევის შედეგად დადგინდა საინტერესო მიდგომა, კერძოდ, საქართველოში

არსებული საქმისწარმოების პრაქტიკა გულისხმობს ნებისმიერი დოკუმენტის საქმისწარმოების სტრუქტურაში მოხვედრას, შემდგომ ხელმძღვანელ პირთან და იერარქიულად ზევიდან ქვევით ბოლოს შემსრულებელთან, ხოლო მერიის მაგალითზე ელექტრონული განცხადების მიღება და დამუშავება ხდება პირველ რიგში შემსრულებელთან და განცხადების შინაარსიდან გამომდინარე უკვე პასუხის შეთანხმება ხელმძღვანელ პირებთან, საჭიროების შემთხვევაში თანამდებობრივი იერარქიით ქვემოდან ზევით. ეს იყო სასარგებლო მაგალითი, რადგან განცხადების დამუშავების პროცესი საკმაოდ შემცირდებოდა. 300 ქალაქური განცხადება დავაჯგუფეთ 50 არესა და ქვეარეს მიხედვით. დაჯგუფება მოვახდინეთ თემატიკის მიხედვით.

შემდეგ განხორციელდა ამ განცხადებების ფორმალიზაცია და პროცესების დადგენა. საბოლოოდ მივიღეთ შემოსავლების სამსახურში ქალაქურ ფორმატში განცხადებების მიღების დამუშავების პროცესების მიხედვით შემოსავლების სამსახურში არსებული მდგომარეობის დოკუმენტი. ამ დოკუმენტის შესწავლის შედეგად დავადგინეთ, რომ აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის გამარტივება, შემოსავლების სამსახურში განხორციელდეს სტრუქტურული ცვლილებები, რაც გაამარტივებს განცხადებების მიღების და დამუშავების პროცესებს. შემოსავლების სამსახურის დებულებიდან და განცხადების დამუშავების გამარტივებიდან გამომდინარე შესაძლებელი იქნებოდა შემოღებული ყოფილიყო განცხადებაზე პასუხის სწრაფად გაცემის მომსახურება, რომელიც იქნებოდა ფასიანი. მაგრამ ამ შეთხვევაში დადგა საფასურის მარტივად გადახდის საკითხების პრობლემა. სადისერტაციო ნაშრომის ავტორის მიერ დაიწყო კვლევა ამ მიმართულებით. შესწავლილი იქნა საქართველოში საბანკო სექტორში არსებული გადახდების საშუალებები. განხორციელდა მოლაპარაკებები ბანკებთან. საბანკო სექტორთან დასმული იქნა ამოცანა ელექტრონულად გადახდების განხორციელების და შემდგომ ამ გადახდებზე ინფორმაციის მიღების მოთხოვნის შესახებ. ბანკებთან კონსულტაციების

შემდეგ, საბანკო სექტორის გამოკვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ საბანკო სექტორს შეეძლო შემოეთავაზებინა სერვისი. ანუ ელექტრონული გადახდების შემდეგ შეძლებდა მოეწოდებინა ინფორმაცია რეალურ რეჟიმში და ასევე თუ გადახდა განხორციელდებოდა თვითონ ბანკში, ამ შემთხვევაშიც ბანკი შეძლებდა მოეწოდებინა ფორმალიზებული ინფორმაცია გადახდილი საფასურის შესახებ.

სადისერტაციო ნაშრომის ავტორის და სპეციალისტების მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად საბოლოოდ დადგინდა, რომ შემოსავლების სამსახურს აქვს შესაძლებლობა განცხადებები მიიღოს ელექტრონულად, დაამუშაოს ისინი და გასცეს პასუხი ელექტრონულად. მოითხოვოს საფასური განცხადების სწრაფად დამუშავებაზე და პასუხის გაცემაზე, განახორციელოს ელექტრონული გადახდები, გაამარტივოს საკანონმდებლო ბაზა, გაამარტივოს დამუშავების პროცესები, საქმისწარმოება განცხადებების კუთხით აწარმოოს თანამდებობრივი იერარქიით ქვევიდან ზემოთ და შეცვალოს ორგანიზაციული სტრუქტურა. აღნიშნული კვლევის შედეგები წარდგენილი იქნა შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელობასთან დასამტკიცებლად, რათა მომხდარიყო პროექტის დაწყება.

## **1.2. პროექტის ინიცირება, გამოყენებული მეთოდოლოგია და მიმდინარეობის ფაზები**

აღნიშნული პროექტი დაიწყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის გადამხდელთა მომსახურების დეპარტამენტის მიერ გადასახადის გადამხდელებთან მომსახურების გაწევის ნაწილში არსებული პროცესების მიმდინარეობის ავტომატიზაციის მოთხოვნით. შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტი

უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობის დაცვისა და შესრულების კონტროლს, ახორციელებს გადასახადების/გადასახდელების, აგრეთვე შესაბამისი მოსაკრებლების ადმინისტრირებას, ახორციელებს გადასახადის გადამხდელთა მომსახურებას, შემოსავლებისა და გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, გადასახადის გადამხდელთათვის მეთოდოლოგიური და პრაქტიკული დახმარების ადგილზე გაწევას, დაინტერესებული პირისათვის საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების გაწევას, საბიუჯეტო შემოსულობების დამუშავებას გადასახადის სახეების, ტერიტორიული ერთეულების მიხედვით. საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის, აგრეთვე საბაჟო, საგადასახადო და სხვა შესაბამისი სტატისტიკის წარმოებას და ა.შ. [18].


მოთხოვნილი პროცესების ავტომატიზაციის საკითხებში საჭირო გახდა საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის ჩართვა, რომლის ძირითადი ამოცანაა მთლიანად შემოსავლების სამსახურის პროგრამული და ტექნიკური მხარდაჭერა, რაც გულისხმობს საინფორმაციო სისტემების შემუშავებას, ახალი პროგრამული პროდუქტების და სერვისების პროექტირებას, მომზადებას და მართვას. საინფორმაციო სისტემებითა და კომპიუტერული სამომხმარებლო პროგრამებით სამსახურის უზრუნველყოფას, მომხმარებლებისათვის ტრენინგების ორგანიზებას და სათანადო კონსულტაციების გაწევას. როგორც წესი საინფორმაციო ტექნოლოგიური პროექტი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: კონცეფციის შემუშავება, დაგეგმვა, ანალიტიკა, პროგრამირება, ტესტირება, დანერგვა და შემდგომში მუდმივი გაუმჯობესება [18].

წარმატება დიდწილად დამოკიდებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენებაზე და მიწოდებული მომსახურების ხარისხზე, რომლებიც პასუხობენ დამკვეთის მოთხოვნებს და მოლოდინს. ხშირად, დიდი დრო და ფინანსები ეთმობა ბიზნესაპლიკაციების მომზადებას და არა მისი მომსახურების მხარდაჭერას. სერვისების მხარდაჭერა გვაძლევს გარანტიას, რომ

სერვისის ხელმისაწვდომობა მომხმარებლებისთვის იქნება მაღალი. საერთაშორისო გამოცდილებით ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში, სერვისების მხარდაჭერას უნდა ეთმობოდეს ფინანსების 70-80%, ხოლო შექმნას ან შეძენას და დანერგვას 20-30%. შეიძლება ავლნიშნოთ, რომ დღეს ბევრი კომპანიის ხელმძღვანელი არ არის კმაყოფილი თავისი ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის მიერ მიწოდებული მომსახურების ხარისხით. ამისთვის ბევრი მიზეზია. საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში, ხშირია შემთხვევები, როდესაც ხდება მიმდინარე პროექტების დასრულება ვადების დარღვევით და არასაკმარისია გამოყოფილი თანხის ოდენობა. ასევე პრობლემურია პროექტის დასრულების შემდეგ სისტემის მხარდაჭერა და ხშირ შემთხვევაში საჭირო ხდება მოქმედ სისტემაში ცვლილებების შეტანა.

აღნიშნული საკითხების დარეგულირებას და გადაწყვეტას სჭირდება საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურებთან სტრუქტურულიზებული მიდგომა, რაც ეფექტურს და რაციონალურს გახდის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის ფუნქციონირებას. ასეთ მიდგომას ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისების მართვა ჰქვია (ITSM- IT Service Management) და მისი ძირითადი პრინციპია განიხილოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურები/დანაყოფები, როგორც მომხმარებლის მოთხოვნებზე მუდმივად ორიენტირებული სამსახური, სადაც ხელმისაწვდომი იქნება, როგორც მიღწეული მიზნების და ხარისხის დონე, ისე გამოყენებული რესურსების შეფასება. ეს პრინციპი გამოიყენება ნებისმიერი მასშტაბის კომპანიებში. ასევე უნდა აღინიშნოს საერთაშორისო პრაქტიკის, საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში წარმატებული კომპანიების გამოცდილებების ბიბლიოთეკა ITIL, რომელიც განსაზღვრავს მიზნებს და საქმიანობებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების მართვის ყოველი პროცესის პარამეტრებს [14,15,16]. აღნიშნულ ბიბლიოთეკაში ITIL აღწერილია კომპანიებში გამოყენებული სამუშაოს-პროექტის ორგანიზების საუკეთესო პრაქტიკა.

ბიბლიოთეკაში გამოყენებულია პროცესუალური მიდგომა, სადაც ძირითადი აქცენტი მიმართულია კომპანიის მიზნების მიღწევაზე, ეფექტურობის საკვანძო მაჩვენებლების ანალიზსა და რესურსებზე, რომლებიც დაიხარჯა ამ მიზნების მისაღწევად. სერვისების სასიცოცხლო ციკლი შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: სერვისების სტრატეგია, სერვისების დაპროექტება, სერვისების დანერგვა, სერვისების გამოყენება, სერვისების მუდმივი გაუმჯობესება - განვითარება (ნახაზი N1).



ნახაზი N1. ITIL-ის სასიცოცხლო ციკლი

სერვისების სტრატეგია - გულისხმობს კონცეფციის შემუშავებას, განსაზღვრავს სტანდარტებს, მეთოდოლოგიებს, რომლებიც გამოყენებული იქნება მომავალში ახალი სერვისების დაგეგმვის დროს. სერვისების სტრატეგიაში ასევე განიხილება სტრატეგიის შემუშავება, სერვისების

პორტფელის მართვა, სერვისების მიმართ ტექნიკური მოთხოვნები, ასევე განხილულია ფინანსების მართვის ნაწილიც. სერვისების მართვის სტრატეგიის მიზანია გააუმჯობესოს სტრატეგიული შემადგენლობები სერვისის დაპროექტების, განხორციელების, სერვისის დანერგვის და გაუმჯობესების ხარჯზე. განხილება როგორც აქტივი და შესაძლებლობები. სერვისის სტრატეგია იკვლევს და განსაზღვრავს რამდენად შესაბამისობაშია მოთხოვნები IT სტრატეგიასთან. სერვისების სტრატეგიის ამოცანაა შექმნას ისეთი მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ორგანიზაციის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიების, პროცესების განვითარებას. სერვისების სტრატეგია მოიცავს შემდეგ პროცესებს: სტრატეგიის შემუშავების პროცესი, სერვისების პორტფელის მართვის პროცესი, მომხმარებლის მოთხოვნების მართვის პროცესი, IT ფინანსების მართვის პროცესი.

სერვისების დაპროექტება გულისხმობს შემუშავებული იქნას IT სერვისი, განსაზღვრული იქნას მისი არქიტექტურა, პროცესები, უსაფრთხოება, პოლიტიკა, დოკუმენტაცია, შესწავლილი და შემუშავებული იქნას თვითონ სერვისი. მისი ძირითადი მიზანია შეიქმნას სერვისის რეალისტური კონტური სერვისის მიწოდების დონის პოლიტიკის, არქიტექტურის, არჩეული ტექნოლოგიის, პროცესის შემუშავების მეშვეობით. უზრუნველყოს საფუძველი არსებული და დამოკიდებული სერვისებისთვის, პროცესებისთვის. უზრუნველყოს მხარდაჭერა და გაზარდოს სერვისის მნიშვნელობა დამკვეთისათვის. პასუხისმგებელია სერვისის ან ინფრასტრუქტურის შექმნაზე ან ცვლილებაზე დამკვეთის მოთხოვნებიდან გამომდინარე. სერვისების დაპროექტება მოიცავს შემდეგ პროცესებს: სერვისების კატალოგის მართვის პროცესი, სერვისების მიწოდების დონის მართვის პროცესი, სერვისების წარმადობის მართვის პროცესი, სერვისების წვდომის მართვის პროცესი, სერვისების უწყვეტობის მართვის პროცესი, სერვისების უსაფრთხოების მართვის პროცესი და მომწოდებლების მართვის პროცესი.



სერვისების დანერგვა გულისხმობს სერვისის მომზადებას დანერგვისთვის, ტესტირების განხორციელებას და მოქმედ სივრცეში მოთავსებას. სერვისების მომზადებას მომხმარებლის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. სერვისის მიზანია მართოს მომხმარებლის მოთხოვნები და მოლოდინი. ბიზნესპროცესების ინტეგრაცია IT სერვისებში. ცვლილებებთან დაკავშირებული ინციდენტების შემცირებას და შესაბამისად სერვისის ხარისხის გაუმჯობესებას. სერვისების დანერგვა პასუხისმგებელია ახალი სერვისების ან ცვლილებების დანერგვაზე მუშა გარემოში. სერვისების დანერგვა მოიცავს შემდეგ პროცესებს: ცვლილებების დაგეგმვის და მხარდაჭერის მართვის პროცესი, ცვლილებების მართვის პროცესი, აქტივების და კონფიგურაციების მართვის პროცესი, დანერგვის და სისტემის გაშლის მართვის პროცესი, ტესტირების განხორციელების პროცესი, შეფასების პროცესი, შეძენილი გამცდილების და ცოდნის მართვის პროცესი.

სერვისების გამოყენების პროცესში ხდება ბალანსის მიღწევა შენარჩუნება სერვისის მომხმარებლებსა და სერვისის მხარდაჭერას შორის. უზრუნველყოფს სერვისების მდგრად მუშაობას. მისი ძირითადი ამოცანაა უზრუნველყოს ეფექტური გამოხმაურება მომართვაზე და სერვისის სტაბილური მუშაობა. უზრუნველყოს სწრაფი რეაგირება ინციდენტზე. ძირითადი ამოცანაა შეთავაზებული სერვისი მართოს შეთანხმებული ხარისხის დონის მიხედვით. შეასრულოს პროცესის ყოველდღიური ოპერაციები. ხელი შეუწყოს სერვისების განვითარებას. სერვისების გამოყენება პასუხისმგებელია სერვისების მიწოდების ეფექტურობაზე და შედეგზე, სტაბილურობის მხარდაჭერაზე. სერვისების გამოყენება მოიცავს შემდეგ პროცესებს: მოვლენების მართვის პროცესი, ინციდენტების მართვის პროცესი, მომართვების მართვის პროცესი, პრობლემების მართვის პროცესი, დაშვებების მართვის პროცესი.

სერვისების მუდმივი გაუმჯობესება განვითარება გულისხმობს არსებული შეთავაზებული სერვისების მუშაობის განვითარებას, დაკვირვებას და გამოსწორებას. კონტროლს მომხმარებლის მოთხოვნებთან სერვისის

მიწოდების შესაბამისობას. ამ სტადიაში ხდება ყველა სტადიის პერიოდული გადამოწმება და რეკომენდაციების მომზადება პროცესის გაუმჯობესების მიზნით. მიწოდებული სერვისის მიწოდების ხარისხის შემოწმება. სერვისების მუდმივი გაუმჯობესება პასუხისმგებელია მომხმარებლისთვის შექმნას მუდმივად მნიშვნელოვანი ხარისხიანი სერვისი ორიენტრებული მომხმარებელზე. სერვისების მუდმივი გაუმჯობესება მოიცავს შემდეგ პროცესებს: სერვისების მიწოდების ხარისხის გაზომვის პროცესი, სერვისების მუშაობის შესახებ ანგარიშების მიწოდების პროცესი, სერვისების გაუმჯობესების მართვის პროცესი.

პროექტმა თუ გაიარა ყველა ეს ციკლი, ის აუცილებლად წარმატებული იქნება. ამ პროექტის ფარგლებში დაინერგა პროცესუალური მიდგომა საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრში. ცენტრში შექმნილია პროექტების დაგეგმვისა და მართვის სამმართველო, პროგრამული უზრუნველყოფის სამმართველო, ტექნიკური მხარდაჭერის სამმართველო, სისტემური ადმინისტრირების სამმართველო. სამმართველოს უფროსები და ცენტრის ხელმძღვანელობა მუშაობს ცენტრის სტრატეგიის შემუშავების საკითხებზე, რომლებიც შემოსავლების სამსახურის და შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სტრატეგიის ნაწილია. ორგანიზაციული სტრუქტურის თანამშრომლები ასრულებენ როლებს ზემოთ ჩამოთვლილი პროცესების მიხედვით მიმდინარე პროექტებში განაწილების პრინციპით.


ზემოთ ხსენებული პროცესების და მეთოდოლოგიის გამოყენებით იქნა დაგეგმილი ელექტრონული განცხადებების სისტემის შექმნა და დანერგვა.

### 1.3. პროექტის განხორციელებისათვის არჩეული ტექნოლოგიები და ინსტრუმენტები

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის ტექნოლოგიური სტრატეგია მდგომარეობს იმაში, რომ სისტემებს აწარმოებს ORACLE მონაცემთა ბაზის, ORACLE აპლიკაციების სერვერის, Microsoft Visual Studio.net. გამოყენებით. ბევრი მსჯელობის შემდეგ საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრმა გადაწყვიტა აღნიშნული ამოცანა განეხორციელებინა შემოსავლების სამსახურში უკვე არსებული ტექნოლოგიების გამოყენებით, რათა მარტივად მომხდარიყო ახალი სისტემის ინტეგრაცია. ახალმა სისტემამ უნდა გამოიყენოს შემოსავლების საინფორმაციო სისტემის მონაცემების საკმაოდ დიდი რაოდენობა და აქედან გამომდინარე არჩეული იქნა შემოსავლების სისტემაში უკვე არსებული ტექნოლოგია ORACLE მონაცემთა ბაზა [9], ORACLE Application Server [12], ხოლო ინსტრუმენტი სისტემის შემუშავებისთვის Microsoft Visual Studio.net.[13]

#### 1.3.1. სისტემის შემუშავებისათვის შერჩეული მონაცემთა ბაზის საერთო მიმოხილვა


მონაცემები – ეს არის მხოლოდ ბიტები და ბაიტები, რომლებიც განლაგებულია ფაილურ სისტემაში და მხოლოდ კორპორატიული მონაცემთა ბაზის მართვის სისტემას შეუძლია ბიტები და ბაიტები გარდაქმნას ინფორმაციაში, რაც საჭიროა პროცესების სწორად მართვისათვის. ORACLE მონაცემთა ბაზა – არის წამყვანი მსოფლიოში.



ნახაზი №2 მსოფლიოში გამოყენებული მონაცემთა ბაზების სტატისტიკა

ORACLE მონაცემთა ბაზის არქიტექტურა გათვლილია დიდი მოცულობის მონაცემების დამუშავებასა და მომხმარებლების დიდ რაოდენობაზე (ათი და ასი ათასი) და შესაბამისად, დიდია მოთხოვნა ამ პროდუქტის მიმართ. საქართველოში ცნობილია ორგანიზაციები კომუნიკაციის (მაგთიკომი, ჯეოსელი), საფინანსო (ბანკები), ენერჯეტიკის (თელასი) სფეროებში, ასევე საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან აღსანიშნავია შემოსავლების სამსახური (საგადასახადო, საბაჟო) - რომლებიც იყენებენ ORACLE-ის მონაცემთა ბაზებს. ORACLE მონაცემთა ბაზა გვაძლევს ფართო შესაძლებლობებს – უზრუნველყოფის მაღალ მზადყოფნას, გამოირჩევა მასშტაბურობით, ინფორმაციის უსაფრთხოებით და თვითმმართველობით. ORACLE მონაცემთა ბაზა შეიძლება გაიმართოს დაწყებული პატარა სერვერებიდან დამთავრებული ბევრპროცესორიანი სიმეტრიული კომპიუტერებით. ORACLE მონაცემთა ბაზის უნიკალური შესაძლებლობა გვაძლევს საშუალებას ვიმუშაოთ მონაცემების ყველა ტიპთან, დაწყებული ტრადიციული ცხრილებით, XML-დოკუმენტებით დამთავრებული კარტოგრაფიული მონაცემებით, რომელიც გვაძლევს საშუალებას განვიხილოთ იგი, როგორც ოპტიმალური არჩევანი ტრანზაქციების ოპერატიული დამუშავების აპლიკაციებთან მუშაობის დროს, გადაწყვეტილებების მისაღებად და ინფორმაციის მართვისას.

ORACLE მონაცემთა ბაზა 10g გვაძლევს საშუალებას კონსოლიდირებული იქნას გეტეროგენური ინფორმაცია ერთიან მონაცემთა ბაზაში, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მასშტაბურობას. ORACLE უზრუნველყოფს მონაცემების ყველა ტიპებს ტექსტების, აუდიო, ვიდეო, XML, ელ-ფოსტა, შეტყობინებების ჩათვლით და მუშაობს არსებული პლატფორმების უმრავლესობასთან დაწყებული WINDOWS, LINUX –იდან Tru64-ით დამთავრებული. მართალია კონსოლიდაცია არის უმარტივესი ფორმა ინფორმაციის ინტეგრაციის, მაგრამ ხშირად იგი რთულად მიღწევადია. ქვემოთ მოცემულია ORACLE სერვერის სტრუქტურა (ნახაზი N3) [9].



ნახაზი N3. ORACLE სერვერის სტრუქტურა

ORACLE მონაცემთა ბაზა გულისხმობს რელაციური მონაცემთა ბაზის მართვის სისტემას, რომელიც გვამლევს ლოგიკური სტრუქტურის მანიპულაციის საშუალებას, რისი საშუალებაც არ აქვს სხვა მონაცემთა ბაზებს. რელაციური მონაცემთა ბაზა დაფუძნებულია მონაცემების ლოგიკურ ურთიერთობებზე. არსებობს რელაციური ბაზის დაპროექტების ორი მიდგომა.

პირველი მდგომარეობს იმაში, რომ კონცეპტუალური პროექტირების დროს იქმნება არა კონცეპტუალური მონაცემების მოდელი, არამედ მონაცემთა ბაზის მონაცემების რელაციური სქემები, რომლებიც შედგება რელაციური ცხრილებისგან.

მეორე დაფუძნებულია ფუნქციონალური მოდელის მექანიკურ გარდაქმნაზე, რომელიც შექმნილი იყო ადრე, ნორმალიზებულ რელაციურ მოდელში. ეს მიდგომა ყველაზე მეტად გამოიყენება დიდი და რთული მონაცემთა ბაზის სქემების პროექტირების დროს, რომელიც ჭირდება კორპორატიულ საინფორმაციო სისტემებს.

მონაცემთა ბაზის რელაციური მოდელი წარმოადგენს მონაცემებს ცხრილების ან რელაციების სახით.

რელაციური მონაცემთა ბაზა შექნილია მონაცემთა ბაზის რელაციურ მოდელზე. განვიხილოთ ძირითადი განმარტებები და მონაცემთა ბაზის შემადგენლობა:

რელაცია (ცხრილი – ელემენტარული ინფორმაციული ერთეული) – ორგანზომილებიანი ცხრილი, რომელიც მოიცავს მონაცემების სტრიქონებს და სვეტებს.

რელაციის ხარისხი – რელაციის ატრიბუტების ოდენობა. აქ უნდა აღინიშნოს რომ არც ერთი ორი ატრიბუტი არ შეიძლება იყოს ერთი და იგივე დასახელებით.

კორტეჟი – რელაციის (ცხრილის) სტრიქონები, შეესაბამებიან ობიექტებს, კონკრეტულ მოვლენებს.

ატრიბუტები – ცხრილის სვეტები, რომლებიც ახასიათებენ ობიექტის, მოვლენების პარამეტრებს.

ატრიბუტის არეალი – ყველა შესაძლებელი მნიშვნელობების ერთობლიობა, რომელიც შეიძლება მიიღონ ატრიბუტებმა.

ცარიელი მნიშვნელობა – ეს არის მნიშვნელობა, რომელიც ეწერება ატრიბუტს კორტეჟში თუ ის არ არის გამოყენებული ან მნიშვნელობა არ არის ცნობილი.

გასაღები – ნებისმიერი ატრიბუტების ერთობლიობა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს რელაციური ცხრილის ყოველ კორტეჟს.

რელაციის გასაღები – გასაღებს შეუძლია აღწეროს მინიმალური ატრიბუტების სიმრავლე, ერთმნიშვნელოვნად განსაზღვროს ყოველი ატრიბუტის მნიშვნელობა კორტეჟში.

შემადგენელი გასაღები – გასაღები, რომელიც მოიცავს ორ ან მეტ ატრიბუტს.

პოტენციური გასაღები – ნებისმიერ რელაციურ ცხრილში შეიძლება აღმოჩნდეს ერთზე მეტი ატრიბუტი. ხშირად პირველად გასაღებად ირჩევენ პოტენციურ გასაღებს, რომლის გამოყენება ადვილია მონაცემების შეტანისთვის ყოველდღიური მუშაობის დროს.

პირველადი გასაღები – ველი ან ველების ერთობლიობა, რომელიც აკეთებს ჩანაწერის ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებას.

გარე გასაღები – ატრიბუტების ერთობლიობა ერთ ცხრილში, რომელიც არის მეორე ცხრილის გასაღებიც. (ან იმავე ცხრილის). გამოიყენება ცხრილებს შორის ლოგიკური კავშირის გამოსავლენად. გარე გასაღების ატრიბუტებს არ არის აუცილებელი ჰქონდეს იგივე სახელები, რაც მათ შესაბამის გასაღების ატრიბუტებს.

რეკურსიული გარე გასაღები – გარე გასაღები, რომელიც მიმართავს თავისივე რელაციურ ცხრილს.

მშობელი ცხრილი – ცხრილი, რომლის ველები შედის სხვა ცხრილში

შვილობილი ცხრილი – ცხრილი, რომლის ველები იყენებს ინფორმაციას სხვა ცხრილის ველებიდან, რომელიც არის მოცემული ცხრილისთვის მშობელი.

ურთიერთობა ერთი მეორესთან – როდესაც ერთ ჩანაწერს მშობელ ცხრილში შეესაბამება ერთი ჩანაწერი შვილობილ ცხრილში.

ურთიერთობა ერთი ბევრთან – როდესაც ერთ ჩანაწერს მშობელ ცხრილში შეესაბამება რამდენიმე ჩანაწერი შვილობილ ცხრილში.

ურთიერთობა ბევრი ბევრთან – როდესაც ბევრ ჩანაწერს მშობელ ცხრილში შეესაბამება რამდენიმე ჩანაწერი შვილობილ ცხრილში.

რეკურსიული ურთიერთობა – ურთიერთობა, როცა ობიექტური სიმრავლე უკავშირდება თავისთავს.

ვიუ (*View*) – რელაციური მონაცემთა ბაზის ინფორმაციული ერთეული (ცხრილის ანალოგიური სტრუქტურით), ჩანაწერები, რომელიც ჩამოყალიბდა სხვა ცხრილებისადმი მიმართვის შედეგად.

მიმართვის მთლიანობა – ცხრილში არჩეულ ველებში ჩანაწერების ადეკვატური განახლება.

ტრიგერი – ეს არის საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს მიმართვის მთლიანობის კასკადური ცვლილების მექანიზმს.


ინდექსი – ცხრილში შენახული მონაცემების სწრაფი წვდომის მექანიზმი, მათი წინასწარი სორტირების გზით.

ტრანზაქცია – ეს არის მონაცემთა ბაზის მართვის სისტემაზე ისეთი ზემოქმედება, რომელსაც იგი გადაყავს ერთი მთლიანობის მდგომარეობიდან მეორეში.

შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონაცემთა ბაზის მოცულობა შეადგენს 1700 GB. უმეტეს შემთხვევაში მონაცემები გროვდება პირების ან სხვა ორგანოს მიერ საგადასახადო, საბაჟო სამსახურებში




წარმოდგენილი ინფორმაციის, საგამომიებო დეპარტამენტის მიერ მოძიებული და წარმოდგენილი ინფორმაციის დამუშავების შედეგად, ხოლო სახელმწიფო ხაზინიდან და შ.ს.ს მომსახურების სააგენტოდან მონაცემების მიღება ხდება ავტომატურად შემოსავლების სამსახურის ცენტრალურ სერვერზე და შემდგომ ხდება ამ მონაცემების დამუშავება. (ნახაზი N4)



ნახაზი N4. კერძო კომპანიებთან და სახელმწიფო სტრუქტურებთან მონაცემთა ონლაინ გაცვლის სქემა

აღსანიშნავია ის, რომ შემოსავლების სამსახურში არსებობს ერთიანი მონაცემთა ბაზის სერვერი, რომელსაც უკავშირდება Oracle Application Server - ის მეშვეობით, შემოსავლების სამსახურის - ყველა საგადასახადო/საბაჟო ორგანო, ფინანსთა სამინისტრო, შსს მომსახურების სააგენტო, შსს სამინისტრო, გადასახადის გადამხდელები, საჯარო მოხელეები. ასევე

არსებობს საჯარო ინფორმაცია, რომელსაც უკავშირდება ნებისმიერი ინტერნეტ მომხმარებელი. მკაცრად განსაზღვრულია წვდომა – ინფორმაციის მიღება - დათვალიერებაზე, თუ მონაცემების შეტანა - დამუშავებაზე [12].  
(ნახაზი N5)



ნახაზი N5. შემოსავლების სამსახურის სისტემის მომხმარებლების სქემა

მონაცემების დამუშავება მიმდინარეობს შემოსავლების სამსახურში შექმნილი სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით.

### 1.3.2. ინტერნეტ აპლიკაციისათვის გამოყენებული ტექნოლოგია

Microsoft Visual Studio.net ინსტრუმენტის მეშვეობით შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის მიერ საგადასახადო საბაჟო კუთხით შექმნილია 175 ძირითადი მოხმარების პროგრამა, რომლის შემადგენელი ნაწილია 700-მდე პროგრამული კოდი.

Microsoft Visual Studio.net — ეს არის ახალი საშუალება, რომელიც შექმნა კომპანია Microsoft-მა, აპლიკაციების შესაქმნელად .net პლატფორმაზე მომუშავე პროგრამისტებისთვის. .NET- ეს არის ვებ-აპლიკაციების და ვებ-სერვისების შექმნის ტექნოლოგია.

.NET — ეს არის აბსოლუტურად ახალი პლატფორმა და ტექნოლოგიების ნაკრები, რომლებიც განკუთვნილია იმისათვის, რომ ძირფესვიანად შეცვალოს აპლიკაციების შექმნის პრინციპი. კომპანია ვარაუდობს დაახლოებით 30 პროგრამირების ენის გამოყენების საშუალებას, რომლებიც მიმართავენ ერთიანი კლასების იერარქიას, რომლებიც უზრუნველყოფენ საბაზისო სერვისებს. .NET აპლიკაციები არ კომპილირდება, ისინი გარდაიქმნება შუალედურ ენაში, უკანასკნელი ცნობილია როგორც Microsoft Intermediate Language (MSIL) და სრულდება და იმართება ვირტუალური მანქანის მეშვეობით Common Language Runtime (CLR).

ასეთი მიდგომა გვადლევს რიგ უპირატესობებს, რადგან ენებს აქვს წვდომა სერვისების ერთ ნაკრებთან და შუალედურ კოდში გარდაქმნა მოხერხებულს ქმნის და პრობლემების გარეშე შეგვიძლია აპლიკაციებში ცალკეული ფრაგმენტები დავწეროთ სხვადასხვა პროგრამირების ენებით, შემდგომი ერთიან კოდში ინტეგრაციით.

.NET ინტენსიურად გამოიყენება პროგრამული ენა XML და პროტოკოლი SOAP. აღნიშნული გვადლევს საშუალებას შევქმნათ აპლიკაციები, რომლებიც არ არის მიზმული ერთი პლატფორმის კომპონენტებზე ან ობიექტებზე. ისინი დაფუძნებულია სერვისებზე.

პროტოკოლი SOAP (რომელიც შემუშავებულია Microsoft, DevelopMentor და Userland Software ფირმების მიერ და უზრუნველყოფილია სხვა კომპანიების მიერ IBM და Oracle ჩათვლით) და Web-სერვისები .NET პლატფორმის ძირითადი ელემენტებია.

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი უპირატესობებია:

კოდის კომპილაცია მიმდინარეობს ძალიან სწრაფად და შეცდომების დიდი ნაწილის გამოვლენა შეიძლება თავში, კოდის დაწერის დროს.

ბევრად გაუმჯობესებულია შესრულების დროის შეცდომების დამუშავება, try..catch ბლოკების გამოყენებით.

ინტერნეტბრაუზერში მუშაობის საშუალება, რაც გვაძლევს საშუალებას აპლიკაცია გაიხსნას ნებისმიერ პირობებში ინსტალაციის გარეშე.

მომხმარებლის მართვის (controls) ელემენტები გვაძლევს საშუალებას გამოვყოთ ხშირად გამოყენებული შაბლონები, ისეთი როგორც არის საიტის მენიუ.

კლასის მართვის და ბიბლიოთეკების ელემენტების ფართო ნაკრები გვაძლევს საშუალებას სწრაფად შევქმნათ აპლიკაციები.

.NET პლატფორმის მრავალი პროგრამირების ენებზე კოდების დაწერის საშუალება, რაც გვაძლევს საშუალებას გვერდის კოდები დავწეროთ V.NET, Delphi.NET, C#, J# და სხვა.

აქვს კემირების მთელი გვერდის ან მისი ნაწილის საშუალება უკეთესი წარმადობისათვის. გვერდზე გამოყენებული მონაცემების კემირების საშუალება.

აქვს შესაძლებლობა სხვადასხვა ფაილებში გადანაწილდეს ვიზუალური და ბიზნეს-ლოგიკის ნაწილები (<<code behind>>). მიმართვების დამუშავების გაფართოებული მოდელი. გაფართოებული მოვლენების მოდელი. სერვერების მართვის ელემენტების გაფართოებული მოდელი. .NET პლატფორმის საუკეთესო პროგრამირების ენა C(Sharp)#[13].

### 1.3.3. აპლიკაციებისათვის გამოყენებული პროგრამირების ენა

C# – ეს არის კლასების სისტემა, რომელიც დიდ როლს თამაშობს თანამედროვე პროგრამირების ენებში. თუ ჩვენ გვჭირდება შევიმუშაოთ .NET პლატფორმის აპლიკაციები ამისათვის საჭიროა გამოვიყენოთ C#. შეიძლება გამოყენებული იქნას C++, Visual Basic ან სხვა ნებისმიერი ენა (შექმნილია ტრანსლატორები APL, Кобола, Eiffel, Haskell, Оберона, Smalltalk, Perl, Python, პასკალი და სხვა), მაგრამ კომპილატორისთვის, რომელსაც შეუძლია დააგენერიროს .NET CLR (Common Language Runtime) გარემოსთვის აპლიკაცია C# არის საუკეთესო. ის მთლიანად შეესაბამება .NET იდეოლოგიას და გვაძლევს საშუალებას მეტად პროდუქტიულად ვიმუშაოთ CLR გარემოში. თავის დროზე ვირტუალური Java მანქანისთვის იყო შექმნილი ბევრი გადამყვანი (bridges) სხვადასხვა პროგრამული ენებისათვის, კერძოდ PERCobol, JPython, Eiffel-to-JavaVM System, Tcl/Java და სხვა. ასეთმა გადაწყვეტილებებმა ვერ მიიღო სათანადო მხარდაჭერა. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მეტად ადვილია შეისწავლო ახალი ენა, ვიდრე გააფართოო არსებული გადაწყვეტილებები საჭირო მიზნებისათვის პროგრამირების სისტემა. ამიტომ პროგრამისტების დიდი ნაწილი, რომლებიც მუშაობენ .NET პლატფორმაზე ირჩევენ პროგრამირების ენას C#.

C# არის პროგრამირების ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირების ენა, ამიტომ მთავარ როლს ასრულებენ კლასები. C# მონაცემთა ყველა ტიპი, როგორც ჩამოყალიბებული, ისე მომხმარებლით განსაზღვრული, წარმოშობილი არიან object საბაზისო კლასიდან. ყველა C# მონაცემთა ტიპები არიან კლასები და შეიძლება გაყოფილი იქნენ 2 ჯგუფად:

- მიმართვითი (reference types);
- ჩვეულებრივი (value types).

გარეგნულად მიმართვითი და ჩვეულებრივი ტიპები გავს ერთმანეთს, რადგან C++ ანალოგიურად აქ შეიძლება გამოცხადებული იყოს კონსტრუქტორები, ველები, მეთოდები, ოპერატორები და ა.შ..

C++ დან განსხვავებით, C# არ ავლენენ კლასებს და არ უზრუნველყოფენ მემკვიდრეობას. მათი აღწერა ხდება სპეციალური სიტყვით `struct` და ძირითადად გამოიყენება არც ისე დიდი ობიექტების შესაქმნელად. მიმართვითი ტიპების აღწერა ხორციელდება სპეციალური სიტყვით `class` და არის მაჩვენებელი, ხოლო ესეთი ტიპის ეგზემპლარები მიმართავენ ობიექტს, რომელიც მდებარეობს, რაღაც ერთობლიობაში (`heap`). C# კლასებმა განიცადეს დიდი ცვლილებები C++ შედარებით, რომელიც აღებული იყო ფუძედ. C# ინტერფეისი არის მიმართვითი ტიპის, რომელიც მოიცავს მხოლოდ აბსტრაქტულ ელემენტებს, რომლებიც არ არის რეალიზებული. ამ ელემენტების რეალიზაცია მოცული უნდა იყოს კლასებში, მოცემული ინტერფეისის დამოუკიდებლად (ჩვენ არ შეგვიძლია პირდაპირ შევქმნათ ინტერფეისის ეგზემპლარები). C# ინტერფეისი შეიძლება მოიცავდეს მეთოდებს, მახასიათებლებს და ინდექსატორებს.


საინტერესო სიახლე C# არის მახასიათებლები (`properties`). მომხმარებლის თვალთახედვით პრაქტიკულად მახასიათებლები გამოიყურება, როგორც კლასის ჩვეულებრივი ველები. მათ შეიძლება მივანიჭოთ სხვადასხვა მნიშვნელობები და მივიღოთ ისინი უკან. ამ დროს მახასიათებლებს აქვთ დიდი ფუნქციონალურობა, რადგან ამ მნიშვნელობების წაკითხვას და ცვლილებას ასრულებენ კლასების სპეციალური მეთოდები. ასეთი მიდგომა გვაძლევს საშუალებას გამოვყოთ მომხმარებლის კლასის მოდელი მისი განხორციელებიდან (რეალიზაციიდან).

პროგრამირების ენა C#, როგორც .NET პლატფორმა არის უწყვეტ განვითარების პროცესში, მაგრამ ყველა შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ რომ პროგრამული ენა C# უკვე ჩამოყალიბებულია. თუ ვაპირებთ .NET-აპლიკაციების შექმნას, საუკეთესო პროგრამირების ენაა C#.

შემოსავლების სამსახურის ოფიციალური საიტი, ვებ-სერვისები და პორტალი მოთავსებულია ვებ-სერვერზე. მონაცემთა ბაზასთან წვდომა აქვს მხოლოდ ვებ-სერვისებს – ფუნქციების გამოძახების დონეზე და

გადამხდელის ვებ-პორტალს, რაც შეეხება ვებ-გვერდს იგი დამოუკიდებლად არსებობს ვებ-სერვერზე.

ვებ-სერვერი – ეს არის სერვერი, რომელიც იღებს მომხმარებლების HTTP-მიმართვებს, ხშირად ვებ-ბრაუზერებისგან და იღებს HTTP-პასუხებს თანმხლები HTML-გვერდით, გამოსახულებით, ფაილებით, მედია ნაკადებით და სხვა მონაცემებით. ვებ-სერვერს ეძახიან როგორც პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასრულებს ვებ-სერვერის ფუნქციებს, ისე კომპიუტერსაც, რომელიც უზრუნველყოფს მის მუშაობას. მომხმარებლები იღებენ წვდომას - ვებ-სერვერზე ხორციელდება URL მისამართით, საჭირო ვებ-გვერდზე ან სხვა რესურსზე.



ნახაზი N6 სისტემის არქიტექტურა

კორპორატიული საინფორმაციო ქსელი მოწყობილია ორი საბაზისო არქიტექტურის მეშვეობით: კლიენტ/სერვერი და ინტერნეტი/ინტრანეტი.

კლიენტ/სერვერის დროს ხდება ყველა დასათვლელი ოპერაციების შესრულება სამუშაო ადგილას დამატებითი რესურსების გამოყენების გარეშე და სერვერის რესურსების გამოყენება ხორციელდება, მხოლოდ მონაცემების შენახვის, დოკუმენტების გაცვლის და სხვა გარემოში გასვილსათვის, რაც ასეთი სისტემის ორგანიზების დადებით მხარეს წარმოადგენს. მაგრამ არსებობს ამის უარყოფითი მხარეც, დიდი ქსელის (შემოსავლების სამსახურის შემთხვევაში ქსელი მოიცავს ქვეყნის ყველა რეგიონს, და ითვლის ათასობით მომხმარებელს) არსებობის შემთხვევაში ხშირი მიმართვა კლიენტ/სერვერი იწვევს ქსელის დატვირთვას და ამცირებს სამუშაოს ნაყოფიერებას. კლიენტ/სერვერის სისტემის დროს აუცილებელია დაცვის მექანიზმების გადაწყვეტა.

შემოსავლების სამსახურის მიერ არჩეულია არქიტექტურა ინტერნეტი/ინტრანეტი. საგადასახადო/საბაჟო ორგანოსთვის განკუთვნილი პროგრამული უზრუნველყოფა მუშაობს ინტრანეტით. შექმნილია დამოუკუდებელი ქსელი, სადაც ჩართულია 400000-ზე მეტი მომხმარებელი მთელი საქართველოს მასშტაბით. მომხმარებლები აწარმოებენ მონაცემთა ბაზაში ჩანაწერების შევსებას, რეგისტრაციას, შერჩევას/დათვალიერებას, ჩამატებას, ცვლილებას, გაუქმებას. ყოველდღიურად კეთდება უამრავი მიმართვა მონაცემთა ბაზის მიმართ.

ინტერნეტი/ინტრანეტი არქიტექტურის გამოყენების ძირითადი უპირატესობებია: ნაკლები დანახარჯები პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვისათვის; წვდომა პროგრამულ უზრუნველყოფასთან ნებისმიერი სამუშაო ადგილიდან წინასწარ განსაზღვრული წვდომაზე უფლებების მიხედვით; ინტერნეტი/ინტრანეტი არქიტექტურის გამოყენებისას არ არის საჭირო სამუშაო ადგილის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვა (პროგრამული კოდები არ არის მოთავსებული კლიენტის



მანქანაზე), რაც გვაძლევს საშუალებას ვიმუშაოთ ათასობით მომხმარებელთან.

ძირითად შემთხვევაში ასეთი არქიტექტურით შექმნილი საინფორმაციო სისტემა მოიცავს ვებ-კვანძებსაც, ინტერაქტიული ინფორმაციის შევსებით, რომელიც მუშაობს Java, JavaBeans და JavaScript ტექნოლოგიების საშუალებით, რომლებიც ურთიერთობს ერთის მხრივ მონაცემთა ბაზასთან და მეორეს მხრივ კლიენტის ადგილთან.

მომხმარებლის ვებ-კვანძისადმი მიმართვისას სრულდება შემდეგი ოპერაციები:

- იგზავნება HTML გვერდის ASCII კოდები, რომლებიც აუცილებლობის შემთხვევაში მოიცავს JavaScript ის ელემენტებს.

- იგზავნება ამორჩეული რესურსის ორმაგი კოდი (გამოსახულება აუდიო, ვიდეოფაილის, არქივის და ა.შ.)

- აგზავნის JAVA აპლეტის ერთბაიტიან კოდს.

- ასრულებს მონაცემთა ბაზის შევსებას.

- მომხმარებლიდან იღებს შეტყობინებას და განსაზღვრავს ვებ-კვანძის რესურსებთან წვდომას, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე (ამოწმებს პაროლს და ა.შ.).

- იღებს ინფორმაციას მომხმარებლიდან და მის საფუძველზე ქმნის HTML გვერდს ან VRML დოკუმენტს, საჭიროების შემთხვევაში უკავშირდება მონაცემთა ბაზას.

იმის შემდეგ, როდესაც კლიენტმა მიიღო პასუხი ვებ-სერვერიდან ხორციელდება შემდეგი ოპერაციები:

- ბრაუზერის ფანჯარაში ვიზუალურად გამოდის HTML გვერდი ან VRML დოკუმენტი.

- უკეთებს ინტერპრეტაციას JavaScript ის ბრძანებებს და მოდიფიცირება უკეთდება HTML გვერდს


➤ უკეთეს ინტერპრეტაციას JAVA-აპლეტის ბაიტ კოდებს, ტვირთავს და ასრულებს აქტიურ აპლიკაციებს.

➤ ახორციელებს დიალოგს მომხმარებელთან, რომელიც ავსებს ფორმებს და ქმნის ახალ მიმართვებს.

დღესდღეობით გამოიყენება რამდენიმე საშუალება კლიენტის და ვებ-სერვერის ურთიერთობისათვის, ესენია:

პირველი სტანდარტული ინტერფეისის შლუზი (Common Gateway Interface) – CGI; მეორე JavaScript გამოყენებაა ვებ-გვერდის ტანში და მესამე ყველაზე ძლიერი, რომელიც გვთავაზობს უსასრულო შესაძლებლობებს – Java ტექნოლოგია (Java- აპლეტების სახით).

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ შემოსავლების სამსახურში შექმნილი სისტემები იყენებენ ORACLE მონაცემთა ბაზა **10 g**, აღნიშნულ სისტემას მომხმარებლები უკავშირდებიან აპლიკაციების სერვერის მეშვეობით, სადაც მოთავსებულია პროგრამული კოდები. აპლიკაციების სერვერზე განთავსებული პროგრამული კოდები შექმნილია *Microsoft Visual Studio.net* მეშვეობით, C# პროგრამული ენის გამოყენებით (ნახაზი N7).



ნახაზი N7. აპლიკაციების სერვერის მეშვეობით მომხმარებლების  
დაკავშირება ORACLE სისტემასთან

## თავი II. განცხადების წარდგენა რეფორმამდე

### (ქალაქდური მატარებლით)

#### 2.1. რეფორმამდე განცხადებების წარდგენის პროცესი

ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემოსავლების სამსახურს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის N303 ბრძანებით განსაზღვრული დებულების თანახმად, ევალება საქართველოს კანონმდებლობის დაცვა და მისი შესრულების კონტროლი, საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ფუნქციების შესრულება, სამართალდარღვევათა პრევენცია და გამოვლენა. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ საქართველოს კანონით, „შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულებით, ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით [1,2,18,19].

შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის მიერ დაისვა ამოცანა, რომ ქალაქდური ფორმით განცხადებების წარდგენა და თანხლები პროცესები ელექტრონულად მართვადი გამხდარიყო. როგორც პირველი თავის პირველ პუნქტში ავღნიშნეთ სადისერტაციო ნაშრომის ავტორის და მომსახურების დეპარტამენტის სპეციალისტების მიერ ჩატარდა კვლევა, კვლევის შედეგები წარდგენილი იქნა შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელობასთან, რის საფუძველზეც მიღებული იქნა გადაწყვეტილება „ელექტრონული განცხადებების შემუშავება და დანერგვა ორგანიზაციულ ეკონომიკურ სფეროში“. საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრმა დაიწყო პროექტი და გამოყო ჯგუფი, რომელიც იმუშავებდა ამ ამოცანაზე

მომსახურების დეპარტამენტის სპეციალისტებთან ერთად. აღნიშნულ ჯგუფში სადისერტაციო ნაშრომის ავტორი მონაწილეობდა IT ანალიტიკოსის როლში. სადისერტაციო ნაშრომის ავტორის მიერ უკვე დეტალურად შესწავლილია მასალები, განცხადებების წარდგენასთან დაკავშირებული ინსტრუქციები, პროცესები, განხორციელებულია კვლევა, აღწერილია ისინი და მომსახურების დეპარტამენტის თამაშრომლებთან ერთად განმარტებულია განცხადების წარდგენის და პასუხების მიღების პროცესი.

კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, გადასახადის გადამხდელები თავისი ვალდებულებების შესასრულებლად საგადასახდო - საბაჟო ორგანოებში წარადგენენ სხვადასხვა სახის დოკუმენტებს, დეკლარაციებს, განცხადებებს და ასევე იღებენ სხვადასხვა ტიპის ინფორმაციას, ცნობებს, აქტებს, განცხადებებზე პასუხებს და სხვადასხვა სახის მომსახურებას. ელექტრონული განაცხადის დანერგვამდე, მომსახურების სერვისით სარგებლობისათვის, გადასახდის გადამხდელებს უწევდათ შემოსავლების სამსახურის სერვისცენტრებში (რომლებიც განთავსებულია ქვეყნის ყველა რეგიონში და რაიონულ ცენტრებში) და საბაჟო გამშვებ პუნქტებში მისვლა, ქალაქდურ მატარებელზე არსებული სპეციალური ფორმის მოძიება (დეკლარაციის ფორმები, განცხადების შებლონები და სხვა), შევსება და რეგისტრაციის მიხედვით სერვისცენტრში დოკუმენტების/განცხადების ჩაბარება, ხანგრძლივად რიგში დგომა დოკუმენტების/განცხადებების ჩასაბარებლად და ასევე რიგში დგომა მომსახურების, პასუხის მისაღებად.

შემოსავლების სამსახურის სახელზე შემოსული ყველა ტიპისა და შინაარსის განცხადება/მოთხოვნა იწერებოდა შემოსავლების სამსახურის ან რეგიონული ცენტრების უფროსის სახელზე, რაც იწვევდა განცხადების უშუალო შემსრულებელთან დაგვიანებით მისვლას ან საერთოდ არადანიშნულებით გადაცემას. რადგან კორესპონდენციის გავლა მოითხოვდა დროის დიდ დანახარჯს, განცხადება ხშირ შემთხვევაში შევსებული იყო ხელით, რის გამოც ზოგ შემთხვევაში შეუძლებელი იყო

ჩანაწერის წაკითხვა ან არასწორად იყო წარმოდგენილი განცხადების შინაარსი, ან განცხადება არ შეიცავდა მომსახურების მიღებისთვის საჭირო ყველა მონაცემს. ყოველივე ზემოაღნიშნული აფერხებდა მოთხოვნილი სერვისის შესრულებას. ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდებოდა შემსრულებლის სწორად იდენტიფიცირება, რაც იწვევდა განცხადების არასწორად განაწილებას, განცხადებების ხელით გადანაწილების შემთხვევაში თითქმის არასდროს არ ხერხდებოდა სამართლიანობის პრინციპით სამუშაოების გადანაწილება, რიგ თანამშრომელზე ხდებოდა დიდი ოდენობით განცხადებების გადაცემა, რის გამოც თანამშრომლებს უწევდათ არასამუშაო საათებში სამსახურში დამატებით შეყოვნება და მათზე დაკისრებული მოვალეობის, დავალების შესრულება. გართულებული იყო ის გარემოებაც, რომ თუ განცხადების მიმღები ვერ ახერხებდა დროულად დავალების შესრულებას სხვადასხვა მიზეზის გამო (ბიულეტენი, შვებულება) მის სახელზე შემოსული განცხადების სხვა თანამშრომელზე გადაწერა დამატებით საჭიროებდა კანცელარიის მუშაკის ჩარევას და პრაქტიკულად ასეთი მიდგომა საკითხის მიმართ არ განიხილებოდა.

ყველა შემოსული წერილი, გადიოდა შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელების იერარქიულ საფეხურს, ითხოვდა უშუალო უფროისასგან ვიზირებას, ხელმოწერას, ასევე შემსრულებლის მიერ მომზადებული წერილიც გადიოდა იმავე გზას ვიზირებიდან ხელმოწერამდე. შესაბამისად, ვერ ხერხდებოდა პასუხების დროულად მომზადება, რაც ცალსახად იწვევდა გადასახადის გადამხდელის მხრიდან უკმაყოფილებას, რადგან ხშირ შემთხვევაში, დაგვიანებული პასუხი ზიანს აყენებდა მის მიმდინარე ბიზნეს პროცესებს.

ასევე შესაძლებელი იყო განცხადებით, წერილობით წარმოდგენილი ინფორმაცია არ ყოფილიყო საკმარისი მოთხოვნილი მომსახურების გასაწევად და საჭირო ხდებოდა დამატებითი ინფორმაციის მოწოდება. აღნიშნულის თაობაზე გადამხდელის ინფორმირება ხშირ შემთხვევაში არ ხდებოდა იმ მიზეზით, რომ განცხადებაზე არ მიეთითებოდა (ან არასწორად

მიეთითებოდა) საკონტაქტო პირის კოორდინატები, აღნიშნულის შესახებ გადამხდელის ინფორმირება შესაძლებელი იყო მხოლოდ მისი უშუალოდ შემოსავლების სამსახურში მისვლის შემდეგ. გადამხდელის ინფორმირების შემდეგ ახალი განაცხადით მის მიერ წარდგენილი დამატებითი ინფორმაცია გადიოდა იმავე გზას, რასაც პირველადი და არაფრით არ იყო დაკავშირებული მასთან, რაც ართულებდა შემსრულებლის იდენტიფიცირებას და ხშირ შემთხვევაში, რთულდებოდა და დროში იწელებოდა პასუხის მომზადების და მიღების პროცედურა, შესაბამისად, რთულდებოდა მიმოწერის პროცესი.

გადასახადის გადამხდელი მოთხოვნილ სერვისზე (განცხადებაზე) პასუხის მისაღებად კვლავ უნდა მისულიყო შემოსავლების სამსახურში (შესაბამის რეგიონში), კანცელარიის მუშაკის დახმარებით მოეძებნა მისი განცხადება, გაეგო რეგისტრაციის ნომერი, მოეძებნა შემსრულებელი და უშუალოდ შემსრულებლისგან უნდა გაეგო დაწყებულია თუ არა მისი განცხადების განხილვა. თუ მოხდებოდა ყოველივე ამის გაგება, საჭირო იყო უშუალოდ შემსრულებელთან მისვლა ან დაკავშირება განცხადების შესრულების მდგომარეობის გასაგებად, თუ განხილვის მსვლელობაში გაირკვეოდა, რომ განცხადების შესასრულებლად საჭირო იყო დამატებითი დოკუმენტების წარდგენა - გადამხდელს სჭირდებოდა კიდევ მისვლა შემოსავლების სამსახურში დამატებითი დოკუმენტების წარსადგენად. ყველა დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ პასუხის მისაღებად საჭირო იყო კიდევ დრო, რადგან მომზადებული პასუხი გადიოდა იგივე გზას, რასაც შემოსული განცხადება, უშუალო ხელმძღვანელიდან დაწყებული (დავიზებით), ზემდგომი უფროსის ხელმოწერით, კვლავ კანცელარიაში გატარებით ნომრის მისანიჭებლად.

პასუხის მისაღებად გადასახადის გადამხდელს უწევდა კვლავ საბაჟო/საგადასახადო ორგანოში მისვლა, თუმცა პასუხის გაგზავნა რიგ შემთხვევაში ხორციელდებოდა საქართველოს ფოსტის დახმარებით, საფოსტო გზავნილით, რომლის მიღებასაც სჭირდებოდა დროის გარკვეული

პერიოდი და ხშირ შემთხვევაში გადამხდელს უგვიანდებოდა პასუხი. უარეს შემთხვევაში კი შესაძლებელი იყო არასწორი მისამართის მითითების გამო პასუხი საერთოდ არ მიეღო.

ყოველივე ზემოაღწერილიდან ჩანს, რომ განცხადების, წერილების და მოთხოვნების დამუშავებაში მონაწილეობას იღებდა თანამშრომელთა დიდი რაოდენობა. იხარჯებოდა როგორც შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა, ასევე გადასახდის გადამხდელთა დიდი ადამიანური რესურსი და რაც მეტად საგულისხმოა - დრო.

პრობლემას წარმოადგენდა განცხადებების მოძრაობის მონიტორინგი, საერთოდ შეუძლებელი იყო სტატისტიკის მომზადება. შეუძლებელი იყო გადასახადის გადამხდელის და ხელმძღვანელი მუშაკის მხრიდან თვალყურის დევნა განცხადებების შესრულების მიმდინარეობაზე, შესრულების ვადებზე, შესრულების ხარისხზე და საერთოდ გართულებული იყო პროცესის მართვა.

შემოსავლების სამსახურში ქალაქური ფორმით წარსადგენი იყო სხვადასხვა სახისა და შინაარსის განცხადებები, რომელთა უმეტეს ნაწილს ჭირდებოდა დამატებითი დოკუმენტის ასლების თანხლება, რაზეც წინასწარ გადასახადის გადამხდელის (მოთხოვნის მაძიებელი პირის) ინფორმირება არ ხდებოდა.

ასეთი პროცესის შედეგად შემოსავლების სამსახური ვერ აწვდიდა გადასახადის გადახდელს სათანადო სერვისს, ვერ სთავაზობდა ხელსაყრელ გარემოს მომსახურების მისაღებად და საბოლოოდ ვიღებდით განაწყენებულ მომხმარებლებს - გადასახის გადამხდელებს, უკმაყოფილო საზოგადოებას.



## 2.2. რეფორმამდე განცხადებების დეტალური შესწავლა

კვლევის და საკითხის დეტალურად შესწავლის შედეგად დაიწერა არსებული მდგომარების დეტალური დოკუმენტი, რომელიც კვლავ გაეგზავნა შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელობას.

300 განცხადებიდან კვლევის შედეგად გამოვყავით ისეთი განცხადებები, რომლის განთავსება შესაძლებელი გახდებოდა პორტალზე გადასახადის გადამხდელთა პირად სივრცეში:

### I. მოთხოვნა თანხების კორექტირებაზე

- გადასახადის გადამხდელის პირად ბარტზე თანხების დარიცხვა/შემცირება

1. დავალიანების ჩამოწერა - იმ შემთხვევაში, როდესაც წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციით/გაანგარიშებით გამოქვითების თანხები აღემატება ერთობლივ შემოსავალს ან ჩასათვლელი თანხა აღემატება დარიცხულ თანხას

2. ზარალის გადატანის შესახებ - გადამხდელი განაცხადით მიმართავს იმ შემთხვევაში, თუ სურს ზარალის გადატანის 5-წლიანი ვადა შეცვალოს ზარალის გადატანის 10-წლიანი ვადით, ან პირიქით

3. მიწის გადასახადი დარიცხვის შესახებ - თუ ფიზიკურ პირი ან ორგანიზაცია ფლობს მიწას 2005 ან 2006 წლიდან, რომელზეც არ განუხორციელებია მიწის გადასახადის დარიცხვა, აღნიშნული განცხადებით შესაძლებელია მოითხოვოს 2005 ან/და 2006 წლების მიწის გადასახადის დარიცხვა

4. მოგების (საშემოსავლო) გადასახადის მიმდინარე გადასახდელების შემცირების/არგადახდის შესახებ დასაბეგრი შემოსავლის არანაკლებ 50%-ით შემცირების შემთხვევაში - თუ მიმდინარე საგადასახადო წლის მოსალოდნელი დასაბეგრი შემოსავალი (მოგება), მათ შორის, საგადასახადო შეღავათების გათვალისწინებით, არანაკლებ 50 პროცენტით მცირდება

გასული საგადასახადო წლის დასაბეგრ შემოსავალთან (მოგებასთან) შედარებით და მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვადის დადგომამდე გადამხდელი მიმართავს შემოსავლების სამსახურს აღნიშნული განაცხადით, მას უფლება აქვს შეამციროს ან საერთოდ არ გადაიხადოს მიმდინარე გადასახდელების თანხები

5. საგადასახადო დეკლარაციების წარმოდგენის შესახებ – 2007 წლამდე პერიოდის დეკლარაციის წარმოდგენის ვალდებულების ან საქმიანობის შეწყვეტის შესახებ დეკლარაციის შედგენისას ივსება განცხადება დეკლარაციის ფორმებთან ერთად

6. სავარაუდო დარიცხვის მოხსნის შესახებ - გადასახადის თანხის დარიცხვა გკაბ-ზე გულისხმობს საგადასახადო ორგანოს მიერ კონკრეტულ საგადასახადო პერიოდისათვის გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის, სხვა ვალდებული პირის კუთვნილი საგადასახადო ვალდებულებების აღრიცხვას. დარიცხვა გულისხმობს შესწორებით დარიცხვას და სავარაუდო დარიცხვასაც. ამასთან, თუ არსებობს შესწორებითი დარიცხვა, მაშინ უქმდება სავარაუდო დარიცხვა

7. საწარმო/ორგანიზაციათა ქონების გადასახადის მიმდინარე გადასახდელების შემცირების / არგადახდის შესახებ საგ. ვალდებ. არანაკლებ 50%-ით შემცირების შემთხვევაში - თუ ქონებაზე ქონების გადასახადის მიმდინარე საგადასახადო წლის მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულების ოდენობა, მათ შორის, საგადასახადო შეღავათების გათვალისწინებით, არანაკლებ 50 პროცენტით მცირდება გასულ საგადასახადო წელთან შედარებით და აღნიშნულის შესახებ გადამხდელი მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვადის დადგომამდე არაუგვიანეს მიმდინარე წლის 1 ივნისისა აცნობებს შესაბამის საგადასახადო ორგანოს, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, შეამციროს ან საერთოდ არ გადაიხადოს მიმდინარე გადასახდელების თანხა

8. ფიზიკური პირის მიერ ქონების გადასახადის დეკლარაციის არ წარმოდგენის შესახებ - ფიზიკური პირი, რომელსაც არ აქვს ქონების

გადასახადის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება, მიმართავს საგადასახადო ორგანოს აღნიშნული განცხადების ფორმით. აღნიშნული განცხადება წარედგინება არაუგვიანეს საგადასახადო წლის 15 მაისისა

9. წლიური დეკლარაციის გადავადების შესახებ - წლიური საშემოსავლო, მოგების ან ქონების გადასახადის საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადა გრძელდება 3 თვით, თუ პირს გადახდილი აქვს დასადეკლარირებელი პერიოდის მიმდინარე გადასახდელები (ან არა აქვს მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვალდებულება) და ვადის გაგრძელების თაობაზე საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადის გასვლამდე წერილობით მიმართავს საგადასახადო ორგანოს (საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით). საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადის გაგრძელებით არ იცვლება გადასახადის გადახდის ვადა

- მოთხოვნა სახიდან სახეში გადახდილი თანხის გადატანის შესახებ

10. გაურკვეველი თანხების გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახვის შესახებ (საბაჟო) - სასაქონლო ოპერაციებთან დაკავშირებით (საბაჟო კუთხით) გადახდილი და პირადი აღრიცხვის ბარათზე აუსახავი თანხის არსებობის შემთხვევაში მოწოდებული დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ ხორცილდება პირადი აღრიცხვის ბარათის კორექტირება

11. გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე გადახდილი თანხის მოძიების და შემდგომ ასახვის შესახებ

12. დეპოზიტიდან შესაბამის სახაზინო კოდზე თანხის გადატანის შესახებ - დეპოზიტიდან თანხის ბიუჯეტში გადარიცხვისას განცხადებით უნდა მიმართონ შესაბამის საგადასახადო ორგანოს

13. ზედმეტად გადახდილი თანხის გადატანა ერთი გადასახადის სახიდან მეორე გადასახადის ვალდებულებათა ანგარიშზე - ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხის არსებობის შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებულ პირი უფლებამოსილია მოითხოვოს აღნიშნული თანხის გადატანა გადასახადის ერთი სახიდან მეორე სახეში

14. სახაზინო კოდზე არასწორად გადახდილი თანხის შესაბამის სახაზინო კოდზე გადატანის შესახებ - თანხის არასწორ სახაზინო კოდზე გადახდისას, განცხადების შევსებით შესაძლებელია მოითხოვონ არასწორად გადახდილი თანხის სწორ სახაზინო კოდზე გადატანა

- თანხის დაბრუნების შესახებ მოთხოვნა

15. ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხის დაბრუნების შესახებ - ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხის არსებობის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი უფლებამოსილია, მოითხოვოს აღნიშნული თანხის დაბრუნება პირად ანგარიშზე

16. სათამაშო ბიზნესთან დაკავშირებით შეცდომით გადარიცხული ან გამოუყენებელი თანხის დაბრუნების შესახებ - თუ გადამხდელმა შეცდომით გადარიცხა თანხა სანებართვო მოსაკრებლის სახაზინო კოდზე ან არ გამოუყენებია გადარიცხული თანხა, მაშინ განცხადებით უნდა მიმართოს შემოსავლების სამსახურს. შემოსავლების სამსახური განიხილავს წარმოდგენილ დოკუმენტებს, გადაამოწმებს აღნიშნულს უწყებრივ სანებართვო რეესტრში და 10 დღის ვადაში დაუდასტურებს თანხის გამოუყენებლობას

## II. Prive - პირადი მრჩეველის მოთხოვნის შესახებ

- პირადი საგადასახადო მრჩეველი-პრივე

17. Prive-პირადი საგადასახადო მრჩეველის მოთხოვნა - ორგანიზაციას, რომელიც იმყოფება საგადასახადო ორგანოში აღრიცხვაზე, საშუალება აქვს აიყვანოს პირადი საგადასახადო მრჩეველი, რომელიც ხელშეკრულების ვადებში ვალდებული იქნება აცნობოს საგადასახადო საბაჟო ორგანოებში მიმდინარე საკანონმდებლო სიახლეები და დაეხმაროს ორგანიზაციას საბუთების მოწესრიგებაში

III. სალარო აპარატების/ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტის(ჩგდ)/ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მოთხოვნა

- საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა

18. დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციაზე კომპიუტერული წესით ამობეჭდილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ველის შემოღების შესახებ - დღგ-ს გადამხდელი, რომელიც საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა სამეურნეო ოპერაციის ბუღალტრულ აღრიცხვას ახდენს კომპიუტერული სისტემებისა და პროგრამების გამოყენებით, რომელთა მიერ მომსახურების გაწევა ან ელექტრო და თბოენერჯის, გაზისა და წყლის მიწოდება ხდება რეგულარულად ან უწყვეტად მომხმარებელთა ფართო წრისათვის, შეუძლია გადავიდეს კომპიუტერული წესით ამობეჭდილი დღგ-ის ანგარიშფაქტურის გამოყენებაზე

19. დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციაზე კომპიუტერული წესით ამობეჭდილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ველის გაგრძელების შესახებ - თუ გადამხდელი უკვე სარგებლობს დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებზე ელექტრონული ანგარიშფაქტურის გამოწერის უფლებით და ამოწურა ან ეწურება შემოსავლების სამსახურის მიერ მისთვის გამოყოფილი ანგარიშ-ფაქტურებისათვის მინიჭებული ნუმერაციის ველი, ველის გაგრძელების უფლების მოპოვებისათვის უნდა განაცხადოს შემოსავლების სამსახურში

20. ანგარიშ-ფაქტურების რეესტრში ცვლილების შესახებ

21. არქივიდან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების ასლების მოთხოვნა - გადამხდელს შეუძლია დოკუმენტის ასლის მიღება, ამისათვის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით უნდა მიმართოს შესაბამის საგადასახადო ორგანოს

22. გრანტით შექმნილ საქონელზე გადახდილი დღგ-ს აღრიცხვის შესახებ - გრანტის მიმღებ პირს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ყიდულობს გრანტის ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებულ საქონელს ან/და ამავე საწყისებზე იღებს მომსახურებას, უფლება აქვს, ჩაითვალოს ამ საქონლისათვის/მომსახურებისათვის

გადახდილი დღგ-ის გადასახადი. გადასახადის გადამხდელი საგადასახადო ორგანოში წარდგენილ განცხადებას დაურთავს საგადასახადო, ნავთობპროდუქტის და ხე-ტყის სპეციალურ საგადასახადო ანგარიშფაქტურებს, უკუდაბეგვრისას ბიუჯეტში დამატებული ღირებულების გადახდილი გადასახადის დამადასტურებელ დოკუმენტს, აგრეთვე, ამონაწერს (ქართულ ენაზე ნათარგმნ და ნოტარიულად დამოწმებულს) გრანტის შესახებ ხელშეკრულებიდან, რომელზედაც იქნება მითითებული ხელშეკრულების ნომერი, მიმღები, განხორციელების ვადები, გრანტის მიზანი და ბიუჯეტი. ამასთან, გრანტის ფარგლებში გადახდილი დღგ-ის თანხის გადამხდელის განცხადება. დღგ-ის პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახვის მიზნით საგადასახადო ორგანოში წარდგენილი უნდა იყოს დასაბეგრი ოპერაციის განხორციელება მომდევნო 3 თვის ვადაში

23. დაკარგულ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე განაცხადის შესახებ - დღგ-ის ანგარიშფაქტურა არის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი, დაუშვებელია საგადასახადო ორგანოს მიერ გადამხდელზე გაცემული ანგარიშფაქტურის ბლანკების სხვა პირისათვის გადაცემა. შევსებული საგადასახადო, სპეციალური და კორექტირების საგადასახადო ანგარიშფაქტურის დაკარგვის შემთხვევაში დაუყონებლივ უნდა აცნობოს საგადასახადო ორგანოს ამ ანგარიშ-ფაქტურის გაუქმების გამო

24. დღგ-ს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების (მათ შორის კორექტირების ა/ფ) გაცემის შესახებ

25. დღგ-ს სპეც-ანგარიშფაქტურების გაცემის შესახებ - დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის კორექტირების გამო მატერიალური ფორმის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიღებისათვის გადამხდელმა უნდა მიამართოს აღნიშნული განაცხადით

26. ელექტრონული ანგარიშ-ფაქტურის გაუქმების შესახებ - აღნიშნულ განცხადებას ავსებს გადამხდელი არასწორად შევსებული/გასაუქმებელი ელექტრონული ანგარიშ-ფაქტურის

შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზაში გასაუქმებელის სტატუსის მინიჭების მიზნით

27. ელექტრონული შეტყობინების საფუძველზე წარმოდგენილი დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურებისა და დეკლარაციების ასლების შესახებ - საგადასახადო (მათ შორის სპეციალური) ანგარიშ-ფაქტურის ასლის გამოთხოვის შესახებ წარადგინოს გამოთხოვილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ასლი. აგრეთვე, გადასახადის გადამხდელს ელექტრონული დეკლარირებისას დაშვებული უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში, შეუძლია, ისარგებლოს აღნიშნული განცხადების ფორმით, კერძოდ, დღგ-ის დეკლარაციაში საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში არასწორად შეტანილი მონაცემები. შესაძლებელია, აღნიშნული განაცხადის ფორმით წარდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ასლის საფუძველზე განხორციელდეს ერთიან-კომპიუტერულ ბაზაში შესაბამისი შესწორება

28. მატერიალური ანგარიშ-ფაქტურის გაუქმების შესახებ - არასწორად შევსებული/გასაუქმებელი ანგარიშ-ფაქტურის შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზაში გასაუქმებელის სტატუსის მინიჭების მიზნით ივსება აღნიშნული განცხადება

29. სტამბური ხარვეზით გამოწვეული საგადასახადო და სპეციალურ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში განსხვავებულ მონაცემებზე რეაგირების შესახებ - დეკლარირებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის სხვადასხვა ეგზემპლარზე სტამბური ხარვეზით გამოწვეული, ტიპოგრაფიის მიერ შეცდომით ჩაბეჭდილი ნომრის აღმოჩენის შემთხვევაში, გადამხდელი მიმართავს საგადასახადო ორგანოს განცხადებით, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების მასთან არსებულ ეგზემპლარებში ცვლილებების შეტანის თაობაზე. განცხადებას თან უნდა დაერთოს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დასკანერებული ვერსია

30. ხე-ტყისა და მისი პირველადი გადამუშავების პროდუქტის სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაცემა - „ხე-ტყისა და მისი პირველადი გადამუშავების პროდუქტის რეალიზაციისათვის“ საჭირო

სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაცემის მიზნით ივსება აღნიშნული განაცხადი

- სალარო აპარატები/ჩგდ

31. GPRS საკონტროლო-სალარო აპარატების მისამართების ცვლილების შესახებ - განცხადება ივსება საქმიანობის ადგილის ცვლილებისას, GPRS სისტემის საკონტროლო-სალარო აპარატის მისამართის ცვლილების მიზნით

32. GPRS საკონტროლო-სალარო აპარატების რეგისტრაციიდან მოხსნის შესახებ - გადამხდელის კუთვნილი GPRS სისტემის საკონტროლო-სალარო აპარატის რეგისტრაციიდან მოხსნისათვის ივსება აღნიშნული განაცხადი

33. ახალი GPRS საკონტროლო-სალარო აპარატის რეგისტრაციის შესახებ - განცხადება ივსება ახალი GPRS საკონტროლო-სალარო აპარატის რეგისტრაციის მიზნით

34. რეგისტრაციიდან მოხსნილი GPRS საკონტროლო-სალარო აპარატის სხვა პირზე დარეგისტრირების შესახებ - თუ გადამხდელს სურს დაირეგისტროს ის GPRS სისტემის საკონტროლო-სალარო აპარატი, რომელიც ერთხელ უკვე იყო რეგისტრირებული სხვა პირზე, უნდა წარადგინოს აღნიშნული განაცხადი

35. საბუღალტრო აღრიცხვის პირველადი დოკუმენტის, როგორც ჩვეთან გათანაბრებული დოკუმენტის გამოყენების შესახებ - თუ გადამხდელი ახორციელებს საქონლის/მომსახურების მიწოდებას და ნაღდი ფულის მიღებას მომხმარებლის ტერიტორიაზე (სახლში, ორგანიზაციებში, საწარმოებში) ნაღდი ფულის ანგარიშსწორების დასაფიქსირებლად, სსა-ის ნაცვლად შესაძლებელია გამოიყენოს შემოსავლების სამსახურში რეგისტრირებული საბუღალტრო აღრიცხვის პირველადი დოკუმენტი, როგორც ჩვეთან გათანაბრებული დოკუმენტი, ამის მოთხოვნის მიზნით ივსება განცხადება



36. საკონტროლო სალარო აპარატის რეგისტრაციიდან მოხსნის შესახებ - განცხადება ივსება საკონტროლო სალარო აპარატის რეგისტრაციიდან მოხსნის მიზნით

37. საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვის შესახებ

38. ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტის გაუქმებულის/დაკარგულის სტატუსის მინიჭება - აღნიშნული განცხადება ივსება ჩგდ-ის გაუქმების მიზნით თუ ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტი შევსებულია არასწორად ან დაკარგულია და გადამხდელს სურს აღნიშნული ნომრის გაუქმება

39. ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტების რეგისტრაციის შესახებ - თუ გადამხდელი საქონლის/მომსახურების მიწოდებას და ნაღდი ფულის მიღებას ახორციელებს მომხმარებლის ტერიტორიაზე (სახლში, ორგანიზაციებში, საწარმოებში) საქმიანობის განხორციელებისას ნაღდი ფულადი ანგარიშსწორების დასაფიქსირებლად, საკონტროლო-სალარო აპარატის ნაცვლად შესაძლებელია გამოიყენოს ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტი, რისთვისაც უნდა გაიაროს რეგისტრაცია

#### IV. ყადაღა/ ინკასო/გირავნობა მოხსნის მოთხოვნის შესახებ

- გირავნობა/იპოთეკის გაუქმება

40. დავალიანების დაფარვის შემთხვევაში საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის გაუქმების შესახებ - თუ გადამხდელი დაფარავს დავალიანებას შეუძლია განცხადებით მიმართოს საგადასახადო ორგანოს აღნიშნული უფლების გაუქმების მოთხოვნით . განცხადებას უნდა დაურთოს დავალიანების დაფარვის დამადასტურებელი დოკუმენტი (საგადახდო დავალება), რომლის შესაბამისადაც დავალიანება დაფარულია

41. საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის გაუქმების შესახებ - თუ გადასახადის გადამხდელს ერიცხება დავალიანება, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს გირავნობით/იპოთეკით დატვირთოს მის საკუთრებაში ან ბალანსზე რიცხული ქონება. კონკრეტულ ქონებაზე შეიძლება გაუქმდეს საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება შემდეგ შემთხვევებში: აღმასრულებლის მიერ

საგად. გირავნობით/იპოთეკით დატვირთული ქონების დავალიანების დაფარვის მიზნით რეალიზაციის შემთხვევაში; თუ გადამხდელმა საგადასახადო ორგანოს წერილობითი თანხმობით განახორციელა ქონების ან მისი ნაწილის რეალიზაცია და ამონაგები თანხა სრულად მიმართა დავალიანების დასაფარავად; თუ გააჩნია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება საგად. გირავნობის/იპოთეკის გაუქმების თაობაზე და სხვა. დამატებითი ინფორმაციის ველში მიეთითება გირავნობის/იპოთეკის გაუქმების მოთხოვნის ზემოთ ჩამოთვლილი საფუძვლებიდან ერთ-ერთი. განცხადებას უნდა დაერთოს აღმასრულებლის შესაბამისი განკარგულება ან საგადასახადო ორგანოს თანხმობა ქონების რეალიზაციის შესახებ, ასევე ამონაგები თანხის დავალიანების დასაფარავად მიმართვის დამდასტურებელი დოკუმენტი (საგადახდო დავალება), კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება საგად. გირავნობის/იპოთეკის გაუქმების თაობაზე და სხვა

- საინკასო დავალების მოხსნის მოთხოვნა

42. საბანკო ანგარიშებზე წარდგენილი საინკასო დავალებების მოხსნის შესახებ - თუ გადამხდელი დაფარავს დავალიანებას, ან გააჩნია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება საინკასო დავალებების გაუქმების თაობაზე, შეუძლია განცხადებით მიმართოს საგადასახადო ორგანოს საბანკო ანგარიშებზე წარდგენილი საინკასო დავალებების გამოთხოვის მოთხოვნით. განცხადებას უნდა დაერთოს დავალიანების დაფარვის დამდასტურებელი დოკუმენტი (საგადახდო დავალება), რომლის შესაბამისადაც დავალიანება დაფარულია ან კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება საინკასო დავალებების გაუქმების თაობაზე

- ყადაღის მოხსნის შესახებ მოთხოვნა

43. ყადაღადადებული ქონების იჯარით გაცემის თანხმობის შესახებ - დავალიანების დაფარვის მიზნით დაყადაღებული ქონების (უძრავ/მოძრავი) იჯარით გაცემის უფლების მისაღებად გადამხდელმა განცხადებით უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს. საგადასახადო ორგანომ შეიძლება გასცეს

ასეთი თანხმობა იმ პირობით, თუ ამ ქონების იჯარას გადამხდელი განახორციელებს არანაკლებ ექსპერტის დასკვნის შესაბამისად განსაზღვრული ღირებულებისა (სასურველია, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა) და იჯარის თანხა სრულად იქნება მიმართული მასზე რიცხული დავალიანების დასაფარავად. განცხადებას უნდა დაურთოს ექსპერტის დასკვნა საიჯარო ქირის ოდენობის თაობაზე, ხოლო უძრავი ქონების იჯარის შემთხვევაში - დამატებით, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

44. დავალიანების დაფარვის შემთხვევაში ქონებაზე დადებული ყადაღის მოხსნის შესახებ - გადამხდელს შეუძლია განცხადებით მიმართოს საგადასახადო ორგანოს ქონებაზე დადებული ყადაღის მოხსნის თაობაზე, თუ დაფარა დავალიანება, წარმოადგენს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას ყადაღის გაუქმების შესახებ

45. საბანკო ანგარიშებზე წარდგენილი ყადაღის მოხსნის შესახებ - გადასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის დადება საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალებაა. თუ გადამხდელს ერიცხება საგადასახადო დავალიანება, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს ყადაღა დაადოს მის საკუთრებაში ან ბალანსზე რიცხულ ქონებას, მათ შორის ყადაღა დაადოს საბანკო ანგარიშებს (საგადასახადო დავის შემთხვევაში). გადამხდელს შეუძლია განცხადებით მიმართოს შესაბამის საგადასახადო ორგანოს საბანკო ანგარიშებზე დადებული ყადაღის მოხსნის თაობაზე. განცხადებას უნდა დაურთოს მის სასარგებლოდ დასრულებული გადაწყვეტილება, ან დავალიანების დაფარვის დამადასტურებელ დოკუმენტი (საგადახდო დავალება), რომლის შესაბამისადაც დავალიანება არ ერიცხება, ან სადავო დავალიანების უზრუნველსაყოფად წარადგინოს შეფასებული ქონება საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დასატვირთად, ან საბანკო/სადაზღვევო გარანტია

46. საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების თაობაზე

47. ყადაღადადებული/საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციაზე თანხმობის გაცემის შესახებ - საგადასახადო ორგანომ შეიძლება გადამხდელს მისცეს ასეთი თანხმობა იმ პირობით, თუ ამ ქონების რეალიზაციას განხორციელებს არანაკლებ ექსპერტის დასკვნის შესაბამისად განსაზღვრული ღირებულებისა (სასურველია, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა ქონების ღირებულების თაობაზე) და ამონაგები თანხა სრულად იქნება მიმართული მასზე რიცხული დავალიანების დასაფარავად

#### V. სათამაშო ბიზნესის საკითხებთან დაკავშირებული მოთხოვნები

- ლატარიის მოწყობა

48. ლატარიის შედეგების თაობაზე ინფორმაციის წარდგენა

49. ლატარიის თამაშობის მოწყობის/ცვლილების შეტანის შესახებ - თუ გადასახადის გადამხდელი ორგანიზებას უწევს ლატარიას და სურს, ლატარიის ახალი თამაშის მოწყობა/ცვლილების განხორციელება საჭიროა თანხმობის მისაღებად, განცხადებით მიმართოს შემოსავლების სამსახურს და წარუდგინოს ლატარიის მოწყობის პირობები

50. ლატარიის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციის წარდგენა - გადასახადის გადამხდელი, რომელიც ორგანიზებას უწევს ლატარიას, მოქმედი კანონმდებლობით ევალება, გათამაშების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია წარუდგინოს შემოსავლების სამსახურს

- მოსაკრებლის გადახდის შესახებ

51. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ნუმერაციის ველის გამოყოფის შესახებ - აღნიშნული განაცხადი ივსება იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელს აქვს მიღებული აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვა და სურს, სათამაშო აპარატების სალონის/სამორინეს ან/და სისტემურ ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის სალაროს ობიექტის გარეთ მოწყობისათვის სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ელექტრონული

ველის გამოყოფა. ელექტრონული ველის მისაღებად, განაცხადთან ერთად უნდა წარადგინოს მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი

52. სანებართვო მოსაკრებლის გადახდის შესახებ - მიეთითება რომელი წლის მოსაკრებელს იხდის გადამხდელი

- მოწყობის პირობებში ცვლილებების შეტანა

53. აზარტული კლუბის მოწყობის პირობებში ცვლილებების შეტანის შესახებ

54. აზარტული ტურნირის გამართვის შესახებ

55. ბინგოს მოწყობის პირობებში ცვლილების შეტანის შესახებ

56. ლოტოს მოწყობის პირობებში ცვლილებების შეტანის შესახებ

57. სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის პირობებში ცვლილების შეტანის შესახებ

58. სამორინეს მოწყობის პირობებში ცვლილების შეტანის შესახებ

59. ტოტალიზატორის მოწყობის პირობებში ცვლილების შეტანის შესახებ

ზემოთ ჩამოთვლილ განცხადებებს გადამხდელი ავსებს იმ შემთხვევაში, როდესაც აპირებს მის მიერ ორგანიზებულ თამაშების რეგლამენტში ცვლილებების შეტანას.

- ნებართვის აღება

60. წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვის აღების შესახებ

61. აზარტული კლუბის მოწყობის ნებართვის მიღების შესახებ

62. ბინგოს მოწყობის ნებართვის აღების შესახებ

63. ლოტოს მოწყობის ნებართვის აღების შესახებ

64. სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის აღების შესახებ

65. სამორინეს მოწყობის ნებართვის მიღების შესახებ

66. ტოტალიზატორის მოწყობის ნებართვის მიღების შესახებ

სათამაშო ბიზნესის ნებართვის ასაღებად გადამხდელმა უნდა შეავსოს შესამაბისი განაცხადი

- ნებართვის გაუქმება

67. წამახალისებელი გათამაშების ნებართვის გაუქმების შესახებ

68. სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის გაუქმების შესახებ

69. აზარტული კლუბის მოწყობის ნებართვის გაუქმების შესახებ

70. ბინგოს მოწყობის ნებართვის გაუქმების შესახებ

71. ლოტოს მოწყობის ნებართვის გაუქმების შესახებ

72. სამორინეს მოწყობის ნებართვის გაუქმების შესახებ

73. ტოტალიზატორის მოწყობის ნებართვის გაუქმების შესახებ

გადამხდელი ავსებს ნებართვას, როდესაც სურს სათამაშო ბიზნესის ნებართვის გაუქმება

- ნებართვის საჭიროების თაობაზე ინფორმაციის მიღება

74. ნებართვის საჭიროების თაობაზე ინფორმაციის მიღების შესახებ - განცხადებით შესაძლებელია ინფორმაციის მირება თუ რომელ ნებართვაზე რა ინფორმაციის წარდგენაა საჭირო

- ობიექტის ადგილმდებარეობის ცვლილება - არსებულ არეში გადამხდელი ავსებს ობიექტის ცვლილების შესახებ შესაბამის განცხადებას

75. აზარტული კლუბის ობიექტის ადგილმდებარეობის ცვლილების შესახებ

76. ბინგოს ობიექტის ადგილმდებარეობის ცვლილების შესახებ

77. ლოტოს ობიექტის ადგილმდებარეობის შეცვლის შესახებ

78. სათამაშო აპარატების სალონის ობიექტის ადგილმდებარეობის ცვლილების შესახებ

79. ტოტალიზატორის ობიექტის ადგილმდებარეობის შეცვლის შესახებ

80. წამახალისებელი გათამაშების ობიექტის ადგილმდებარეობის ცვლილების შესახებ

81. სამორინეს ობიექტის ადგილმდებარეობის ცვლილების შესახებ  
გადამხდელი ავსებს ნებართვას, როდესაც სურს სათამაშო ბიზნესის  
ობიექტის ადგილმდებარეობის ცვლილება

- საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

82. სათამაშო ბიზნესში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ

- ფუნქციონირების დროებით შეწყვეტა/განახლება

83. აზარტული კლუბის ფუნქციონირების დროებით  
შეწყვეტის/განახლების შესახებ

84. ბინგოს ფუნქციონირების დროებით შეწყვეტის/განახლების  
შესახებ

85. ლოტოს ფუნქციონირების დროებით შეწყვეტის/განახლების  
შესახებ

86. სათამაშო აპარატების სალონის ფუნქციონირების დროებით  
შეწყვეტის/განახლების შესახებ

87. სამორინეს ფუნქციონირების დროებით შეწყვეტის/განახლების  
შესახებ

88. ტოტალიზატორის ფუნქციონირების დროებით  
შეწყვეტის/განახლების შესახებ

ზემოთ ჩამოთვლილი განცხადებები გადამხდელმა უნდა შეავსოს,  
როდესაც იგი აპირებს მის მიერ ორგანიზებული თამაშობების საქმიანობის  
შეწყვეტას ან განახლებას.

- წამახალისებელი გათამაშების მოწყობა

89. წამახალისებელი გათამაშების ახალი ეტაპის მოწყობის შესახებ

90. წამახალისებელი გათამაშების შედეგების თაობაზე ინფორმაციის  
წარდგენა

VI. სტატუსები/სერტიფიკატები/ცნობები

- ASYCUDA-ში დაშვების მოთხოვნა

91. დროებითი შენახვის განაცხადის ელექტრონული დეკლარირებისათვის „ASYCUDA“-ში დაშვება - დროებითი შენახვის განაცხადის ელექტრონული დეკლარირებისათვის მონაცემთა ავტომატიზებულ სისტემა „ASYCUDA“-ში დაშვება ხორციელდება მოცემული განცხადების სათანადოდ შევსების საფუძველზე

92. მონაცემთა ავტომატიზებულ სისტემა „ASYCUDA“-ში თავდაპირველად დაშვება - ხორციელდება საწარმოს ან მეწარმე ფიზიკური პირის მიერ სათანადო დოკუმენტაციის წარდგენით

93. მონაცემთა ავტომატიზირებულ სისტემა „ASYCUDA“-ში დაშვებული საწარმოს ან ფიზიკური პირის სხვა საბაჟო ორგანოს კოდზე დაშვება - ხორციელდება მოცემული განცხადების ფორმით წარმოდგენილი ველების სათანადოდ შევსების საფუძველზე

94. საქონლის საწყობში, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში ან სხვა ადგილზე გამოცხადების დადასტურების მიზნით „ASYCUDA“-ში დაშვება - საქონლის საწყობში, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში ან სხვა დანიშნულების ადგილზე, დაშვება ხორციელდება მოცემული განცხადების ფორმით წარმოდგენილი ველების სათანადოდ შევსების საფუძველზე

- ორმაგი დაბეგვრა

95. ფორმა N1 - საგადასახადო აგენტის განცხადება არარეზიდენტისთვის შემოსავლის გადახდამდე წყაროსთან დასაკავებელი გადასახადის გადახდისგან გათავისუფლებაზე ან შემცირებაზე - რეზიდენტობის ცნობის მოთხოვნა. ივსება და საგადასახადო ორგანოს წარედგინება საგადასახადო აგენტის მიერ ერთი ან რამდენიმე არარეზიდენტისათვის ერთი ან რამდენიმე სახის შემოსავლის გადახდის აღსარიცხად. ფორმა N1 ივსება ერთ ეგზემპლიარად და საგადასახადო ორგანოს წარედგინება არარეზიდენტისათვის თანხის გადახდამდე

96. ფორმა N2 არარეზიდენტის დეკლარაცია საქართველოში გადახდილი/დაკავებული გადასახადების შესახებ და მოთხოვნა თანხის დაბრუნების თაობაზე. ფორმა N2-ს ავსებს და რეზიდენტობის



დამადასტურებელი ცნობის დედანთან (და მის ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებულ თარგმანთან) ერთად საგადასახადო ორგანოში წარადგენს საქართველოს წყაროდან შემოსავლის მიმღები არარეზიდენტი ან არარეზიდენტის კანონიერი/უფლებამოსილი წარმომადგენელი საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე

97. ფორმა N3 არარეზიდენტის მიერ საქართველოში გადახდილი/დაკავებული გადასახადების შესახებ ცნობის მოთხოვნა. ფორმა N3-ს ავსებს და საგადასახადო ორგანოში წარადგენს საქართველოს წყაროდან შემოსავლის მიმღები არარეზიდენტი ან არარეზიდენტის კანონიერი/უფლებამოსილი წარმომადგენელი საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე

98. ფორმა N4 - რეზიდენტობის ცნობის მოთხოვნა. ფორმა N4-ს ავსებს და საგადასახადო ორგანოში წარადგენს საქართველოს რეზიდენტი

99. არარეზიდენტისთვის გადახდილი საშემოსავლო გადასახადის შესახებ ცნობის გაცემის თაობაზე - არარეზიდენტის მოთხოვნის შემთხვევაში, დანართი N4-ს მიხედვით გაიცემა ცნობა არარეზიდენტის მიერ საქართველოში გადახდილი/დაკავებული გადასახადების შესახებ

- სერტიფიკატების გაცემა

100. არაიოდიზებული მარილის იმპორტის ნებართვის მოთხოვნა - ნებართვის მისაღებად გადამხდელმა უნდა შეავსოს განაცხადი აუცილებელი დოკუმენტებით. ნებართვის აღება შესაძლებელია ნებისმიერ საბაჟო გამშვებ პუნქტში, ასევე საბაჟო დეპარტამენტში და გაფორმების დეპარტამენტის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში

101. დღგ-ს ნულოვანი განაკვეთით სარგებლობის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემის შესახებ - დღგ-ს ნულოვანი განაკვეთით სარგებლობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ასაღებად პროექტის მონაწილემ, წილის მფლობელმა, კონტრაქტორმა, საოპერაციო კომპანიამ,

გამგზავნა ან აფილირებულმა პირმა უნდა შეავსოს განაცხადი და წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია

102. ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვა

103. საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის „დუბლიკატის“ ან „შემცვლელი“ სერტიფიკატის გაცემა - საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში (მისი მოქმედების ვადის ამოწურვამდე), ექსპორტიორს შეუძლია შეავსოს განაცხადი და აიღოს საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის დუბლიკატი

104. საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემა - შემოსავლების სამსახურის მიერ გაიცემა საქონლის შეღავათიანი (პრეფერენციული) წარმოშობის სერტიფიკატები: ფორმა A, CT-1, EUR.1 და საქონლის შეღავათების გარეშე (არაპრეფერენციული) წარმოშობის სერტიფიკატი CERTIFICATE OF ORIGIN

105. საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის რეტროსპექტიულად გაცემის შესახებ - საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის აღება შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც ტვირთი უკვე ექსპორტირებულია. ამ შემთხვევაში ექსპორტიორმა განაცხადთან ერთად უნდა წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია (ანგარიშ-ფაქტურა (ინვოისი), კონტრაქტი, დეკლარაცია საქონლის კუთვნილებისა და კრიტერიუმების შესახებ, განხორციელებული ექსპორტის დამადასტურებელი დოკუმენტი)

106. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სამკურნალო საშუალებათა იმპორტის ან/და ექსპორტის ნებართვა

- სტატუსების მინიჭება

107. „საერთაშორისო ტრანსპორტის შესახებ ევროპა-კავკასია-აზია დერეფნის განვითარებისათვის“ ძირითადი მრავალმხრივი შეთანხმების განხორციელებასთან დაკავშირებული - ტვირთის არ გატანის შესახებ საჭირო საგარანტიო წერილების შედგენა-გაგზავნა - სურვილის შემთხვევაში ფირმა

მიმართავს შემოსავლების სამსახურს თხოვნით, აზერბაიჯანიდან შემოსავლელ ტვირთთან დაკავშირებით შემოსავლების სამსახურის მხრიდან საგარანტიო წერილის გაცემაზე. აღნიშნულ განცხადებას თან უნდა ერთოდეს ყველა ხელშეკრულება დადებული აღნიშნულ ოპერაციაში მონაწილე ფირმებს შორის

108. საერთაშორისო ფინანსური კომპანიის სტატუსის მინიჭება - ფინანსურ ინსტიტუტს საერთაშორისო ფინანსური კომპანიის სტატუსი ენიჭება მომავალი კალენდარული წლებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი სტატუსის მინიჭების მოთხოვნით საგადასახადო ორგანოს მიმართავს საწარმოს რეგისტრაციიდან 1 თვის განმავლობაში, მაგრამ არა უგვიანეს საქმიანობის განხორციელების დღისა

109. საერთაშორისო ფინანსური კომპანიის, სპეციალური სავაჭრო კომპანიის და საერთაშორისო საწარმოს სტატუსის გაუქმება - საერთაშორისო ფინანსური კომპანიის, სპეციალური სავაჭრო კომპანიის და საერთაშორისო საწარმოს სტატუსის გაუქმების მიზნით ივსება აღნიშნული განაცხადი

110. სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსის მინიჭება - სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსი ენიჭება მხოლოდ ამ მიზნით შექმნილ საწარმოს, რეგისტრაციის თარიღიდან, მიმდინარე და მომავალი კალენდარული წლებისათვის. საწარმომ სტატუსის მინიჭების მოთხოვნით საგადასახადო ორგანოს უნდა მიმართოს რეგისტრაციიდან 1 თვის განმავლობაში, მაგრამ არა უგვიანეს საქმიანობის განხორციელების დღისა

- შეღავათიანი რეჟიმები

111. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭება (თონე, სილამაზის სალონი, ავტოტექნომსახურება) - ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს პირს, რომელიც არ არის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი და ახორციელებს ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ ერთ ან ერთზე მეტ საქმიანობას. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით გადასახადის გადამხდელი აღნიშნული განცხადებით

მიმართავს საგადასახადო ორგანოს საანგარიშო წლის ნებისმიერ თვეს. ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის რეჟიმთან ერთად დამატებით განხორციელებულ საქმიანობის ნაწილში შესაძლებელია გადასახადის გადამხდელმა ისარგებლოს მიკრო/მცირე ბიზნესის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმებით

112. განცხადება ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი ობიექტის მისამართის ცვლილების თაობაზე - აღნიშნულ განცხადებას ავსებს გადამხდელი იმ შემთხვევაში, თუ ახორციელებს დაბეგვრის ობიექტის (სამუშაო ადგილის) მისამართის ცვლილებას

113. განცხადება ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი ობიექტის რაოდენობის ცვლილების თაობაზე - აღნიშნულ განცხადებას გადამხდელი ავსებს იმ შემთხვევაში, თუ ახორციელებს დაბეგვრის ობიექტის (სამუშაო ადგილის) რაოდენობის ცვლილებას (დამატებას) ახალ მისამართზე

114. განცხადება ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი ობიექტის რაოდენობის ცვლილების თაობაზე (იმავე მისამართზე) - აღნიშნულ განცხადება ივსება იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელი ახორციელებს დაბეგვრის ობიექტის (სამუშაო ადგილის) რაოდენობის ცვლილებას (დამატება, მოკლება) იმავე მისამართზე, რომელზეც საქმიანობს ან/და იმავე საქმიანობით დაბეგვრის ობიექტს ამატებს ახალ მისამართზე

115. ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის შეჩერება/განახლების შესახებ

116. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის გაუქმების შესახებ - ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის გაუქმების მიზნით აღნიშნული განცხადების ფორმით გადამხდელი მიმართავს საგადასახადო ორგანოს შესაბამისი პირობის დადგომიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღისა

117. მიკრო ბიზნესის სტატუსის მინიჭება - თუ პირის საქმიანობა აკმაყოფილებს მიკრო ბიზნესის სტატუსის მინიჭების მოთხოვნებს და ამ

საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი არ აღემატება 30 000 ლარს, მიკრო ბიზნესის მინიჭების მიზნით შესაძლებელია მიმართოს განაცხადით

118. მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭება - თუ პირის საქმიანობა აკმაყოფილებს მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების მოთხოვნებს და ამ საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი არ აღემატება 100 000 ლარს, მცირე ბიზნესის მინიჭების მიზნით შესაძლებელია მიმართოს აღნიშნული განაცხადით

119. მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმება - თუ გადამხდელს სურს ან დაუდგა ვალდებულება მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმებისა, აღნიშნული განაცხადით მიმართავს შემოსავლების სამსახურს

120. ფიქსირებულ საშემოსავლო გადასახადზე გადასვლის თაობაზე (ფართის გაქირავება) - თუ პირი ახორციელებს საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ადგილის მოკლე ვადით გაცემას და სურს ისარგებლოს ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადით, შემოსავლების სამსახურს უნდა მიმართოს აღნიშნული განაცხადით

121. „ოქროს სიის“ მონაწილის საწყობისთვის კოდის მინიჭება და „ASYCUDA“-ში დაშვება - იმ შემთხვევაში თუ „ოქროს სიის“ მონაწილეს აქვს საწყობის არსებობის სურვილი, პირი „ოქროს სიის“ მონაწილის სტატუსის მინიჭების შესახებ ბრძანების საფუძველზე წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას და საქონლის დანიშნულების ადგილზე გამოცხადების დადასტურების მიზნით მონაცემთა ავტომატიზირებულ სისტემა „ASYCUDA“-ში დაშვების შესახებ მომსახურების გაწევისათვის საგადასახადო დავალიანების დამადასტურებელ საბუთს

122. „ოქროს სიის“ მონაწილის სტატუსის მინიჭების შესახებ - გადამხდელი განცხადებით მიმართავს შემოსავლების სამსახურს „ოქროს სიის“ მონაწილის სტატუსის მისაღებად

123. გრანტის სტატუსის მინიჭების შესახებ - გრანტის მიმღები ავსებს განაცხადს და წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას საგრანტო

ხელშეკრულების ფარგლებში დახმარების პროგრამებთან დაკავშირებული იმპორტირებული საქონლისათვის გრანტის სტატუსის მისანიჭებლად

124. საქველმოქმედო სტატუსის მინიჭების შესახებ - სტატუსი ენიჭება ორგანიზაციას, რომელიც შექმნილია საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელების მიზნით, რეგისტრირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით და აქვს საქველმოქმედო საქმიანობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება

125. ჰუმანიტარული დახმარების სტატუსის მინიჭების შესახებ - ჰუმანიტარული დახმარების პროგრამის განმახორციელებელმა ორგანიზაციამ საიმპორტო საქონლისათვის ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების მიზნით უნდა შეავსოს განაცხადი და წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია

- ცნობების გაცემა - სფეროში შესაძლებელია ცნობის მისაღებად წარადგინოთ შემდეგი ტიპის განცხადებები

126. საგადასახადო დავალიანების შესახებ ცნობის გაცემის თაობაზე

127. (დამქირავებლის მომართვის შემთხვევაში) ცნობა გადახდის წყაროსთან ხელფასის სახით განაცემებზე შეღავათის გამოყენების შესახებ

128. დაქირავებულის მომართვის შემთხვევაში ცნობა გადახდის წყაროსთან ხელფასის სახით განაცემებზე შეღავათის გამოყენების შესახებ

129. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის დამატება/ცვლილების შესახებ

130. გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის თაობაზე ცნობის გაცემის შესახებ

131. გადასახადის გადამხდელის მოწმობის აღდგენის შესახებ

132. განაცხადი განხორციელებული სასაქონლო დამუშავების ოპერაციების შესახებ (შეღავათის შემთხვევაში)

133. განხორციელებულ სასაქონლო ოპერაციებზე ცნობის გაცემის შესახებ

134. დღგ-ისაგან გათავისუფლებულ ოპერაციებზე დაბეგვრის უფლების გამოყენებაზე

135. დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის თაობაზე ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ

136. ინფორმაცია თვითღირებულებაზე დაბალი ფასით საქონლის რეალიზაციის თაობაზე

137. ინფორმაცია საანგარიშო წლის მიხედვით მიღებული შემოსავლების შესახებ

138. საბანკო ანგარიშების შესახებ ცნობის გაცემის თაობაზე

139. საქმიანობის განახლების შესახებ

140. საქმიანობის შეჩერების შესახებ

141. აქტივების მიწოდების შესახებ

142. სტუდენტური ფასდაკლების პროგრამაში ჩართვის შესახებ

143. ფიზიკურ პირებზე შეცდომით მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომრების გაუქმებისა და ბარათების გაერთიანების შესახებ

144. ცნობა საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების შესახებ

• Tax Free დღგ-ის დაბრუნების სპეციალურ რეჟიმთან დაკავშირებული მომართვები

145. დღგ-ის დაბრუნების სპეციალური ქვითრის გაცემის უფლების მიღების თაობაზე - თუ გადამხდელი ეწევა საცალო ვაჭრობას სტაციონარულ სავაჭრო ობიექტში და უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ შესყიდულ საქონელზე სურს ქონდეს უფლება განახორციელოს დღგ-ის თანხის დაბრუნების სპეციალური ქვითრის გამოწერა, ივსება აღნიშნული განაცხადი

146. დღგ-ის დაბრუნების სპეციალური ქვითრის გაცემის სავაჭრო ობიექტების ნუსხაში ცვლილება - გადამხდელი თუ სარგებლობს დამატებითი ღირებულების გადასახადის სპეციალური ქვითრის გაცემის უფლებით და სურს განახორციელოს ცვლილება დარეგისტრირებულ ობიექტთან დაკავშირებით, შემოსავლების სამსახურს მიმართავს აღნიშნული განაცხადით

147. დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) თანხის დაბრუნების სპეციალური ქვითრის გამოწერის უფლებამოსილი პირის მიერ -

რეალიზებული საქონლის შესაფუთი სტიკერების მოთხოვნის მიზნით გადამხდელი წარმოადგინეს აღნიშნულ განაცხადს

148. მომხმარებლის პაროლის აღდგენა - მომხმარებელმა პაროლის შესაცვლელად უნდა შეავსოს განაცხადი

## VII. სტაციონარული ობიექტებთან დაკავშირებული მომართვები

- ლუქების მოთხოვნა/ობიექტის დალუქვა

149. ავტოგასამართ სადგურებში მადოზირებელი და მრიცხველი მექანიზმების ლუქების მოთხოვნა - ავტოგასამართ სადგურებში-ავს მარიგებელი სვეტების ფუნქციონირება უნდა განხორციელდეს მხოლოდ ამ მუხლით დადგენილი წესით დალუქული, მადოზირებელი და მრიცხველი მექანიზმების საშუალებით. ავს-ებში მარიგებელი სვეტების მადოზირებელი და მრიცხველი მექანიზმების დალუქვა ხორციელდება საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული ლუქებით. საგადასახადო ორგანოს ლუქებით დალუქვას ექვემდებარება ავს-ებში არსებული ყველა მარიგებელი სვეტი, მიუხედავად იმისა, გამოიყენება თუ არა ეს სვეტი საწვავის მისაწოდებლად. თუ გადამხდელი ახორციელებს ნავთობპროდუქტების რეალიზაციას ან/და შენახვას ლუქების მიღების მიზნით, შემოსავლების სამსახურს უნდა მიმართოს აღნიშნული განაცხადით

150. სათამაშო აპარატების/სამორინეს მაგიდების/ტოტალიზატორის/ლოტოს/ბინგოს სალაროების დალუქვის/ახსნის შესახებ - თუ გადამხდელს სურს სათამაშო აპარატის / სამორინეს მაგიდის / ტოტალიზატორის / ლოტოს / ბინგოს სალაროს დალუქვა ან დადებული ლუქის ახსნა, შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს შემოსავლების სამსახურს

- ნავთობპროდუქტების რეალიზაცია

151. ნავთობპროდუქტების მიწოდების აღრიცხვის ჟურნალის რეგისტრაცია - გადასახადის გადამხდელი, რომელიც ახორციელებს ნავთობპროდუქტების მიწოდებას სტაციონარულ ობიექტზე ნავთობპროდუქტების მიწოდების აღრიცხვის ჟურნალის რეგისტრაციის მიზნით წარადგენს აღნიშნულ განაცხადს



152. ნავთობპროდუქტების რეალიზატორების სტაციონარული ობიექტებისათვის შვიდნიშნა კოდების რეგისტრაციის შესახებ - სტაციონარული ობიექტის 7 ნიშნა კოდის მინიჭების მიზნით, გადამხდელმა შემოსავლების სამსახურს უნდა მიმართოს აღნიშნული განაცხადით

153. ნავთობპროდუქტების რეალიზატორის სტაციონარული ობიექტის მოსარგებლედ რეგისტრაცია ან სარგებლობის ვადის გაგრძელება - გადასახადის გადამხდელი, რომელიც ახორციელებს ნავთობპროდუქტების რეალიზაციას ან/და შენახვას, ნავთობპროდუქტის რეალიზაციამდე (შენახვამდე) უნდა მიმართოს აღნიშნული განაცხადით იმისათვის, რომ გაიაროს რეგისტრაცია და დაიწყოს ქმედება

154. საიმპორტო (საექსპორტო) ნავთობპროდუქტების შიდა გადაზიდვების ნსაფ-ების მიღების შესახებ - საიმპორტო (საექსპორტო) ნავთობპროდუქტების ნსაფ-ების მიღების მიზნით გადასახადის გადამხდელი მიმართავს შემოსავლების სამსახურის სერვის ცენტრს

#### VIII. აქციზური მარკების შესახებ მოთხოვნა

- აქციზური მარკის შექმნა

155. აქციზური მარკების შექმნის შესახებ - აქციზური მარკების შექმნა ხდება მეწარმე სუბიექტის განაცხადის საფუძველზე

#### IX. საბაჟო საწყობები და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტების შესახებ მოთხოვნა

156. გარანტიის წარმოდგენის შესახებ - საბაჟო საწყობის ან თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარანტია და ამავდროულად გარანტიის ორიგინალი უნდა წარმოადგინოს აღნიშნულ განცხადებასთან ერთად ნებისმიერ სერვის-ცენტრში

157. სატრანსპორტო საშუალების გადამზიდველის საწყობისთვის დანიშნულების ადგილის და შენახვის სხვა ადგილის კოდის მინიჭება - სატრანსპორტო საშუალების გადამზიდველის საწყობისთვის დანიშნულების

ადგილის და შენახვის სხვა ადგილის კოდის მინიჭება ხორციელდება შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენით

158. საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვაში ცვლილების შეტანის შესახებ - გადამხდელი საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვაში ცვლილების შესატანად წარმოადგენს 2011 წლის 5 იანვრის საქართველოს მთავრობის N9 დადგენილებით გათვალისწინებულ დოკუმენტებს

159. საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის გაუქმების შესახებ - საწყობის საქმიანობის ნებართვის გაუქმება ხორციელდება მოცემული განცხადების სათანადოდ შევსების საფუძველზე

160. საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის გაცემის შესახებ - ნებართვის მაძიებელი საბაჟო საწყობის ნებართვის მისაღებად წარმოადგენს 2011 წლის 5 იანვრის საქართველოს მთავრობის N9 დადგენილებით გათვალისწინებულ დოკუმენტებს

161. თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვაში ცვლილების შეტანის შესახებ - გადამხდელი თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვაში ცვლილების შესატანად წარმოადგენს 2011 წლის 5 იანვრის საქართველოს მთავრობის N9 დადგენილებით გათვალისწინებულ დოკუმენტებს

162. თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის გაუქმების შესახებ - თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის გაუქმება ხორციელდება მოცემული განცხადების შევსების საფუძველზე

163. თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის გაცემის შესახებ - ნებართვის მაძიებელი თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის ნებართვის მისაღებად წარმოადგენს 2011 წლის 5 იანვრის საქართველოს მთავრობის N9 დადგენილებით გათვალისწინებულ დოკუმენტებს

#### X. საბაჟო, გეზი დაკავშირებული საკითხები

164. „თიზ“-თან და საწყობების სანებართვო პირობების შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები - შესაბამისი მთავრობის დადგენილების თანახმად თიზის შექმნისათვის საჭირო პირობების

განსაზღვრა თანხმდება შემოსავლების სამსახურთან, რისთვისაც ივსება შესაბამისი განცხადება

165. არაწინასწარი დეკლარირება - იმპორტი, შეთანხმებულ ადგილას - აღნიშნული მომსახურებით სარგებლობისათვის განაცხადის შევსებამდე აუცილებელია გაიაროს ორგანიზაციამ ავტორიზაცია შემოსავლების სამსახურის გაფორმების დეპარტამენტში

166. გამარტივებული დეკლარაცია ფორმა N4 - ექსპორტში განცხადებულ 15 000 ლარამდე სატარიფო ღირებულების საქონელზე გამარტივებულ დეკლარაციას ავსებს დეკლარანტი ან მისი წარმომადგენელი, აგრეთვე საგადასახადო ორგანო დეკლარანტის თხოვნისას საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონლის შემთხვევაში დეკლარაციას ავსებს საფოსტო გადამზიდველი

167. განაცხადი მომსახურებაზე შპს „ჯორჯიან რეილვეი ტრანსკონტეინერი“ - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ტრანს კავკასუს ტერმინალსი“ წარმოადგენს შპს «საქართველოს რკინგზის» შვილობილ კომპანიას, რომლის საქმიანობის ძირითადი სფეროა სარკინიგზო გადაზიდვების უნივერსალური სატერმინალო მომსახურება. განცხადების შევსებით გადამხდელი დებს ხელშეკრულებას, რითიც საშუალება ექნება ოფისიდან გაუსვლელად ტვირთი მიიღოს დანიშნულების ადგილზე

168. დეკლარირება - ექსპორტი

169. დეკლარირება - თქვენს ოფისში გეზ-ის ოფიცრის მიერ - ამ მომსახურებით სარგებლობისათვის სავალდებულოა გადამხდელმა გაიაროს ავტორიზაცია შემოსავლების სამსახურის გაფორმების დეპარტამენტში

170. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვის გაცემა - განცხადების წარდგენის შედეგად გადამხდელს საშუალება აქვს მიიღოს ნებართვა მითითებული საქონლის იმპორტისათვის

171. ფიტოსანიტარული კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვის გაცემა - განცხადების

წარდგენის შედეგად გადამხდელს საშუალება აქვს მიიღოს ნებართვა მითითებული საქონლის იმპორტისათვის

172. ცოცხალი ცხოველების შემოყვანაზე წინასწარი შეტყობინება (ფორმა N1) - პირი ვალდებულია, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოსატანი პროდუქციის იდენტიფიკაციისათვის საჭირო ინფორმაცია (ვეტერინარული სერტიფიკატის, იმპორტის ნებართვის ან/და საქონლის თანმხლები სხვა დოკუმენტის არსებობის) წარუდგინოს იმ საბაჟო გამშვებ პუნქტს, რომლის გავლითაც მოხდება საქონლის შემოტანა

173. ვეტერინარული პროდუქტების შემოტანაზე წინასწარი შეტყობინება (ფორმა N2) - პირი ვალდებულია, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოსატანი პროდუქციის იდენტიფიკაციისათვის საჭირო ინფორმაცია (ვეტერინარული სერტიფიკატის, იმპორტის ნებართვის ან/და საქონლის თანმხლები სხვა დოკუმენტის არსებობის) გაუგზავნოს იმ საბაჟო გამშვებ პუნქტს, რომლის გავლითაც მოხდება საქონლის შემოტანა

174. მცენარეებისა და მცენარეული წარმოშობის პროდუქციის შემოტანაზე წინასწარი შეტყობინება (ფორმა N3) - პირი ვალდებულია, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოსატანი პროდუქციის იდენტიფიკაციისათვის საჭირო ინფორმაცია (ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის, იმპორტის ნებართვის ან/და საქონლის თანმხლები სხვა დოკუმენტის არსებობის შესახებ) გაუგზავნოს იმ საბაჟო გამშვებ პუნქტს, რომლის გავლითაც მოხდება საქონლის შემოტანა

175. მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე სახელმწიფო (საბაჟო) კონტროლის ფაქტის არსებობა/არარსებობის ცნობის გაცემა - დაინტერესებული პირის მიერ კეთილსინდისიერად შემენილი მექანიკური სატრანსპორტო საშუალების პირველადი რეგისტრაციის მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შსს-ს მომსახურების სააგენტოში უნდა წარადგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც

დასტურდება პირველადი რეგისტრაციისთვის წარმოდგენილ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე სახელმწიფო (საბაჟო) კონტროლის არარსებობის ფაქტი

176. წინასწარი დეკლარირება - იმპორტი - მომართვა წინასწარ დეკლარირებაზე საბუთების ელექტრონული ვერსიის წარდგენით „გეზ“-ში, ტვირთის საზღვრის გადმოკვეთამდე გაფორმების ოფიცერი ავსებს დეკლარაციას და ელექტრონულად უბრუნებს იმპორტიორს შევსებულ და დარეგისტრირებულ დეკლარაციას, იმ შემთხვევის გარდა, როცა იმპორტიორის მიერ აიტვირთება დეკლარაცია. საზღვრის გადმოკვეთისას საზღვარზევე დასრულდება დეკლარაცია. მწვანე ან ლურჯი დერეფნების შემთხვევაში ტვირთი საზღვრიდან იმპორტიორის განკარგულებაშია, ხოლო წითელი ან ყვითელი დერეფნებისას დეკლარაცია სრულდება გეზ-ში

177. გეზი დეპოზიტი (გადამხდელი) - სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია გადამხდელმა წინასწარ დადოს თანხა შემოსავლების სამსახურის ანგარიშზე GE38 KS00 00000000 0888 88 - (სასურველია მინიმუმ 2000 ლარი) დეპოზიტის სახით და ავტომატურად მოხდება თანხის ჩამოჭრა გაფორმების დეპარტამენტში, რაზედაც წინასწარ უნდა შეატყობინოს განცხადებით

## XI. რეგისტრაციასთან დაკავშირებული მომართვები

178. ელექტრონული დეკლარირების აქტივაციის შესახებ - თუ პირი რეგისტრირებულია გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირად და სურს შემოსავლების სამსახურთან ურთიერთობა აწარმოოს ელექტრონულად, აღნიშნული განაცხადი უნდა შეავსოს შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე და შემდგომ წარადგინოს

179. ანგარიშ-ფაქტურების ნაშთის არარსებობისას დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების შესახებ - დღგ-ს გადამხდელის, მათ შორის, საქართველოში არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების, დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმება. რეგისტრაციის გაუქმებისთვის

სერვის ცენტრში უნდა წარადგინოს დღგ-ს სერტიფიკატის დედანი და გაუხარჯავი ანგარიშ-ფაქტურები

180. გადასახადის გადამხდელად აღრიცხვაზე აყვანა გარდა ფიზიკური პირებისა.

181. გადასახადის გადამხდელი იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ

182. გამარტივებული აღრიცხვის ჟურნალის რეგისტრაცია. თუ გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა აწარმოოს გამარტივებული აღრიცხვის წესით, ჟურნალის მისაღებად გადამხდელმა უნდა მიმართოს განაცხადით „შემოსავლებისა და ხარჯების გამარტივებული აღრიცხვის წიგნის“ რეგისტრაციის მოთხოვნით

183. დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციისთვის უნდა მიმართოს შესაბამის სერვის ცენტრს რეგისტრაციის იურიდიული მისამართის მიხედვით

184. საგადასახადო რეგისტრაციის მონაცემებში ცვლილების შესახებ - საგადასახადო რეგისტრაციის მონაცემებში რეკვიზიტების ცვლილების დაფიქსირების მიზნით უნდა მიმართოს განაცხადით

185. ფიზიკური პირის გადასახადის გადამხდელად რეგისტრაცია

186. ცხრანიშნა საიდენტიფიკაციო კოდის პირადი თერთმეტნიშნა ნომრით შეცვლის შესახებ - საქართველოს მოქალაქე, ფიზიკური პირი (მათ შორის მეწარმე ფიზიკური პირი), რომელსაც მინიჭებული აქვს ცხრანიშნა საიდენტიფიკაციო ნომერი, განცხადებით მიმართავს საგადასახადო ორგანოს ცხრანიშნა საიდენტიფიკაციო ნომრის პირადი თერთმეტნიშნა ნომრით შეცვლის შესახებ

## XII. სხვადასხვა მომართვები

187. ინფორმაცია მოიჯარეების შესახებ.

188. აქციზური მარკების ბარათის შედარება

### XIII. სასაქონლო ინვენტარიზაცია/ჩამოწერის შესახებ მოთხოვნა

189. გადასახადის გადამხდელის მიერ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ბუღალტრული ნაშთის წარმოდგენის ვადის გადავადების შესახებ

190. გადასახადის გადამხდელის მიერ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ბუღალტრული ნაშთის წარმოდგენის შესახებ - იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელთან მიმდინარეობს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ან/და ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია და ნაშთის შესახებ ინფორმაციის წარდგენა

191. გადასახადის გადამხდელის მიერ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა კორექტირებული ბუღალტრული ნაშთის წარმოდგენის შესახებ - იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელთან მიმდინარეობს სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობების ან/და ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია

192. ვადაგასული ან/და შემდგომი მიწოდებისათვის უვარგისი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ჩამოწერის დოკუმენტის დადასტურების შესახებ - თუ გადასახადის გადამხდელს გააჩნია ვადაგასული ან/და გამოსაყენებლად ან შემდგომი მიწოდებისათვის უვარგისი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობი და სურს ამ ფასეულობების ჩამოწერა, ჩამოწერის დოკუმენტის დასადასტურებლად ვალდებულია მიმართოს განცხადებით შემოსავლების სამსახურს

### XIV. საგადასახადო შემოწმების შესახებ მომართვები

193. არაგეგმიური საგადასახადო შემოწმების შესახებ - იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელის ინიციატივით მისივე საწარმოში ჩატარდეს საგადასახადო შემოწმება

### XV. არქივიდან მასალების გამოთხოვის შესახებ მომართვები

194. არქივიდან დეკლარაციისა და მისი დანართების ასლის გაცემის შესახებ - გადამხდელს შეუძლია, განცხადებით მიმართოს რეგიონალურ

ცენტრს და გამოითხოვოს არქივიდან მის მიერ გასულ საგადასახადო პერიოდებზე წარდგენილი დეკლარაციების და გაანგარიშების ასლები და მათი დანართები

195. ელექტრონული დეკლარაციის მომხმარებელზე არქივიდან დეკლარაციისა და მისი დანართების ასლის გაცემის შესახებ - განცხადებით შესაძლებელია გადამხდელმა გამოითხოვოს არქივიდან მის მიერ გასულ საგადასახადო პერიოდებზე წარდგენილი დეკლარაციების და გაანგარიშების ასლები და მათი დანართები.

196. საგადასახადო მოთხოვნის ასლების მიღების შესახებ - თუ გადასახადის გადამხდელს სურს დოკუმენტის ასლის მიღება რეგისტრაციის ადგილის მიხედვით მიმართავს შესაბამის საგადასახადო ორგანოს

197. სასაქონლო დეკლარაციის ასლის გაცემის შესახებ - განცხადებით მიმართვით შესაძლებელია გადამხდელმა გამოითხოვოს არქივიდან მის მიერ განხორციელებული სატვირთო-საბაჟო დეკლარაციებისა და თნდართული საბუთების დამოწმებული ასლები

#### XVI. წინასწარი გადაწყვეტილების შესახებ მოთხოვნა

198. საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის თაობაზე წინასწარი გადაწყვეტილების შესახებ - თუ გადასახადის გადამხდელი აპირებს საქონლის საქართველოში შემოტანას ან/და გატანას, საქონლის სეს ესნ კოდის წინასწარ (დეკლარაციის წარდგენამდე) დადგენის მიზნით, შესაძლებლობა აქვს განცხადებით მიმართოს შემოსავლების სამსახურს. წინასწარ გადაწყვეტილებას აქვს სავალდებულო იურიდიული ძალა ყველა საგადასახადო ორგანოსათვის მხოლოდ ამ გადაწყვეტილებაში მოცემული საქონლის მიმართ. გადაწყვეტილება ძალაშია გამოცემიდან 3 წლის განმავლობაში

#### XVII. შედარების აქტის გაფორმების შესახებ მოთხოვნა

199. საგადასახადო ორგანოსთან შედარების აქტის გაფორმების შესახებ - ბიუჯეტთან ანგარიშსწორების მდგომარეობის შესახებ



გადამხდელთან და საგადასახადო ორგანოში არსებული მონაცემების ურთიერთშედარება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც გადამხდელის, ასევე საგადასახადო ორგანოს ინიციატივით.

XVIII. სანიტარული კონტროლის საკითხებთან დაკავშირებული მოთხოვნები

200. Ship Sanitation Control Exemption Certificate/Ship Sanitation Control Certificate

201. გემის სანიტარული კონტროლისაგან გათავისუფლების/გემის სანიტარული კონტროლის ჩატარების მოწმობის გაცემის შესახებ - თუ გადასახადის გადამხდელს სურს მიიღოს გემის სანიტარული კონტროლისაგან გათავისუფლების/გემის სანიტარული შემოწმების ჩატარების მოწმობა, განცხადებით მიმართავს საბაჟო საგუშაგოს „ბათუმის პორტი“ და საბაჟო საგუშაგოს „ფოთისა და ყულევის პორტები“ სანიტარულ-საკარანტინო კონტროლის განმახორციელებელ პირს.

შედეგად მიღებული იქნა ამ პროცესების გამოსწორების დავალება და შესაბამისად ჯგუფის ანალიტიკოსების და მომსახურების დეპარტამენტის სპეციალისტებთან ერთად დაიწყო ფუნქციონალური სპეციფიკაციის დოკუმენტის მომზადება, სადაც გათვალისწინებული იქნა ყველა მოთხოვნა. საჭირო გახდა ინსტრუქციებში ცვლილებების შეტანა, რაზედაც მომზადდა შესაბამისი პროექტები [2]. მომზადდა შემოსავლების სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილებებთან დაკავშირებული პროექტი, ასევე განხორციელდა გამოთვლები ინფრასტრუქტურის დატვირთვის მიმართებაში, რისთვისაც გახდა საჭირო ტექნიკური და ქსელური ინფრასტრუქტურის გაძლიერება. ცვლილებები მოიცავდა განცხადების მიღებას შემსრულებლის მიერ ანუ უფლებების დელეგირებას შემსრულებლებთან, განცხადების მოძრაობის გზის შემცირებას. მომსახურების საფასურების ელექტრონულად გადახდას ან საბანკო დაწესებულებაში მისვლას და გადახდას. მომსახურე ბანკის არჩევას და

ბანკთან სერვისების გამართვას. საგადასახადო ინსპექციების გაუქმებას და სერვის ცენტრების შექმნას.

ფუნციონალური სპეციფიკაციის საფუძველზე სადისერტაციო ნაშრომის ავტორის მიერ მომზადდა ტექნიკური დავალება პროგრამისტების ჯგუფისთვის გადასაცემად. სისტემის თითოეული მოდული განხილულ იქნა პროგრამისტების ჯგუფთან ერთად და ტექნიკურ დავალებაში განხორციელდა რიგი ცვლილებები. რის შემდეგ დაიწყო პროგრამირების ეტაპი. პროგრამირების ეტაპი მიმდინარეობდა 6 თვის განმავლობაში. პროგრამირების 5 თვის შემდეგ დაიწყო ტესტირების პროცესი. სადისერტაციო ნაშრომის ავტორის მიერ და ტესტირების ჯგუფის მიერ დაიწყო სისტემის ტესტირების ნაწილი. ტესტირებაში დამატებით ჩართული იყვნენ მომსახურების დეპარტამენტის სავარაუდო მომხმარებლები, რათა დადგენილიყო ინტერფეისების მოხერხებულობა.

## თავი III. სისტემის შესაძლებლობები

### 3.1. სისტემის დანიშნულება

შემოსავლების სამსახურში არსებული განცხადებების რთული პროცესის მიმდინარეობიდან გამომდინარე, რაც აღწერილია დისერტაციის მეორე თავში, გადაწყვეტილი იქნა მომსახურების გაუმჯობესება და პროცესის მიმდინარეობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. ამისათვის საჭირო გახდა არსებული პროცესების დეტალური შესწავლა, პროცესებში ცვლილებების შეტანა, კანონმდებლობაში და სამართლებრივ აქტებში ცვლილებების შეტანა და ამის ბაზაზე ელექტრონული სისტემის შექმნა.

აღნიშნული პროცესის ავტომატიზაციამ ხელი შეუწყო შემოსავლების სამსახურში არსებული პროცესების მიმდინარეობის დაჩქარებას, განცხადებების ნაკადის მოწესრიგებას, ინფორმაციის გამჭვირვალობას, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, დოკუმენტების დამუშავებისთვის საჭირო დროის შემცირებას, მონაცემების მარტივად მიღებას და დამუშავებას, დროისა და რესურსების ეფექტურ მართვას. მისი საშუალებით გამარტივდა სამუშაო პროცესის ორგანიზება, თანამშრომლების დატვირთვის განსაზღვრა და აგრეთვე შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლი. სისტემის დანერგვამ ხელი შეუწყო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას და მის მაღალ ხარისხში აყვანას.

ავტომატიზაციას დაქვემდებარებული ძირითადი პროცესი გულისხმობს განცხადების ელექტრონულად წარდგენას, შემსრულებლებთან ავტომატურ (სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით) გადანაწილებას, კონკრეტულ განცხადებაზე განსაზღვრულ პასუხისმგებელ პირთა შორის სამართლიან განაწილებას, განცხადების განხილვას, პასუხის მომზადებას, შეთანხმებას, ხელმოწერას და გადასახადის გადამხდელისთვის პასუხის გაგზავნას. ყოველივე ეს ასახულია სისტემაში, რომლის შესახებ ინფორმაციის მიღება და

შესაძლებლობების განხილვა დათვალიერება შესაძლებელია პორტალზე ონლაინ რეჟიმში. მომსახურების მაძიებელი პირი - გადასახადის გადამხდელი პორტალიდან ინფორმირებულია მის მიერ წარდგენილი განცხადების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია დროის ნებისმიერ მონაკვეთში 24 საათის განმავლობაში.

ასევე, სისტემა ითვალისწინებს ახალი განცხადების შექმნის ხელსაწყოს არსებობას, რაც დამკვეთს აძლევს საშუალებას თვითონ მართოს სისტემა და მოამზადოს ნებისმიერი შინაარსისა და ფორმის განცხადება, გაუწეროს შესრულების ვადები და განცხადების მსვლელობის გზა, თუ რა საფეხურები უნდა გაიაროს განცხადებამ იმისათვის, რომ მომზადდეს პასუხი. სისტემის ფუნქციონალი შედგება 7 ძირითადი ინტერფეისისგან, ესენია: გადამხდელის ვებ-პორტალი, შემოსავლების სამსახურის ან/და სხვა მონაწილე უწყების განცხადებების დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო სივრცე, რომელიც მოიცავს ორ ძირითად პროცესს: განცხადების მიღება-განხილვის პროცესი და გადამხდელის სახელით განცხადების რეგისტრაციის პროცესი; მენეჯერის სამუშაო სივრცე, ანალიტიკური ანგარიშების მიღების ინტერფეისი, ახალი განცხადების ფორმების შექმნის ინტერფეისი, მომხმარებელთა სისტემაში დაშვების და როლების განსაზღვრის ინტერფეისი.

სისტემის ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს ის, რომ გადასახადის გადამხდელს შესაძლებლობა აქვთ ონ-ლაინ რეჟიმში, თავისი ოფისიდან გაუსვლელად შეავსოს და წარადგინოს ელექტრონული განცხადებები. ელექტრონული განცხადებების პორტალზე მოთავსებულია სხვადასხვა სახისა და შინაარსის განცხადებების შესავსები ფორმები, რომლებიც დაჯგუფებულია თემატიკის მიხედვით. დღეისათვის პორტალზე განთავსებულია დაახლოებით 300-მდე სხვადასხვა ფორმის და შინაარსის მოქმედი განცხადება. აღსანიშნავია, რომ სისტემაში ორგანიზებულია განცხადების აქტივობის განსაზღვრის შესაძლებლობა, რაც იძლევა

მოძველებული განცხადების ფორმების პასიურ მდგომარეობაში გადაყვანის საშუალებას, შესაბამისად, ასეთი სახის განცხადებები გადასახადის გადამხდელისთვის პორტალზე ხელმისაწვდომი არ ხდება.

გადასახადის გადამხდელს შეუძლიათ აირჩიონ სასურველი განცხადება, შეავსონ იგი და გააგზავნონ შემოსავლების სამსახურში. თითოეულ განცხადებაზე წინასწარ განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი ან პირთა ჯგუფი, რომლებმაც უნდა განიხილონ, შეასრულონ, და მიიღონ გადაწყვეტილება მომსახურების გაწევაზე. ნებისმიერ დროს გადასახადის გადამხდელს შესაძლებლობა აქვთ თვალყური ადევნონ განცხადების შესრულების მიმდინარეობას.

ძალიან მნიშვნელოვანია მომხმარებელთა დახმარების ინტერფეისი და სხვა საშუალებები, რომელსაც სთავაზობს შემოსავლების სამსახური. მომხმარებლებს მიეწოდებათ ვიდეო დახმარებები, (სისტემის მოხმარების და საშუალებების შესახებ მოკლე გაკვეთილები), რომლებიც განთავსებულია პორტალზე, საიტზე განთავსებული ინფორმაციული მინიშნებები კონკრეტული მომსახურების მიხედვით, კონსულტაციებისთვის მომხმარებლებს ემსახურებათ უფასო სატელეფონო მომსახურების ცენტრი, ასევე შესაძლებელია სერვისცენტრებში ადგილზე მისვლით კონსულტაციების მიღება.

შემოსავლების სამსახურის ან/და პროცესში მონაწილე სხვა უწყების პასუხისმგებელი პირის ინტერფეისი მოიცავს ორ დამოუკიდებელ მოდულს. ელექტრონული განცხადების რეგისტრაციას გადასახადის გადამხდელის სახელით და განცხადების მიღება, დამუშავება, შესრულება, შეთანხმება, ხელმოწერა, პასუხის მომზადებას. სისტემაში ორგანიზებულია ისეთი სახის ელექტრონული განცხადებები, რომლებზეც პასუხის გაცემა ხდება ავტომატურად, სისტემაში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, ე.წ. ავტომატური განცხადებები. ასევე ორგანიზებულია კონკრეტული ტიპის განცხადებები, რომლებიც რეგისტრაციის შემდეგ გადიან შემოსავლების სამსახურის ბრძანების თანახმად წინასწარ

განსაზღვრული რისკის კრიტერიუმებს და რისკ ფაქტორების გათვალისწინებით სისტემის მიერ ხდება პასუხის ავტომატურად დაგენერირება ან შემსრულებლის განსაზღვრა ინდივიდუალური განხილვისთვის. ასევე არის განცხადებები, რომლებიც საჭიროებს სხვა უწყებების პროცესში ჩართვას - მონაწილეობას, რომლებიც ასევე არიან ჩართულნი ელექტრონულ სისტემაში და მონაწილეობენ პროცესში.

მენჯერების სამუშაო სივრცე მოიცავს ელექტრონული განცხადებების მიმდინარე პროცესის თვალყურის დევნას, საჭიროების შემთხვევაში განცხადების მსვლელობის მიმართულების შეცვლას და განცხადების შემსრულებლების - თანამშრომლების მართვასა და კონტროლს.

ანალიტიკური ანგარიშების მიღების ინტერფეისი მოიცავს, ელექტრონული განცხადებების შესრულების მსვლელობის შესახებ ინფორმაციის მიღების საშუალებებს, განცხადებების შესრულების ვადებისა და ხარისხის კონტროლს, ჯამურ და რაოდენობრივ ანგარიშგებას. თანამშრომელთა მიერ შესრულებული და გადამხდელის მიერ მოთხოვნილი მომსახურების სერვისების შესრულების სტატისტიკას.

ახალი განცხადების ფორმების შექმნის ინტერფეისი - განცხადების კონსტრუქტორი. აღნიშნული მოდული საშუალებას გვაძლავს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის კვალიფიციური მუშაკის ჩარევის გარეშე, შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა დამოუკიდებლად მოახდინონ ახალი ელექტრონული განცხადების ფორმის შექმნა/აწყობა. წინასწარ განსაზღვრონ ელექტრონული განცხადების ველები, მათი შევსების აუცილებლობა, განსაზღვრონ პასუხისმგებელი პირები, მიუთითონ შესრულების ვადები, გაწერონ განცხადების მოძრაობის ბილიკი, გასაზღვრონ უფლებები, და ა.შ.

სისტემასთან დაშვების და როლების განსაზღვრის ინტერფეისი მოიცავს სისტემაში მომხმარებლების (შემსრულებლების) უფლების ჩართვას, თანამშრომლებისთვის შესასრულებელი განცხადებების

განსაზღვრას და ამ სისტემაში მონაწილეობის როლების მინიჭებას (მენეჯერი, შემსრულებელი, დამთვალეიერებელი).

ელექტრონული განცხადებების დანერგვამ გამოიწვია შემოსავლების სამსახურსა და გადასახადის გადამხდელებს, მომხმარებლებს შორის ურთიერთობების წარმოების გამარტივება, დროისა და სახსრების დაზოგვა. აღნიშნული სისტემის დახმარებით ხდება მოთხოვნებზე სწრაფი რეაგირება, დოკუმენტების ქალაქის ფორმატში წარმოების აღმოფხვრა, მომსახურების ცენტრებში რიგების შემცირება, გამოირიცხა სისტემაში მონაწილე სხვა უწყებებში მისვლის და ლოდინის საჭიროება. ადამიანური ფაქტორის მინიმუმამდე დაყვანამ, გადამხდელებსა და საგადასახადო/საბაჟო ადმინისტრაციის მუშაკებს შორის კონტაქტის შემცირებამ, ხელი შეუწყო კორუფციის აღმოფხვრას და შესაბამისად გამოიწვია სანდოობის მაჩვენებლის მკვეთრი ზრდა.

ელექტრონული სერვისების პროგრამული უზრუნველყოფის უფრო სწრაფი ინტერფეისი, დოკუმენტების რეალურ დროში წარდგენის შესაძლებლობა, იძლევა შრომითი რესურსების უფრო ეფექტურად მართვის საშუალებას. შემოსავლების სამსახურმა მომხმარებლებს - გადასახადის გადამხდელებს შესთავაზა საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრაციასთან ურთიერთობების მოსახერხებელი და გამჭვირვალე ფორმა, რომელიც დღიდან ამოქმედებისა, ხელს უწყობს ქვეყანაში ბიზნესპროცესების სწრაფად და ეფექტურად მიმდინარეობს.

### **3.2. სისტემის აღწერა**

დღეისათვის, გადასახადის გადამხდელს შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სერვისებიდან შესაძლებლობა აქვს, ავტორიზებული გვერდიდან (პორტალიდან), შემოსავლების სამსახურში წარადგინოს 300-მდე სხვადასხვა სახისა და შინაარსის ელექტრონული განცხადება.

თვითონ სერვისი განთავსებულია დაცულ მისამართზე, <https://www.eservices.ge/>, კავშირი ხორციელდება ყველასათვის მისაწვდომი ინტერნეტის ქსელით, დაცულ რეჟიმში SSL (Secure Sockets Layer) პროტოკოლის მეშვეობით. SSL ეს არის პროტოკოლი, რომელიც იცავს ვებ-ბრაუზერებსა და ვებ-სერვერებს შორის გაგზავნილ მონაცემებს. აუტენტიფიკაციის დროს იყენებს გასაღებების გაცვლის ასიმეტრიულ კრიფტოგრაფიას, სიმეტრიულ დაშიფრვას კონფიდენციალურობის დასაცავად, კოდებს აუტენტიფიკაციის შეტყობინებების მთლიანობისთვის. აუტენტიფიკაცია, რომელიც აძლევს მომხმარებელს იმის უზრუნველყოფას, რომ ის ნამდვილად დაუკავშირდით იმ სერვერს ინტერნეტში, რომელიც იყო არჩეული. შექმნილია ისეთი დაცული არხი, რომელშიც შეიძლება ვებ-ბრაუზერებსა და ვებ-სერვერებს შორის გაიგზავნოს ინფორმაცია დაშიფრულ ფორმაში, იმისათვის, რომ ვერვინ ვერ შეძლოს ინფორმაციის შეცვლა ან მიიღოს მასზე წვდომა.

შემოსავლების სერვისების გამოყენებისთვის და განცხადების, მომსახურების მოთხოვნის დასარეგისტრირებლად საგადასახადო აგენტმა - გადასახადის გადამხდელმა აუცილებელია გაიაროს ავტორიზაცია შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სერვისების ვებ გვერდზე.

ავტორიზაციის გავლა შესაძლებელია სისტემაში წინასწარ რეგისტრირებული უნიკალური მომხმარებლის სახელის და პაროლის საშუალებით, ასევე ფიზიკური პირებისათვის და თანამშრომლებისათვის ავტორიზაციის გავლა შესაძლებელია ID ბარათების სპეციალური წამკითხავი მოწყობილობით.

იმისათვის, რომ მომხმარებელმა (ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა) მიიღოს შემოსავლების სამსახურის სერვისებით სარგებლობის უფლება აუცილებელია, რომ ის აღრიცხვაზე იმყოფებოდეს საგადასახადო ორგანოში. გავლილი ჰქონდეს რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში „მეწარმეთა შესახებ კანონის“ შესაბამისად ან რეგისტრაცია გავლილი ჰქონდეთ შემოსავლების სამსახურში და მინიჭებული ქონდეთ



საიდენტიფიკაციო (უნიკალური) ნომერი [20]. უშუალოდ მომხმარებლად რეგისტრაციისათვის, გადამხდელი ავსებს და არეგისტრირებს ელექტრონულ ანკეტას განთავსებულს შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებ გვერდზე. ანკეტაში წინასწარ განსაზღვრულია აუცილებელი შესავსები ველები, რომელიც საჭიროა გადასახადის გადამხდელის (მომხმარებლის) იდენტიფიცირებისათვის და შემდგომი ურთიერთობის გამარტივებისათვის.

ანკეტის შევსებისას ხდება გადასახადის გადამხდელის იდენტიფიცირება საიდენტიფიკაციო ან, ფიზიკური პირის და ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში, პირადი ნომრის მიხედვით. გადასახადის გადამხდელი თავისი გადაწყვეტილებით ირჩევს სისტემაში შესასვლელი მომხმარებლის სახელს, რომელიც თავისმხრივ წარმოადგენს უნიკალურს, შესაბამისად მისი განმეორებისას ხდება აპლიკანტის გაფრთხილება, ირჩევს პაროლს და უთითებს დამატებით მონაცემებს, რომელიც შემდგომში შემოსავლების სამსახურთან ურთიერთობის გამარტივებას უწყობს ხელს, კერძოდ ხდება საკონტაქტო პირის მობილური ტელეფონის ნომრის და ელექტრონული ფოსტის მისამართის მითითება. ასევე ანკეტაში ხდება განცხადება იმის თაობაზე სურს თუ არა მომხმარებელმა აღნიშნულ საკონტაქტო მონაცემებზე მიიღოს შემოსავლების სამსახურის მიერ გაგზავნილი შეტყობინებები, ისეთი როგორცაა შეტყობინება მომხმარებლის ავტორიზაციის გავლის თაობაზე, წარდგენილი დეკლარაციის წარმატებით მიღების თაობაზე, განცხადების რეგისტრაციის და მისი შესრულების თაობაზე და სხვა სახის შეტყობინებები, რომლებიც ავტომატურად იგზავნება სისტემის მიერ გადასახადის გადამხდელის მიმართ განხორციელებული ქმედებების თანახმად.

ანკეტის წარმატებით რეგისტრაციის შემდეგ მომხმარებელი საჭიროებს გააქტიურებას. რომლის განხორციელება შესაძლებელია ორი საშუალებით: პირველ შემთხვევაში საჭიროა ელექტრონული განცხადების შევსება და აქტივაციის მოთხოვნა, აღნიშნული გამოიყენება ძირითადად იურიდიული პირების შემთხვევაში, რადგან განცხადებაში დამატებით ხდება

მომხმარებლის მოსარგებლე უფლებამოსილი პირის მითითება და მინდობილობის წარდგენა. საგულისხმოა, რომ აღნიშნული განცხადება წარმოადგენს ავტომატურს და მისი რეგისტრაციისთანავე, აუცილებელი ველების გადამოწმების შემდეგ ხდება მომხმარებლის გააქტიურება. მეორე შემთხვევაში შესაძლებელია გამოიყენონ ვიდეო აქტივაციის სერვისი, აღნიშნული გამოიყენება ძირითადად მეწარმე ფიზიკური პირების შემთხვევაში. ვიდეოაქტივაციისას პირი ონ-ლაინ რეჟიმში უკავშირდება შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილ პირს (ცხელი ხაზის თანამშრომელს), ვებ გვერდზე განთავსებული ბმულის საშუალებით, რომელიც ვიდეოთვალის გამოყენებით ახდენს ფიზიკური პირის იდენტიფიცირებას, სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით და ახდენს მომხმარებლის გააქტიურებას.

მომხმარებლის გააქტიურების სერვისი იძლევა დამატებითი დაცვის მექანიზმის არსებობის საშუალებას, რათა გადასახადის გადამხდელი დაზღვეული იყოს მისი პირადი ინფორმაციის სხვა პირზე გადაცემისგან. ასევე აღსანიშნავია, რომ შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სერვისები წარმოადგენს გადასახადის გადამხდელის საფინანსო ანგარიშგების მონაცემების ერთობლიობას და მათი დაცულობა პრიორიტეტულია შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო სისტემის ორგანიზების საკითხში.

პორტალზე ელექტრონული განცხადებები დაჯგუფებულია თემების მიხედვით, რაც აადვილებს თემატურად სასურველი განცხადების ძებნის საშუალებას, ასევე სისტემაში ორგანიზებულია მოქნილი სამიეზო სისტემა.

პორტალზე განთავსებულ ყველა განცხადებას, შინაარსიდან გამომდინარე გააჩნია, მოკლე აღწერა, ინფორმაციული სახის ტექსტი, სადაც მოკლედ აღწერილია განცხადების დანიშნულება და მის მისაღებად აუცილებელი პირობები, განცხადებას თავისი შინაარსიდან გამომდინარე გააჩნია წინასწარ განსაზღვრული აუცილებლად შესავსები ველები, რომლის შეუვსებლობის შემთხვევაში განცხადება არ განიხილება, შესაბამისად

სისტემის მიერ ხდება აუცილებელი შესავსები ველების კონტროლი და განცხადების წარდგენა შეუძლებელია ამ პირობის დარღვევის შემთხვევაში. ელექტრონულ განცხადებას სრულყოფილად შევსების და გადაგზავნის შემდეგ სისტემის მიერ ენიჭება უნიკალური ID ნომერი და დამატებითი ნომერი (ჩაშიფრული)- შტრიხკოდი განცხადების უტყუარობისათვის. განცხადების წარმატებით გადაგზავნის შესახებ გადამხდელს (მომსახურებაზე ნებართვის მაძიებელ პირს) სისტემა უგზავნის მოკლე ტექსტურ შეტყობინებას, ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე წინასწარ მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე და პორტალიდან მას ეძლევა საშუალება მიიღოს მოთხოვნილი მომსახურებისთვის დამადასტურებელი საბუთი (ცნობა, ამონაწერი და სხვა) საბუთის ნომერი უნიკალურია და ჩაშიფრულია შტრიხკოდში. განცხადების სისტემაში წარმატებით დარეგისტრირების შემდეგ სისტემის მიერ ხდება შემსრულებლის განსაზღვრა, რომელსაც ასევე ეგზავნება მოკლე ტექსტური შეტყობინება, წინასწარ მითითებულ პირად (კორპორაციული) მობილური ტელეფონის ნომერზე, მის სახელზე ახალი დავალების შემოსვლის, რეგისტრაციის თაობაზე, ასეთი სახით შემსრულებლის გაფრთხილება უფრო ეფექტურს ხდის მომსახურებას და აძლიერებს კონტროლს შესასრულებელ დავალებებზე.

შემოსავლების სამსახურის სერვისის - ელექტრონული განცხადებების მომხმარებლები არიან [1]:

- გადასახადის გადამხდელი იურიდიული პირები (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება; სააქციო საზოგადოება; საჯარო სამართლის იურიდიული პირები; სახელმწიფო ორგანოები; ამხანაგობები; პოლიტიკური ორგანიზაცია და სხვა);
- გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირები (ინდივიდუალური მეწარმე; ფიზიკური პირი; არარეზიდენტი ფიზიკური პირი; დიპლომატები)

- შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები (სერვისცენტრის თანამშრომლები; ადმინისტრაციული აპარატი; სხვადასხვა დეპარტამენტის თანამშრომლები და ხელმძღვანელი პირები)
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები (იუსტიციის სახლის თანამშრომლები).
- სხვა უწყებების თანამშრომლები, რომლებიც უწყვენ სხვადასხვა სახის მომსახურებას და ჩართულნი არიან შემოსავლების სამსახურში მიმდინარე კონკრეტულ პროცესებში.

სისტემა რეალიზებულია WEB-ტექნოლოგიების გამოყენებით და წვდომადია ყველა პოპულარული ბრაუზერისთვის. სისტემა ფუნქციონირებს IIS-ს საფუძველზე (Internet Information Service – ვებ-სერვერი, რომელიც გვაძლევს საშუალებას განვათავსოთ ვებ-გვერდი (საიტი) ინტერნეტში და უზრუნველყოფს დაცვით მექანიზმებს, რომლებიც ჩაშენებულია WINDOWS-ის სისტემაში. დაცული რესურსის გამოძახებისას მომხმარებელი გაივლის აუტენტიფიკაციას) და თავსებადია გადამხდელის არსებულ პორტალთან. სისტემა არ ინახავს პაროლებს, ბაზასთან კავშირის სტრიქონებს და სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციას ღია სახით. გამოყენებულია შეკუმშული აუტენტიფიკაცია, ანუ პაროლი მუშავდება ქემ-ფუნქციით და ქსელში გაგზავნამდე იშიფრება, რის შემდეგაც მისი წაკითხვა შეუძლებელია.

ავტორიზებულ მომხმარებელს ეძლევა საშუალება გამოიყენოს შემოსავლების სამსახურის მიერ ვებ გვერდზე შემოთავაზებული სხვადასხვა სახის ელექტრონული სერვისები. გადასახადის გადამხდელების ინტერფეისი „გადამხდელის გვერდი“ მოიცავს შემოსავლების სამსახურთან ურთიერთობისათვის განსაზღვრული სხვადასხვა შინაარსის სერვისების ერთობლიობას, ისეთებს როგორცაა:

ელექტრონული დეკლარირების სერვისი, საიდანაც ხდება ყველა ტიპის დეკლარაციის სათანადო ვადებში წარდგენის უზრუნველყოფა; ელექტრონული ზედნადების და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების

სერვისი; შემოსავლების სამსახურთან დავის დაწყების მიზნით საჩივრის რეგისტრაციის სერვისი; სხვადასხვა სახის მომსახურების მოთხოვნისთვის განცხადების რეგისტრაციის სერვისი და სხვა, საგადასახადო აგენტისთვის (გადამხდელისთვის) საჭირო, სერვისები, რომელიც უადვილებს გადასახადის გადამხდელს - საგადასახადო აგენტს შემოსავლების სამსახურთან ურთიერთობას.

გარდა ელექტრონული მომსახურების სერვისებისა სისტემა მოიცავს მთელ რიგ ინფორმაციული ხასიათის სერვისებს, რომლის გამოყენებით საგადასახადო აგენტს ეძლევა საშუალება მიიღოს სრული ინფორმაცია შემოსავლების სამსახურში მის სახელზე არსებული მონაცემების თაობაზე - გაიგოს ბიუჯეტის მიმართ ანგარიშსწორების შესახებ ჯამური ინფორმაცია შედარების აქტის სახით, რომელიც მოიცავს საანგარიშო პერიოდში გადამხდელის მიერ და მის მიმართ განხორციელებული ფინანსური ანგარიშგებების შესახებ ჯამური მონაცემების ნაკრებს; დაათვალიეროს პირადი აღრიცხვის ბარათი, სადაც დეტალურად გადასახადის სახეების მიხედვით აღრიცხულია ფინანსური ოპერაციები; დაათვალიეროს „საგადასახადო კალენდარი“ [17], რომელიც ასახავს დეკლარაციების/გაანგარიშებების სავადო თარიღებს; მიიღოს და გაეცნოს მის სახელზე შემოსავლების სამსახურის მიერ გაგზავნილ-წარდგენილ შეტყობინებებს, როგორცაა საგადასახადო მოთხოვნა, სამართალდარღვევის ოქმი, ინფორმაცია ღია კარის დღის ჩატარების თაობაზე და სხვა.

ელექტრონული სერვისების მომხმარებელს უფლება აქვს შეავსოს და დაარედაქტიროს პირადი მონაცემები - შემოსავლების სამსახურთან ურთიერთობისთვის განსაზღვრული ელექტრონული ფოსტის მისამართი და მობილური ტელეფონის ნომერი, რომლებზეც სისტემის მიერ იგზავნება სხვადასხვა სახის შეტყობინებები. განსაზღვროს შემოსავლების სამსახურთან ურთიერთობისთვის უფლებამოსილი პირები - შეავსოს მათზე მონაცემები და ატვირთოს მინდობილობა. ასევე საშუალება ეძლევა შექმნას ახალი, დამატებითი მომხმარებელი - დამხმარე ქვემომხმარებელი და განუსაზღვროს

მას პორტალზე მუშაობის, სერვისებით სარგებლობის, უფლებები. უფლება შესაძლებელია მინიჭებული იქნას კონკრეტულ სერვისზე და განისაზღვროს ასევე ამ სერვისით სარგებლობის უფლება დეტალურად (დათვალიერება, შევსება, წარდგენა და სხვა).

ელექტრონული სერვისის მომხმარებლებისათვის საიტზე - ვიდეო დახმარების გვერდში, განთავსებულია ვიდეო გაკვეთილები, რომლის საშუალებითაც მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს შემოსავლების სამსახურის მიერ შემოთავაზებული სერვისების გამოყენების წესს და თავისებურებებს. ვიდეო დახმარებების გაცნობა ასევე შესაძლებელია ავტორიზაციის გავლის გარეშე. აღნიშნული ფაილები დაჯგუფებულია სერვისების მიხედვით და მოიცავს დეტალურ აღწერას კონკრეტული სერვისის შესახებ. მოკლე ვიდეო დახმარებების სახით შესაძლებელია ცალკეული ქმედების შესახებ ინფორმაციის მიღება, თუ როგორ შეივსოს განცხადება, როგორ განხორციელდეს წარდგენა, სად და როგორ უნდა მივიღოთ ინფორმაცია განცხადების მსვლელობის თაობაზე და სხვა.

ელექტრონული სერვისის მომხმარებლებისათვის საიტზე - დამხმარე პროგრამების გვერდში, განთავსებულია შემოსავლების სამსახურის სერვისების აღწერის დოკუმენტები (პროტოკოლი) და დამხმარე აპლიკაციები - პროგრამები, აღნიშნული დოკუმენტების დახმარებით, შესაძლებელია სხვადასხვა სახის საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამულ მოდულებში ან სხვა დამხმარე აპლიკაციებში შემოთავაზებული სერვისების ინტეგრირება. ასეთი მეთოდი ფართოდ გამოიყენება მომხმარებლების მხრიდან და სარგებლობს დიდი მოთხოვნით, ისეთი სახის ფართოდ გამოყენებული სერვისები, როგორცაა ელექტრონული სასაქონლო ზედნადები, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და ნავთობის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ძირითად შემთხვევაში სრულდება ჩაშენებული პროგრამებიდან სერვისების გამოყენებით.

გადამხდელს საშუალება ეძლევა ავტორიზაციის გავლის შემდეგ მისი პირადი ელექტრონული გვერდიდან აირჩიოს სასურველი სერვისი, მარტივი

და მოქნილი ინტერფეისის დახმარებით, სადაც თემატურად და შინაარსის მიხედვით არის დაჯგუფებული შემოთავაზებული სერვისები.

დეკლარირების გვერდი - საშუალებას იძლევა მომხმარებელმა სრულად მიიღოს ინფორმაცია მის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი დეკლარაციების შესახებ, როგორც რეესტრის სახით, ასევე კონკრეტული დეკლარაციის დათვალეირების გზით [1,2]. ასევე საანგარიშო პერიოდში სავადო თარიღის დაცვით განახორციელოს მისთვის აუცილებელი დეკლარაციების და გაანგარიშებების შევსება და წარდგენა შემოსავლების სამსახურში.

ამ გვერდიდან გადამხდელს შესაძლებლობა აქვს წარადგინოს ახალი და დააზუსტოს წინა პერიოდის უკვე წარდგენილი დეკლარაციები და გაანგარიშების ფორმები, დეკლარაციაზე თანდართული დანართებით[1,2]. საგადასახადო დეკლარაციები დაჯგუფებულია წლიური, კვარტალური და ყოველთვიური დეკლარაციების მიხედვით. სისტემაში წინასწარ განსაზღვრულია თითოეული დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენის სავადო თარიღები, რომლის მოახლოების თაობაზე ხდება მომხმარებლის ინფორმირება, გადამხდელის გვერდზე გამოდის შეტყობინება - შეხსენების სახით.

დეკლარაციების წარმატებით წარდგენის თაობაზე სისტემის მიერ იგზავნება მოკლე ტექსტური შეტყობინება მობილური ტელეფონის ნომერზე და ელექტრონული ფოსტის მისამართზე, რაც ასევე წარმოადგენს გარანტს დეკლარაციის შემოსავლების სამსახურის ერთიან ბაზაში დროულად ასახვის თაობაზე.

ელექტრონული ზედნადებები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების სერვისი მოიცავს საქონლის და მომსახურების მიწოდების რთულ პროცესების ერთობლიობას, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია ლოგიკური ჯაჭვით. აღნიშნულ პროცესებში მონაწილეობას იღებს, როგორც სასაქონლო ზედნადების, საგადასახადო ა/ფაქტურის გამომწერი

(გამყიდველი), ასევე მიმღები (მყიდველი) და შემოსავლების სამსახურის თანამშრომელი. ზემოაღნიშნული სერვისების ერთობლიობა საშუალებას იძლევა, ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისათვის, შეავსონ ელექტრონული სასაქონლო ზედნადებები, განსაზღვრონ საქონლის ტრანსპორტირების დაწყების თარიღი, აღიარონ საქონლის მიწოდება და ზედნადებების ერთობლიობიდან შექმნას, ჩამოაყალიბონ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა [1,2]. რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს დამოუკიდებელ პროცესს, და შედგება სხვადასხვა ეტაპებისაგან, რომელიც მოიცავს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მყიდველთან გაგზავნის, მყიდველი კომპანიისგან საგადასახადო ა/ფაქტურის სისწორეზე დადასტურების მიღების და საგადასახადო ა/ფაქტურის, დაბეგვრის მიზნებისათვის, სათანადო შესაბამისი პერიოდის დეკლარაციაზე მიბმის, დადეკლარირების ეტაპებს. თითოეული ამ ეტაპის გავლის პროცესში სისტემა ახდენს საჭირო გამოთვლებს და სავალდებულო კონტროლების შემოწმებას, რასაც მინიმუმადე დაყავს მომხმარებლის მხრიდან შეცდომების ალბათობა.

აღნიშნული გვერდებიდან, მოქნილი ინტერფეისის დახმარებით, გადამხდელს აქვს საშუალება მიიღოს ინფორმაცია მის მიერ და მის სახელზე შედგენილი მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების (საგადასახადო ა/ფაქტურა) მდგომარეობის შესახებ. დაათვალიეროს კონკრეტული დოკუმენტი, მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება და გააკეთოს ზემოქმედება (დადასტურება ან უარყოფა. გააქტიურება ან გაუქმება) დოკუმენტზე. ინფორმაციის მიღება შესაძლებელია რეესტრის სახითაც, რომელიც მარტივად გადადის ფართოდ გამოყენებულ პროგრამულ მოდულებში (Excel).

სისტემაში გათვალისწინებულია ის გარემოება, რომ ამ რთულ (ფინანსური გარიგებს ამსახველ) პროცესებში მონაწილეობას იღებს პარტნიორი კომპანიები, რომელთაც ურთიერთობისთვის სჭირდებათ კომუნიკაცია. აქედან გამომდინარე იმავე სერვისებში გათვალისწინებულია პარტნიორებთან მიმოწერის და მოთხოვნების წარდგენის საშუალება, აქვე ხდება მომხმარებლის ინფორმირება პარტნიორი კომპანიის, საკონტაქტო



პირის კოორდინატების შესახებ. ინფორმაცია მიეწოდება მობილური ტელეფონის ნომრის და ელექტრონული მისამართის შესახებ.

სისტემა იძლევა საშუალებას მარტივად განახორციელოთ აღნიშნული სერვისების (ელ. სასაქონლო ზედნადები, საგადასახადო ა/ფაქტურა და ნავთობის საგადასახადო ა/ფაქტურა) ინტეგრირება ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამულ მოდულებში, გადამხდელის გვერდზე განთავსებული სერვისების აღწერის დოკუმენტის (პროტოკოლის) დახმარებით.

საჩივრების გვერდიდან გადამხდელს საშუალება აქვს ფინანსთა სამინისტროსა და შემოსავლების სამსახურში ელექტრონულად წარადგინოს საგადასახადო დავასთან დაკავშირებული საჩივარი, ასევე აღნიშნული გვერდიდან შესაძლებელია თვალყური ადევნოს მის მიერ უკვე წარდგენილი საჩივრების მდგომარეობას და მიიღოს პასუხი, დავების საბჭოზე მისი საჩივრის დაკმაყოფილების ან არ დაკმაყოფილების თაობაზე [1].

საგადასახადო საჩივრის რეგისტრაცია ასევე შესაძლებელია კონკრეტული გასასაჩივრებელი დოკუმენტიდან (საგადასახადო მოთხოვნა, სამართალდარღვევის ოქმი, აუდიტის დასკვნა და სხვა), რომელსაც შეტყობინებების სახით, აუცილებელი გასაცნობი დოკუმენტის სტატუსით, აგზავნის შემოსავლების სამსახური. აღსანიშნავია რომ სისტემას აქვს კონტროლი დოკუმენტის გაცნობის თარიღზე, რადგან დავის დაწყება განსაზღვრულია საგადასახადო კოდექსის მიხედვით და ვადის დარღვევით წარდგენილი სარჩელი არ განიხილება.

საჩივრების აღრიცხვის სერვისს, საჩივრის შევსების მოდულში აქვს დამატებითი დოკუმენტების (ელექტრონული სახით) ატვირთვის საშუალება.

ზოგადი ინფორმაცია წარმოადგენს ინფორმაციული ხასიათის სერვისს, სადაც განთავსებულია შემოსავლების სამსახურში გადასახადის გადამხდელის თაობაზე არსებული ინფორმაცია:

- ძირითადი ინფორმაცია - რეგისტრაციის მისამართი, სტატუსი, საქმიანობის ტიპი, სამართლებრივი ფორმა, გადამხდელის ობიექტების განლაგება ბიზნეს რუკაზე;

- დეკლარაციები - ყოველწლიური, კვარტალური და ყოველთვიური დეკლარაციები, სადაც შესაძლებელია ძიება და მონაცემების კატეგორიზაცია, ინფორმაცია მოწოდებულია, როგორც ელექტრონული ასევე ქაღალდურად წარდგენილი დეკლარაციების თაობაზე;

- სალარო აპარატები - გადამხდელის სახელზე რეგისტრირებული მოქმედი და გაუქმებული სალარო აპარატების რეესტრი, რომელიც მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას: სალარო აპარატის ტიპი, რეგისტრაციის და რეგისტრაციიდან მოხსნის თარიღი, განთავსების მისამართი, ლუქის ნომერი, ფისკალური მეხსიერების ნომერი და SIM ბარათის ნომერი;

- ობიექტების აღრიცხვა - გადასახადის გადამხდელის სხვადასხვა ობიექტების (ფილიალი, სათაო ოფისი, საწყოები, აგს და სხვა) რეესტრი. შესაძლებელია ახალი ობიექტის რეგისტრაცია, მისი მონაცემების განსაზღვრა, ასევე არსებული უკვე რეგისტრირებულ ობიექტებში მონაცემების ცვლილების განხორციელება;

- ნებართვები - მოიცავს, გადასახადის გადამხდელის სახელზე გაცემული სხვადასხვა სახის საბაჟო ან საგადასახადო ნებართვების გაცემის და მოქმედების ვადების თაობაზე ინფორმაციას, (მათ შორის საბაჟო კუთხით სხვა ორგანოს მიერ გაცემული ნებართვების შესახებ ინფორმაციას, რომლის წარდგენა და აღრიცხვა ხდება საბაჟო გამშვები პუნქტების მიერ).

- სამართალდარღვევები - განთავსებულია ორგანიზაციაზე განხორციელებული ყველა სამართალდარღვევის ოქმების რეესტრი, ოქმის ნომერი, შედგენის თარიღი, ბრძანების ნომერი და დარიცხვის თარიღი;

- შემოწმების შედეგები - გადასახადის გადამხდელის მიმართ განხორციელებული აუდიტორული შემოწმის შესახებ ინფორმაცია, აუდიტორული შემოწმების დაწყების თაობაზე ბრძანების ნომერი და

თარიღი, შემოწმების დაწყების და დასრულების თარიღი, შესამოწმებელი საგადასახადო პერიოდი; შემოწმების შედეგი - თანხობრივად (დარიცხვა ან/და შემცირება);

- საბაჟო ოპერაციები - ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ყველა საბაჟო ოპერაცია, ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი და სხვა.

დახმარების სერვისი - გადამხდელს შესაძლებლობა აქვს ვიდეო დახმარებების გვერდიდან მიიღოს ინფორმაცია, თუ როგორ უნდა მოახდინოს შემოსავლების სამსახურის მიერ შემოთავაზებული სერვისების გამოყენება. ცალკეული სერვისისთვის ვიდეო დახმარებები დაყოფილია კატეგორიების მიხედვით, რაც ამარტივებს მომხმარებლისთვის სასურველი ქმედების განსახორციელებლად დახმარების მიღების საშალებას.

ელექტრონული განცხადებების მოდულში თითოეული განცხადებისთვის შექმნილია საინფორმაციო გვერდი, საიდანაც მომხმარებელს ეძლევა სრული ინფორმაცია კონკრეტული მომსახურების მიღების განხორციელებისთვის საჭირო ქმედებებზე, ასევე თუ რა სახის მომსახურების მიღებას ემსახურება აღნიშნული განცხადება. განცხადების შევსებისას თითოეულ ველს აქვს მოკლე განმარტება, იმის თაობაზე თუ რა სახის მონაცემის შემცველი უნდა იყოს აღნიშნული ველი.

ელექტრონული განცხადებების სერვისი გადამხდელს აძლევს საშუალებას მოითხოვოს სხვადასხვა სახის მომსახურება შემოსავლების სამსახურის შესაბამისი დეპარტამენტებიდან. სერვისი იძლევა სასურველი განცხადების მარტივად არჩევის და რეგისტრაციის საშუალებას, ასევე იძლევა ყველა ელექტრონულად წარდგენილი განცხადებების შესახებ სრულ ინფორმაციას: განცხადების მდგომარეობის შესახებ, შემოსავლების სამსახურიდან საპასუხო წერილის მიღების საშუალებას და სხვა.


ელექტრონული განცხადებების სერვისი მოიცავს 300-ზე მეტი სხვადასხვა შინაარსის და დასახელების განცხადებებს, რომლებიც

გადამხდელის გვერდზე დაჯგუფებულია შინაარსის მიხედვით სხვადასხვა არეებში-ჯგუფებში, სერვისში განთავსებულია 50-მდე თემატური ჯგუფი.

### 3.3. ელექტრონული განცხადებების სერვისის აღწერა

ელექტრონული განცხადებების სერვისის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს - განცხადების რეგისტრაცია - მომხმარებლის ინტერფეისი; განცხადების რეგისტრაცია გადამხდელის სახელით, შესასრულებელი განცხადების მიღება/დათვალიერება, შესრულება, ვიზირება, პასუხის მომზადება და დაბრუნება - თანამშრომლის ინტერფეისი (ნახაზი N8); თანამშრომლების მართვა და რეპორტიინგი, კონტროლი დედლაინებზე - მენეჯერის ინტერფეისი და განცხადების მართვა - სისტემის ადმინისტრატორის ინტერფეისი.

განცხადების რეგისტრაცია შესაძლებელია განახორციელოს გადასახადის გადამხდელმა - ავტორიზებული მომხმარებლის გვერდიდან, შემოსავლების სამსახურის თანამშრომელმა ან საჯარო რეესტრის ეროვნული ბიუროს თანამშრომელმა პორტალზე - თანამშრომლის გვერდიდან ავტორიზაციის გავლის შემდეგ.



ნახაზი N8. განცხადების მართვის პროცესი

განცხადებები რეგისტრაციის განხორციელების მიხედვით იყოფა შემდეგი კატეგორიის განცხადებებად:

- განცხადებები, რომელთა დარეგისტრირება შესაძლებელია, როგორც გადამხდელის მიერ ავტორიზებული ვებ-გვერდიდან, ასევე შემოსავლების სამსახურის თანამშრომლის გვერდიდან და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლის გვერდიდან (სერვის-ცენტრის თანამშრომლების მიერ, იუსტიციის სახლის თანამშრომლების მიერ);
- განცხადებები, რომლებიც რეგისტრირდება მხოლოდ შემოსავლების სამსახურის თანამშრომლების მიერ მომსახურების სერვის ცენტრში (მაგ.თბილისის მომსახურების ცენტრი);
- განცხადებები, რომლებსაც არეგისტრირებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები;
- განცხადებები, რომლებსაც არეგისტრირებს შემოსავლების სამსახურის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი იურიდიული საწარმო - საკონტროლო-სალარო აპარატების რეგისტრაციის და ძველი ტიპის საკონტროლო სალარო აპარატის გაუქმების შესახებ განცხადების რეგისტრაცია.

განცხადების რეგისტრაციისას აუცილებელი პირობაა განისაზღვროს მომსახურების შესრულების დედლაინი - განცხადების შესრულების სავადო თარიღი. ამისათვის აუცილებელია განისაზღვროს მომსახურების ტიპი. მომსახურების ტიპის მიხედვით განცხადებები იყოფა ფასიან და უფასო მომსახურებად, შესაბამისად თითოეულისთვის განსაზღვრულია შესრულების ვადები. ფასიანი განცხადებების მომსახურების ფასი და შესრულების ვადები დადგენილია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის N96 დადგენილებით [3]. არის განცხადებები, რომელთა მომსახურების ტიპი არის უფასოც და ფასიანიც, განსხვავება მდგომარეობს

მხოლოდ შესრულების ვადებში და საფასურში. უფასო სერვისის არჩევით განცხადების რეგისტრაციის შემდეგ გადახმდელს აქვს შესაძლებლობა დააჩქაროს მის მიერ დარეგისტრირებული განცხადების პასუხის მოთხოვნა - გადაიხადოს მომსახურების შესაბამისი საფასური სერვის ცენტრებში განთავსებულ საბანკო სექტორში ან ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში შესაბამისი განაცხადის ID ნომრის მითითებით. აღსანიშნავია რომ აღნიშნულ სისტემაში ჩართულია ყველა საბანკო დაწესებულება, რაც ოპერატიულს ხდის მომსახურების სერვისებს.

დაჩქარებული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის განცხადებაზე ატვირთვა შესაძლებელია განახორციელოს, როგორც გადამხდელმა ავტორიზებული გვერდიდან, ასევე შემოსავლების სამსახურის თანამშრომელმა. ელექტრონული განცხადებების სისტემა მოიცავს სერვის საბანკო დაწესებულებებთან, აღნიშნული სერვისით ხდება განცხადების უნიკალური ID ნომრით გადახდის ქვითრის ელექტრონულ განცხადებასთან ავტომატური დაკავშირება.

გადამხდელს საშუალება აქვს განცხადების რეგისტრაციისთანავე განახორციელოს მომსახურების საფასურის ელექტრონული გადახდა. ამისთვის განცხადების რეგისტრაციის წარმატებით დასრულების შემდეგ, სისტემის მიერ გამოტანილ შეტყობინებაში, ვებ გვერდზე, ჩაშენებულია ბარათით გადახდის საბანკო სისტემა. რომლის გამოყენების შედეგად ავტომატურად ხდება საგადასახადო დავალების გენერაცია და ავტომატურად მიეთითება განცხადების უნიკალური ID ნომერი, რომლითაც ხდება გადახდის განცხადებასთან დაკავშირება.

სისტემაში გამოყენებულია სხვადასხვა საბანკო დაწესებულების მიერ მოწოდებული გადახდის სერვისები, რომლის საშუალებით პლასტიკური ბარათის დახმარებით შესაძლებელია გადახდების განხორციელება. დღეისათვის სისტემაში ინტეგრირებულია Ipay გადახდის სისტემა; საქართველოს ბანკის, ბანკი ქართუს და ლიბერთი ბანკის გადახდის

სერვისები, შესაძლებელი ნებისმიერი ბანკის პლასიკური ბარათით განხორციელდეს გადახდა.

განცხადებები შემსრულებლის განსაზღვრის პრინციპით იყოფა შემდეგნაირად:

განცხადება, რომლის შემსრულებლის განსაზღვრა შესაძლებელია განცხადების რეგისტრაციისას, დეპარტამენტის ან რეგიონული ცენტრის მითითებით, რასაც თავად ირჩევს მომხმარებელი ეს ძირითადად განპირობებულია იმ გარემოებით თუ რომელი რეგიონიდან ან საბაჟო გამშვებ პუნქტიდან სურს მიიღოს მომსახურება;

განცხადება, რომელიც სამართლიანობის პრინციპით ეწერება სერვისზე პასუხისმგებელ თავისუფალ ოპერატორს - შემოსავლების სამსახურის თანამშრომელს, შემსრულებლის განსაზღვრისას სისტემა ითვალისწინებს იმ გარემოებას, თუ რომელ რეგიონულ ცენტრში დგას გადასახადის გადამხდელი საგადასახადო აღრიცხვაზე.

განცხადება, რომელიც შესასრულებლად ეწერება თანამშრომელს, რომელმაც დაარეგისტრირა აღნიშნული განცხადება, ეს ძირითადად არის ისეთი სახის სერვისები რომლებზეც პასუხი გაიცემა მყისიერად და საჭიროებს რაიმე სახის დოკუმენტის (ორიგინალის) მიღებას;

განცხადება - ავტომატური, რომელზეც პასუხს ავტომატურად იძლევა სისტემა, ასეთი განცხადების პასუხის მომზადებაში მონაწილეობას არ იღებს თანამშრომელი, სისტემა თავად აგენერირებს სათანადო პასუხს და პასუხიდან გამომდინარე ცვლის განცხადების სტატუსს;

განცხადება - ნახევრად ავტომატური, რომელზეც გარკვეული კრიტერიუმების გავლის შემდეგ სისტემა იღებს გადაწყვეტილებას მომსახურების გაწევის თაობაზე, რისკის კრიტერიუმების გავლის შემდეგ უარყოფითი შედეგის შემთხვევაში ავტომატურად აყალიბებს პასუხს, წინააღმდეგ შემთხვევაში პროგრამა განსაზღვრავს შემსრულებელს, რომელიც ახდენს განცხადებაზე რეაგირებას.



გადასახადის გადამხდელის გვერდიდან და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეშვეობით რეგისტრირდება მხოლოდ ის განაცხადები, რომლებიც ეგზავნება მომსახურების გამწევ პირს და არ რეგისტრირდება ისეთი სახის განაცხადები, რომლებიც თავისი შინაარსიდან გამომდინარე ეწერება მარეგისტრირებელ ოპერატორს. ვებ-გვერდისა ან საჯარო რეესტრის მეშვეობით დარეგისტრირებული განაცხადები ეგზავნებათ შემოსავლების სამსახურის მომსახურების გამწევ პირს, Back Office-ს ან სხვა რომელიმე დეპარტამენტს.

განაცხადის რეგისტრაციისათვის პორტალზე ავტორიზებული გადამხდელი ან შემოსავლების სამსახურის ან საჯაროს რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელი ახორციელებს მომსახურების სახის არჩევას, პორტალზე ავსებს განაცხადის ფორმას, აუცილებელი შესავსები ველების გათვალისწინებით, დაურთავს არჩეული მომსახურებისთვის განსაზღვრულ დოკუმენტებს, უთითებს მომსახურების ტიპს (ფასიანი დაჩქარებული, უფასო) და დაურთავს მომსახურებისთვის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს.

განცხადების შევსება გულისხმობს განცხადებისთვის გამოყოფილი ყველა აუცილებელი ველის შევსებას, მატრიცული სახის ცხრილის შევსების საშუალებას, თუ განცხადების შინაარსიდან გამომდინარე საჭიროა რეესტრის წარდგენა, ასევე დამატებითი დოკუმენტების - ფაილების სახით ატვირთვის საშუალებას.

განცხადებები დაჯგუფებულია თემების მიხედვით, რაც ამარტივებს სასურველი განცხადების ადვილად ძებნას რეგისტრატორისთვის. განცხადების შევსებისას მოწმდება ყველა აუცილებელი მონაცემების არსებობა. არის მონაცემები, რომლებიც ივსება ავტომატურად სისტემის მიერ მონაცემთა ბაზიდან, ისეთი როგორცაა, სახელწოდება, მისამართი და სხვა რეკვიზიტები, ავტორიზებული მომხმარებლით განსაზღვრული გადამხდელის მიხედვით. ან თანამშრომლის მიერ განცხადების რეგისტრაციისას აღნიშნული მონაცემები ივსება საიდენტიფიკაციო ან

პირადი ნომრის მითითების შემდეგ. განცხადებაში ასევე არის ასარჩევი ველები, განცხადების შინაარსიდან გამომდინარე, რომელიც გენერირდება გადამხდელის მიხედვით სისტემაში დაცული მონაცემებიდან. აღნიშნული ამარტივებს განცხადების შევსების სერვისს და გამორიცხავს შეცდომების დაშვების ალბათობას.

განცხადების გადაგზავნისას შემუშავებულია სპეციალური მექანიზმი, რომელიც შეატყობინებს რეგისტრატორს - გადასახადის გადამხდელს დარეგისტრირებული განცხადების ID ნომერს და შტრიხკოდს, აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს გადამხდელისთვის მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია თვალყური ადევნოს განცხადების შესრულების მიმდინარეობას, როგორც ავტორიზებული მომხმარებლით ასევე ღია სერვისით, რომელიც განთავსებულია შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებ გვერდზე. დარეგისტრირებულ განცხადებას სისტემა განცხადების სახისა და ტიპის მიხედვით განუსაზღვრავს შემსრულებელს.

განცხადებები შესრულებლის განსაზღვრის მიხედვით იყოფა ოთხი ტიპის განცხადებად:

1. ავტომატური განცხადება, რაც ნიშნავს, რომ პროგრამა შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზებზე დაყრდნობით ავტომატურად აგენერირებს და აბრუნებს შესაბამის პასუხს;

2. განცხადება, ნახევრადავტომატური, რაც ნიშნავს რომ განცხადების შევსებისას, სისტემა ითვალისწინებს წინასწარ განსაზღვრულ სხვადასხვა რისკ ფაქტორებს და რისკის კრიტერიუმებს, რომელსაც ამოწმებს და მიღებული შედეგის მიხედვით განსაზღვრავს - აყალიბებს პასუხს ან განსაზღვრავს შემსრულებელს.

3. განცხადება, რომელსაც ასრულებს სხვა უწყება, რაც გულისხმობს, რომ გადამხდელის მიერ შევსებულ ინფორმაციას შემოსავლების სამსახური სერვისით უგზავნის გარე უწყებას შემდგომი განხილვისათვის.

4. განცხადება, რომელიც ავტომატურად ეწერება წინასწარ განსაზღვრულ შემოსავლების სამსახურის თანამშრომელს შესასრულებლად.

ავტომატური ტიპის განცხადებების გადაგზავნისას, პროგრამა მონაცემთა ბაზებზე დაყრდნობით ამოწმებს სათანდო ინფორმაციას, აგენერირებს სათანადო პასუხს, განცხადებას უცვლის შესაბამის სტატუსს და მომსახურების მომთხოვნ პირს - გადასახადის გადამხდელს პირად გვერდზე ეგზავნება შესაბამისი პასუხი, განცხადების სტატუსი იცვლება პასუხიდან გამომდინარე - დადებითი ან უარყოფითი სტატუსით.

დღეისათვის სისტემაში ორგანიზებულია 20-მდე ავტომატური ტიპის განცხადება. აღნიშნული ტიპის განცხადებები, არის სხვადასხვა შინაარსის: შემოსავლების სამსახურიდან სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიღების თაობაზე - მაგ. „საბანკო ანგარიშების შესახებ ცნობის გაცემის შესახებ“, „საგადასახადო დავალიანების შესახებ ცნობის გაცემის თაობაზე“, და სხვა; შემოსავლების სამსახურში ცნობის სახით ინფორმაციის წარდგენის თაობაზე, რომელზეც სისტემურ რეაგირებას ახდენს სისტემა მაგ. „წლიური დეკლარაციის გადავადების შესახებ“; „ინფორმაცია თვითღირებულებაზე დაბალი ფასით საქონლის რეალიზაციის თაობაზე“, „დღგ-სგან განთავისუფლებულ ოპერაციებზე დაბეგვრის უფლების გამოყენებაზე“ და სხვა; შემოსავლების სამსახურში სხვადასხვა სახით რეგისტრაციის განხორციელების თაობაზე. მაგ. „ფიზიკური პირის გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ“, „დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ“ და სხვა, ასეთი ტიპის განცხადებების რეგისტრაციისას სისტემა რიგი კონტროლის გათვალისწინებით ახდენს შესაბამის ქმედებას, გაცემს სათანადო ინფორმაციას, იღებს, არეგისტრირებს და ერთიან მონაცემთა ბაზაში ასახავს სხვადასხვა სახის მონაცემებს.

ნახევრად ავტომატური განცხადებები, რომლის დროსაც სისტემა წინასწარ განსაზღვრავული რისკის ფაქტორების გათვალისწინებით აყალიბებს პასუხს. ნახევრად ავტომატური განცხადების შევსებისას, სისტემა ითვალისწინებს წინასწარ განსაზღვრულ სხვადასხვა რისკის

ფაქტორებს და რისკების განმსაზღვრელ კრიტერიუმებს, რომელსაც ამოწმებს განცხადების მონაცემებსა და მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით და მიღებული შედეგის მიხედვით განსაზღვრავს პასუხებს და განსაზღვრავს შემსრულებელს. დაბალი რისკის განცხადება სრულდება პროგრამის მიერ, მონაცემთა ბაზებზე დაყრდნობით, ხოლო განცხადება, მაღალი ან საშუალო რისკის მქონე განცხადება ეწერება შემოსავლების სამსახურის თანამშრომელს შესასრულებად. შემოსავლების სამსახურის თანამშრომელი, შესაბამისი დამხმარე მოდულების მიხედვით ამოწმებს ინფორმაციას, იღებს გადაწყვეტილებას სათანადო ქმედებაზე, ახორციელებს მას და ამუშავებს პასუხს, რომელსაც უგზავნის გადამხდელს ვებ პორტალზე.

ნახევრად ავტომატური განცხადებას განეკუთვნება შემდეგი განცხადება - ვადაგასული ან/და შემდგომი მიწოდებისათვის უვარგისი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ჩამოწერის დოკუმენტის დადასტურების შესახებ, რომლის შევსების წესი და რისკების განსაზღვრა დადგენილია „სსიპ - შემოსავლების სამსახურში საგადასახადო მონაცემთა ავტომატიზირებული სისტემის მეშვეობით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის დოკუმენტის დადასტურების რისკის კრიტერიუმებისა და ამ პროცედურაში საგადასახადო ორგანოს მონაწილეობის პირობების განსაზღვრის შესახებ“ N29176 ბრძანებულებით [8].

აღნიშნულ ბრძანებულებაში გაწერილია განცხადების წარსადგენად საჭირო დოკუმენტებისა და მონაცემების აღწერა, ასევე მოცემულია რისკის კრიტერიუმების განსაზღვრა და პარამეტრების დეტალური გაშიფვრა, თუ რა მონაცემებზე დაყრდნობით უნდა განხორციელდეს განცხადების დამუშავება და რისკის ჯგუფების განსაზღვრა.

ავტომატიზებული სისტემის მეშვეობით მოწმდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის დოკუმენტის დადასტურების რისკის კრიტერიუმები, რომლებიც რეგულირდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N994 ბრძანებით დამტკიცებული წესის

34-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად [6]. მაღალი რისკის ზონაში ექცევა შემდეგი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები:

- ა) ხორცი/ხორცპროდუქტები
- ბ) რძე/რძის პროდუქტები
- გ) სოფლის მეურნეობის პროდუქტები
- დ) თევზი
- ე) ალკოჰოლური სასმელები
- ვ) ელექტროსაქონელი

დაბალი რისკის ზონაში ექცევა შემდეგი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები:

- ა) ტარა-მასალა
- ბ) თამბაქოს ნაწარმი
- გ) პლასტმასის ნაწარმი

მაღალი რისკის ზონაში მოქცეულ საქონელზე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის დოკუმენტის დადასტურება ადგილზე გასვლით ხორციელდება დადგენილი წესით რეგისტრირებულ ყოველ მესამე განცხადებაზე.

დაბალი რისკის ზონაში მოქცეულ საქონელზე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის დოკუმენტის დადასტურება ხორციელდება ადგილზე გასვლით დადგენილი წესით რეგისტრირებულ ყოველ მეექვსე განცხადებაზე.

თუ გადასახადის გადამხდელი თვის განმავლობაში სამი ან მეტი განცხადებით მიმართავს საგადასახადო ორგანოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის დოკუმენტის დადასტურების მოთხოვნით, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის დოკუმენტის დადასტურება ხორციელდება ადგილზე გასვლით დადგენილი წესით რეგისტრირებულ ყოველ მეორე განცხადებაზე.

ასევე ადგილზე გასვლით ხორციელდება შემდეგი შემთხვევების დროს:

ა) გადასახადის გადამხდელის მიერ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის დოკუმენტის დადასტურების მიზნით, განცხადება საგადასახადო ორგანოში წარდგენილია პირველად;

ბ) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის დოკუმენტში მითითებული საქონლის ფასი აღემატება 15000 ლარს;

გ) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის დოკუმენტის დადასტურების მიზნით, საგადასახადო ორგანოში წარდგენილი განცხადების რეგისტრაციიდან წინა 12 თვის განმავლობაში გადასახადის გადამხდელს ჩადენილი აქვს საგადასახადო სამართალდარღვევა.

ასევე განსაზღვრულია, რომ ადგილზე გასვლით დადასტურება სავალდებულოა შემოსული განცხადებების პროგრამული შერჩევით 5%-ის შემთხვევაში.

ვადაგასული ან/და შემდგომი მიწოდებისათვის უვარგისი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ჩამოწერის განცხადების ფორმის შევსება დადგენილია 2010 წლის 31 დეკემბრის N994 ბრძანებით დანართი N24-ის შესაბამისად (ცხრილი N1).

## გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

### ვადაგასული ან/და შემდგომი მიწოდებისათვის უვარგისი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ჩამოწერის დოკუმენტის დადასტურების შესახებ

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის მიზნით, კანონმდებლობის შესაბამისად წარმოგიდგენთ

"სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის დოკუმენტს" ჩამოსაწერი სმფ-ის ღირებულება: ჩამოსაწერი სმფ-ის განთავსების ადგილი: სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა ხორციელდება:

სმფ-ის განადგურების ადგილი: \_\_\_\_\_, მისამართი \_\_\_\_\_ აქირიცხება განადგურებისას სმფ-ის რაოდენობა \_\_\_\_\_

### სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის დოკუმენტი

1	2
გადასახადის გადამხდელის დასახელება, ფაქტური მისამართი	(საიდენტიფიკაციო ნომერი)
5	6
საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირები	პროცედურის განხორციელების დრო (რიცხვი, თვე, და წელი სიტყვიერად)

7. ჩამოსაწერი სასაქონლო მატერიალური ფასეულობის აღწერა:

N	სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დასახელება და აღწერილობა	ზომის ერთეული	რაოდენობა	სმფ-ს ღირებულება სააღრიცხვო მონაცემების მიხედვით		გაუვარგისების მიზეზები (ვადის გასვლა, მტვერი, გაფუჭება და სხვა)
				ერთეულის ფასი	სულ	
1						

სულ: ...

8	სულ განადგურებული სმფ-ს რაოდენობა (სიტყვიერად, სახეობების მიხედვით) ავსებს საგადასახადო ორგანო			
9	გადასახადის გადამხდელის ხელმოწერა			
10	გადასახადის გადამხდელის წარმომადგენლის ხელმოწერა			
11	მოწვეული სპეციალისტის ხელმოწერა			
12	<table border="1" style="width: 100%; border-collapse: collapse; text-align: center;"> <tr> <td style="width: 33%;">1</td> <td style="width: 33%;">2</td> <td style="width: 33%;">3</td> </tr> </table> საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლის/წარმომადგენლების ხელმოწერა	1	2	3
1	2	3		
13	საგადასახადო ორგანოს უარი დოკუმენტის დადასტურებაზე (მეითითება უარის თქმის საფუძველზე)			

ცხრილი N1. ვადაგასული ან/და შემდგომი მიწოდებისათვის უვარგისი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ჩამოწერის განცხადების ფორმა

ასეთი სახის განცხადებების შევსება, რომელიც მოითხოვს როგორც ძირითად, ასევე დამატებით მატრიცული ცხრილის შევსებას, შემუშავებული იქნა განცხადებების ფორმის შევსების ახალი ტიპი, რომელიც მოიცავს მონაცემების ორ ეტაპად შევსებას: ძირითადი ინფორმაციის შევსება, რაც გულისხმობს ჯამურ მონაცემებს, გადამხდელის შესახებ პირად ინფორმაციას და მოთხოვნილი მომსახურების თანახმად საჭირო მონაცემებს. მეორე ეტაპი ითავლისწინებს დამატებითი ინფორმაციის შევსებას, რაც გულისხმობს, რეესტრის სახით წარსადგენი მონაცემების შევსებას და ძირითად ინფორმაციასთან ერთად წარდგენას. განცხადებების მოდულში ძირითადი და დამატებითი ინფორმაცია იკრიბება და ყალიბდება ერთიანი განცხადება. აღნიშნულ განცხადებაში წარმოდგენილი მონაცემები კონტროლდება რისკის კრიტერიუმების მიხედვით და ხდება შესაბამისი პასუხის ჩამოყალიბება.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, არის განცხადებები, რომელებიც საჭიროებს მომსახურების პროექტში სხვა გარე უწყების ჩარევას. შემოსავლების სამსახური ელექტრონულად სერვისების საშუალებით ურთიერთობს (აგზავნის და იღებს ელექტრონულ მონაცემებს) სხვადასხვა უწყებასთან, როგორცაა სარკინიგზო სამსახური და საკონტროლო-სალარო აპარატების რეგისტრაციაზე/მოხსნაზე პასუხისმგებელი კომპანიები. გადამხდელის მიერ დარეგისტრირებული ასეთი ტიპის განცხადების მონაცემები, შემოსავლების სამსახურის სერვისის საშუალებით ეგზავნება გარე უწყებას, რომელსაც ასევე აქვს მისი კონტროლის ქვეშ მყოფი განცხადებების რეგისტრაციის უფლება. გარე უწყების თანამშრომლები შესასრულებლად იღებენ მოთხოვნებს და სათანადო რეაგირების შემდეგ შემოსავლების სამსახურის სერვისის საშუალებით აბრუნებენ პასუხს, ხშირ შემთხვევაში პასუხის გენერაცია ხდება ავტომატურად იმის მიხედვით თუ რა სახის სტატუსს აგზავნის შემსრულებელი. მაგ. „ახალი საკონტროლო-სალარო აპარატის რეგისტრაციის თაობაზე“; „საკონტროლო-სალარო აპარატის რეგისტრაციიდან მოხსნის თაობაზე“.



განცხადება, რომელიც საჭიროებს შემოსავლების სამსახურის თანამშრომლის მხრიდან შესრულებას და მოქცეულია განცხადების შემსრულებლებს შორის ავტომატურ გადანაწილებაზე. შესრულების ავტომატური გადანაწილება ტიპის მიხედვით დაყოფილია სამ ნაწილად:

- განაცხადები, რომლებიც ეწერება თვითონ მარეგისტრირებელ ოპერატორს;
- განაცხადები, რომლებიც ეგზავნება მომსახურების გამწევ პირს (შემოსავლების სამსახურის თანამშრომლების განსაზღვრულ პირთა წრეს);
- განაცხადები, რომლებიც შესასრულებლად ეწერება ორგანიზაციის საგადასახადო მრჩეველს.

გადამხდელის რეგისტრაციის ადგილის და მომსახურების სახის მიხედვით საინფორმაციო სისტემა განსაზღვრავს შემსრულებელს. მომსახურების სახის მიხედვით შემსრულებელი შეიძლება იყოს: შემოსავლების სამსახურის დეპარტამენტების თანამშრომელი, საბაჟო/საგადასახადო რეგიონული ცენტრის სხვადასხვა სამმართველოს (განყოფილების) თანამშრომელი, შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელი პირი.

დავალება შესასრულებლად ეგზავნება პირს, რომელიც სისტემაში წინასწარ განსაზღვრულია ამ სერვისის შემსრულებელ პასუხისმგებელ პირად, დავალების მიღების მომენტში არის აქტიური, იმყოფება სამუშაო ადგილზე და არის თავისუფალი (სხვებთან შედარებით ნაკლებად დაკავებული). იმ შემთხვევაში თუ ყველა ოპერატორი, რომელიც გაწერილია კონკრეტული დავალების შემსრულებლად დაკავებულია, დავალება გადანაწილდება იმ ოპერატორთან, ვისაც შესასრულებელი დავალებების რაოდენობა ნაკლები აქვს. იმ შემთხვევაში თუ რანდენიმე ოპერატორია თავისუფალი, დავალება გადანაწილდება სამართლიანობის პრინციპით და შესასრულებლად დავალება დაეწერება იმ ოპერატორს რომელსაც ნაკლები დავალება აქვს შესრულებული.

ამოცანის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ მსხვილ გადამხდელებს, რომელთაც 3 მილიონი ქონდათ შემოსავალი ან ბრუნვა, ემსახურებოდა სპეციალურად მათთვის გამოყოფილი სამმართველო - მსხვილგადამხდელთა ინსპექცია. აღნიშნულის გათვალისწინებით ცვლილება შევიდა საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც, შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ორგანოში აღრიცხვაზე მყოფ გადამხდელებს საგადასახადო კოდექსის[1] 50-ე მუხლის შესაბამისად შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ დადგენილ უფლებათა განხორციელებისას და დაწესებულ ვალდებულებათა შესრულებისას საგადასახადო ორგანოსთან ურთიერთობის ხელშეწყობის მიზნით პირადი საგადასახადო მრჩევლის მომსახურებით. საგადასახადო მრჩევლის მომსახურებით სარგებლობისათვის საჭიროა გადამხდელმა შეავსოს ელექტრონული განცხადება „Prive - პირადი საგადასახადო მრჩევლის მოთხოვნა“, რომლის შევსების და გადაგზავნის შემთხვევაში პრივეს სამმართველოს უფროსი გადასახადის გადამხდელს მიამაგრებს მისთვის გამოყოფილ საგადასახადო მრჩეველს, რომელიც ინდივიდუალურად შეისწავლის მისი ორგანიზაციის საკითხებს და დაეხმარება ვალდებულებების სწორად და ზუსტად განსაზღვრაში. ასევე პროგრამაში გათვალისწინებულია იმ გადამხდელთა გადასახადის მიერ გადმოგზავნილი განცხადებები, რომელთაც ყავთ პირადი საგადასახადო მრჩეველი შესასრულებლად დაეწერებათ მათ.

სისტემას ასევე აქვს დამატებითი ფუნქცია, რომელიც საშუალებას იძლევა, რომ ოპერატორმა - შემსრულებელმა შეძლოს მისივე სექტორში, სისტემის მიერ გადანაწილებული შემოსული განცხადების საკუთარ თავზე გადმოწერა, აღნიშნული სერვისი ფართოდ გამოიყენება საბაჟო გამშვებ პუნქტებში, რიგების თავიდან აცილების და დავალების ოპერატიულად შესრულების თვალსაზრისით. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საბაჟო გამშვებ პუნქტებში მეზაჟე თანამშრომლებს ცვლაში უწევთ მუშაობა და ასეთი სახის სერვისის მათთვის შეთავაზება მეტად აქტუალურია.

შემოსავლების სამსახურის თანამშრომელი დავალების მიღების შესახებ იღებს შეტყობინებას, სისტემის მიერ იგზავნება მოკლე ტექსტური შეტყობინება თანამშრომლის მობილური ტელეფონის ნომერზე და ახალი განცხადება ვარდება მოდულში „შესასრულებელი განცხადებები“, შეტყობინების მიღების შემდეგ თანამშრომელი იღებს გადაწყვეტილებას მომსახურების გაწევის შესახებ.

თანამშრომლისთვის განკუთვნილ განცხადების ინტერფეისში „შემოსული განცხადებები“ შესასრულებლად შემოსული განცხადებები წარმოდგენილია რეესტის სახით და დალაგებულია შესრულების სავადო თარიღების მიხედვით, რომლის თანახმადაც სისტემა განსაზღვრავს პრიორიტეტულ დავალებებს. აღნიშნულ გვედზე შემსრულებელს აქვს საშუალება გაეცნოს და განიხილოს შესასრულებელი განცხადება და მას შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება განცხადების შესრულების და მომსახურების გაწევის თაობაზე.

თანამშრომელს აქვს საშუალება დაათვალიეროს მიღებული განცხადება და მასზე თანდართული ყველა დოკუმენტი (გადმოწეროს, გახსნას); ამოხეჭდოს განცხადების ფორმა; შეამოწმოს გადახდის დამადასტურებელი საბუთის არსებობა, ფასიანი მომსახურების შემთხვევაში; შეამოწმოს განცხადების წარმდგენის უფლებამოსილება, სისტემიდან მიიღოს ინფორმაცია წინასწარ რეგისტრირებული უფლებამოსილი პირების შესახებ (დაათვალიეროს მინდობილობა); მოახდინოს განცხადების დაჩქარებულ მომსახურებაზე გადაყვანა; განცხადების შესასრულებლად გამოიყენოს დამხმარე პროგრამული აღრიცხვის მოდული; მოამზადოს და ატვირთოს საპასუხო წერილი, თანდართული დოკუმენტების ატვირთვის საშუალებით, რომელიც შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა სახის შინაარს.

#### განცხადების სტატუსები:

თავდაპირველად განცხადებას რეგისტრაციის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში ენიჭება სტატუსი „მიღებული“, სტატუსის

ცვლილება არ ხდება სანამ შემსრულებლის მიერ არ განხორციელდება საპასუხო ქმედება.

განცხადებაზე საპასუხო ინფორმაციის გაცემის მიხედვით სისტემა საზღვრავს შემდეგი სახის სტატუსებს:

- დახარვეზებული - დარეგისტრირებული განცხადება არ მოიცავს მის შესასრულებლად და პასუხის მოსამზადებლად ყველა საჭირო მონაცემს. მომსახურების მისაღებად საჭიროა დამატებითი ინფორმაცია, რომელიც უნდა წარადგინოს გადამხდელმა აღნიშნულ განცხადებაზე დამატებითი ველების შევსების ან დამატებითი დოკუმენტების ატვირთვის საშუალებით.

- ელოდება დამტკიცებას - განცხადებაზე შემსრულებლის მიერ მომზადებულია პასუხი, რომელიც გადაგზავნილია ხელმძღვანელთან ვიზის მისაღებად.

- დამტკიცებული - განცხადება რომელზეც შემსრულებლის მიერ მომზადებულია პასუხი და ხელმძღვანლის მიერ არის ვიზირებული, დამტკიცებული;

- უარყოფილი - განცხადება არ განიხილება შესასრულებლად საფასურის გადაუხდელობის ან რაიმე სხვა მიზეზის გამო;

- უარყოფითი - მომსახურების მიღებაზე ეგზავნება უარი, განცხადებას თან ახლავს შემოსავლების სამსახურის მიერ არგუმენტირებული წერილი მომსახურების მიღებაზე უარის შინაარსით.

- დადებითი - მომსახურება გაწეულია თანამშრომლის მიერ და განცხადებით მოთხოვნილი მომსახურება დაკმაყოფილებულია, პასუხის შინაარსი მოიცავს დადებით პასუხს.

დარეგისტრირებული განცხადების შესრულებისას მოწმდება გადახდა. იმ შემთხვევაში თუ განცხადება არის ავტომატური და გადამხდელს არჩეული აქვს ფასიანი მომსახურება, გადახდის დამადასტურებელი

საბუთის არ არსებობის შემთხვევაში სისტემა ავტომატურად აბრუნებს უარს - განცხადების სტატუსი ხდება „უარყოფითი“.

შემოსავლების სამსახურის თანამშრომელი, რომელსაც ეწერება განცხადება შესასრულებლად, ამოწმებს მომსახურების გაწევისთვის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტებს. საინფორმაციო სისტემა იღებს საბანკო დაწესებულებიდან გადახდილი თანხების შესახებ ინფორმაციას, რომელიც განცხადების უნიკალური ნომრით უკავშირდება განცხადებას და განცხადება იღებს სტატუსს „გადახდილია“.

გადამხდელების მიერ მომსახურების გაწევისთვის გადახდილი თანხები აღირიცხება ერთიან სისტემაში სადაც ოპერატორს აქვს საშუალება გადახდის დამადასტურებელი საბუთის ნომრით, პერიოდის და გადამხდელის უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომრის მიხედვით მოძებნოს გადახდილი თანხა და გაქვითოს მომსახურების გაწევის საფასური.

სისტემიდან აგზავნის შეტყობინებებს მომსახურების გაწევის, დაჩქარებულ მომსახურებაზე უარის, და ხარვეზის შესახებ.

- იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების გაწევისთვის გადამხდელის მიერ სრულად არ არის წარდგენილი დოკუმენტები ან შემსრულებლის მიერ ნაპოვნია ხარვეზი, შემსრულებელი კანონით განსაზღვრულ ვადებში ატყობინებს გადამხდელს დამატებითი დოკუმენტების წარდგენის აუცილებლობაზე და უსაზღვრავს წარდგენის ბოლო ვადას. დავალების შესრულების ვადა ჩერდება დამატებითი დოკუმენტების წარდგენამდე. დამატებითი დოკუმენტების წარდგენა გადასახადის გადამხდელის მიერ უნდა მოხდეს ასევე განსაზღვრულ ვადებში, იმავე განაცხადის ნომრით, რომელზეც დაფიქსირდა ხარვეზი. ხარვეზის გამოსწორებისათვის განკუთვნილი ვადის გასვლის შემთხვევაში განცხადება იღებს სტატუსს „უარყოფითი“ რის შემდეგ მომსახურების მისაღებად საჭიროა ახალი განაცხადების რეგისტრაცია.

- ფასიანი მომსახურების შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელს არ აქვს გადახდილი შესაბამისი თანხა, შემსრულებელი აბრუნებს მოთხოვნილ მომსახურებაზე უარის პასუხს.

მომსახურების გაწევაზე უარის ან დაჩქარებული მომსახურების მოთხოვნისას თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში შემსრულებელი აგზავნის შეტყობინებას უარის მიზეზის მითითებით.

განაცხადის სრულყოფილად შევსებისა და რეგისტრაციის შემთხვევაში, ოპერატორი/შემსრულებელი შესაბამის ფორმაზე გადასვლით აგენერირებს პასუხს.

განცხადების შესასრულებლად ოპერატორს უმეტეს შემთხვევაში შესაძლებელია დაჭირდეს დამატებითი აღრიცხვის პროგრამული მოდულის გამოყენება.

მაგალითისთვის შეგვიძლია განვიხილოთ სხვადასხვა შინაარსის საბაჟო ნებართვების მოთხოვნის სერვისი:

შემოსავლების სამსახური გასცემს სხვადასხვა სახის საბაჟო ნებართვებს, რომლის მისაღებად იმპორტიორმა - გადასახადის გადამხდელმა უნდა შეავსოს წინასწარ განსაზღვრული განცხადების ფორმა, აუცილებელი შესავსები ველების და აუცილებლად წარსადგენი დოკუმენტების გათვალისწინებით და წარადგინოს/გადააგზავნოს შემოსავლების სამსახურის შესაბამის უწყებაში (საბაჟო დეპარტამენტის საქვეუწყებო ერთეულში).

ამ სახის განცხადების შესასრულებლად შემსრულებელმა, განცხადების განხილვის და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ნებართვების აღრიცხვის რეესტრში უნდა გაატაროს გადამხდელის მოთხოვნა და ასახოს განცხადებაში მითითებული ველები. შესასრულებელი სამუშაოს გამარტივების მიზნით მიღებული იქნა გადაწყვეტილება განცხადების დათვალიერების ფორმიდან სათანადო პროგრამული მოდულის, ამ შემთხვევაში „ნებართვების აღრიცხვის“ მოდულის ავტომატური გამოძახება. რაც საშუალებას აძლევს ოპერატორს მარტივად გადავიდეს შესაბამის

მოდულზე, რომელსაც სისტემის მიერ ავტომატურად გადაეცემა გადამხდელის განმსაზღვრელი პარამეტრები და ყველა საჭირო ველი, რომელიც იღებს მონაწილეობას ნებართვის ფორმირებაში. შედეგად სისტემა გადაიტანს ნებართვის ჩამოსაყალიბებლად საჭირო ყველა აუცილებელ ველს შევსებულს, მხოლოდ მისანიჭებელი ექნება ნებართვის ნომერი, რასაც სისტემა ახორციელებს მონაცემების შენახვის მომენტში და შემსრულებელს ეძლევა რეგისტრირებული ნებართვის ამობეჭდვის ან საბეჭდი ფაილის დათვალიერების საშუალება, აღნიშნული ქმედებების წარმატებით განხორციელების შემდეგ სისტემა აგენერირებს გადამხდელისთვის გასაგზავნ პასუხს, თანდართული ნებართვის ფორმით.

რიგ განცხადებებზე შემსრულებლის მიერ პასუხის მომზადება და მომსახურების გაწევის შესრულება საჭიროებს ხელმძღვანელი პირის თანხმობას, ვიზირებას. მას შემდეგ რაც შემსრულებელი განიხილავს განცხადებას და მიიღებს გადაწყვეტილებას მომსახურების გაწევის თაობაზე, მოამზადებს გადასახადის გადამხდელისთვის გასაგზავნ პასუხს და განსაზღვრავს განცხადების სავარაუდო სტატუსს, თანხმობის მისაღებად, ვიზირებისთვის მომზადებულ პასუხს უგზავნის ხელმძღვანელს, რომლის დასტურის შემთხვევაში ოპერატორის მიერ წინასწარ განსაზღვრული დადებითი ან უარყოფითი პასუხი ეგზავნება გადასახადის გადამხდელს პირად ვებ პორტალზე, ასევე სისტემის მიერ, მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით ეცნობება განცხადების დასრულების თაობაზე.

გადასახადის გადამხდელისთვის დასრულებულ განცხადებაზე პასუხის მიღება შესაძლებელია, გადამხდელის გვერდიდან - შესრულებულ განცხადებებში სტატუსით ან განცხადების ნომრით ძებნის განხორციელების შემდეგ ან უნიკალური ნომრის და შტრიხკოდის მიხედვით განახორციელოს ძებნა ავტორიზაციის გაუვლელად და მიიღოს ინფრომაცია, დაათვალიეროს მის სახელზე გაგზავნილი პასუხი.

შესრულებულ განცხადებაზე, სტატუსის მიუხედავად, მიბმული პასუხის დათვალიერება შესაძლებელია თანამშრომლის გვერდიდან,

რისთვისაც თანამშრომელს აქვს შესაძლებლობა განახორციელოს ძეგნა კონკრეტული გადამხდელის, მოთხოვნილი სერვისის ან განცხადების ნომრის მიხედვით, და დაათვალიეროს, ამობეჭდოს განცხადებაზე გაგზავნილი პასუხი თანდართული დოკუმენტებით. აღნიშნულ ქმედებას თანამშრომელი განახორციელებს ადგილზე მისული გადამხდელისთვის პასუხის ხელზე ჩაბარების მიზნით, თანამშრომლის მიერ ამ ოპერაციის შესრულებისას სისტემაში ფიქსირდება განცხადებაზე პასუხის გაცნობის თარიღი, ასევე სისტემაში ორგანიზებულია განცხადების ჩაბარების აღრიცხვის მოდული, ელექტრონულად პასუხის მიმღები გადამხდელის, უფლებამოსილი პირის ხელმოწერის დაფიქსირებით.

*ინფორმაციული გვერდი თანამშრომლებისათვის* მოიცავს ინფორმაციას თანამშრომლის შესახებ, მის პირად მონაცემებს, მის მიმდინარე სტატუსს განცხადებების სერვისში, იმ განცხადებების რეესტრს რომელთა შესრულებაზე ეკისრება პასუხისმგებლობა.

ელექტრონულ განცხადებებს, შესრულების მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით, ენიჭება სტატუსები, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია განისაზღვროს განცხადების მდგომარეობა დროის კონკრეტულ მომენტში. აღნიშნული სტატუსების საშუალებით სისტემის მომხმარებელი იღებს ინფორმაციას, თუ რა სტადიაზე იმყოფება კონკრეტული განცხადება. განცხადებების მოძრაობის და შესრულების პროცესიდან გამომდინარე სისტემა ითვალისწინებს შემდეგი სახის სტატუსებს:

მიღებული - შემოსავლების სამსახურში წარდგენილი (გადამხდელის ან შემოსავლების სამსახურის თანამშრომლის მიერ შევსებული, დარეგისტრირებული და წარდგენილი) განცხადება, რომელსაც მინიჭებული აქვს უნიკალური ID ნომერი, სისტემის მიერ განსაზღვრულია შემსრულებელი;



დახარვეზებული - შემოსავლების თანამშრომლის, შემსრულებლის მიერ განხილული და დახარვეზებული განცხადება, რომელზეც მომზადებულია პასუხი, სადაც მითითებულია დახარვეზების მიზეზი, თუ რა დოკუმენტი აკლია განაცხადს შესასრულებლად. აღნიშნული პასუხი გაგზავნილია გადასახადის გადამხდელთან და ელოდება ხარვეზის გამოსწორებას, დამატებითი დოკუმენტების ხელახლა წარდგენას ამავე განცხადებით;

ელოდება დამტკიცებას - განცხადება, რომელსაც აქვს ვიზირების ბილიკი, შემსრულებლის მიერ მომზადებულია პასუხი, არჩეულია სათანადო სტატუსი, გადაგზავნილია ბილიკის შესაბამისად ვიზირებისთვის ხელმძღვანელთან და ელოდება შესაბამისი პირისგან სათანადო რეაგირებას;

დამტკიცებული - განცხადება, რომელსაც აქვს ვიზირების ბილიკი, შემსრულებლის მიერ მომზადებულია პასუხი, უფლებამოსილი პირისგან დავიზებული განცხადება;

უარყოფილი - განცხადება, რომლის შესრულებაზე შემსრულებლის ან სისტემის მიერ ეთქვა უარი მომსახურების ფასის გადაუხდელობის გამო;


დადებითი - განცხადება, რომელზეც სერვისით მოთხოვნილი მომსახურება შესრულებულია წარმატებით და შემსრულებლის მიერ დაკმაყოფილებულია მოთხოვნა;

უარყოფითი - განცხადება, რომლის შესრულებაზე შემსრულებლის ან სისტემის მიერ გაცემულია უარყოფითი პასუხი, მოთხოვნილი მომსახურება არ შესრულდება დადებითად გარკვეული კონკრეტული მიზეზის გამო, რომლის მითითება ხდება პასუხში.


გაუქმებული - განცხადება, რომლის მოთხოვნაზე რეგისტრაციის შემდეგ ითქვა უარი და მოთხოვნა გააუქმა გადასახადის გადამხდელმა ან შემოსავლების სამსახურის თანამშრომელმა გადამხდელის მოთხოვნით.

### 3.4 მენეჯერის ინტერფეისი

სისტემაში ორგანიზებულია შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელი პირებისათვის მენეჯერის ინტერფეისი. აღნიშნული ინტერფეისი მოიცავს სხვადასხვა სახის რეპორტებს, საიდანაც მენეჯერს შეუძლია მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია მის დაქვემდებარებაში მყოფ სტრუქტურულ ერთეულში შემოსული და შესრულებული დავალებების შესახებ, როგორც სტატისტიკური რეპორტის, ასევე რეესტრის სახით.




ცხრილი N2. 2012 წელს გადმოგზავნილი განცხადებების სტატისტიკა  
მარეგისტრირებული ორგანოების მიხედვით



ცხრილი N3. 2012 წელს გადმოგზავნილი განცხადებების სტატუსები, თვეების მიხედვით

მენეჯერს შესაძლებლობა აქვს მიიღოს სტატისტიკური ინფორმაცია დროის პერიოდში შესრულებული სამუშაოების შესახებ: მომსახურების სახის, რეგიონალური ცენტრების, კონკრეტული თანამშრომლების მიხედვით შესრულებული ან შეუსრულებელი დავალებების შესახებ. მიიღოს ინფორმაცია დედლაინების თაობაზე, კონტროლზე აიყვანოს ვადაგადაცილებული განცხადებები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები.



ცხრილი N4. 2012 წელს შემოსული განცხადებებიდან ავტომატური განცხადებების სტატისტიკა

ასევე მენეჯერს აქვს შესაძლებლობა, „შესასრულებელი დავალებების“ გვერდში მიიღოს ვიზირებაზე წარდგენილი განცხადებები, განიხილოს და დაავიზოს გადაწყვეტილების მიღების შესაბამისად. უარყოფითი ვიზის შემთხვევაში განცხადება კვლავ უბრუნდება შემსრულებელს განსახილველად, ხოლო დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში პასუხი ეგზავნება გადასახადის გადამხდელს პირად ვებ გვერდზე.

ხელმძღვანელ პირს საშუალება აქვს მართოს მის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების სისტემაში ჩართულობა. საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის, დეკრეტის, შვებულების და სხვა მიზეზით სამსახურიდან განთავისუფლების შემთხვევაში თანამშრომელი გახადოს პასიური, გამორთოს თანამშრომელი განცხადებების აღრიცხვის სისტემიდან, რის საფუძველზეც ახალი განცხადებები გადანაწილდება აქტიურ თანამშრომლებზე. პირადი გადაწყვეტილების თანახმად სისტემის მიერ სამართლიანობის პრინციპით თანამშრომელზე დაწერილი განცხადება

გადააწეროს სხვა შემსრულებელს. აღნიშნული სერვისი გამოიყენება თანამშრომლის საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის ან დროებით სამსახურდანი გათავისუფლების დროს, რათა არ დაირღვეს განცხადების შესრულების სავადო თარიღები.

მენეჯერებისთვის სისტემაში ორგანიზებულია დამატებითი სერვისი, რომელიც უფლებას აძლევს ხელმძღვანელს მოახდინოს ცვლილება გადამხდელისთვის უკვე წარდგენილ პასუხზე. იმ შემთხვევაში თუ ჩათვლის საჭიროდ მას შესაძლებლობა აქვს ჩაანაცვლოს უკვე გაგზავნილი პასუხი. სისტემა ითვალისწინებს და იძლევა შეტყობინებას იმის თაობაზე უკვე გაეცნო თუ არა გადასახადის გადამხდელი მის მიმართ გაგზავნილ დასაკორექტირებელ პასუხს. პასუხის კორექტირების თაობაზე გადამხდელი იღებს დამატებით შეტყობინებას და კორექტირებული პასუხის გაცნობის საშუალება ეძლევა პირად ვებ გვერდზე. საგულისხმოა რომ თავდაპირველი პასუხი ასევე ინახება მონაცემთა სისტემაში და მისი დათვალიერება შესაძლებელია, სისტემის ყველა მომხმარებლისათვის.

## თავი IV. სისტემის მართვა, დანერგვა და მხარდაჭერა

### 4.1. სისტემის მართვის საშუალებები

ელექტრონული განცხადებების სერვისში ახალი განცხადების დამატება, აწყობა შესაძლებელია პროგრამულ კოდში სპეციალისტის ჩარევის გარეშე, სისტემის ადმინისტრატორის ინტერფეისის დახმარებით. საიდანაც ასევე შესაძლებელია სისტემის მომხმარებლების რეგისტრაცია და მათი პოზიციებისა და უფლებების განსაზღვრა. სისტემის მომხმარებლის რეგისტრაციისას მიეთითება მისი სამუშაო ადგილი და თანამდებობა, ასევე მობილური ტელეფონის (კორპორაციული) ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი, რათა მოხდეს შემდგომ მასზე დაწერილი დავალებების შესახებ შეტყობინების გაგზავნა. ასევე ხდება ჩართვა ყველა იმ განცხადების, რომლის შესრულებზეც პირია პასუხისმგებელი.

ახალი განცხადების აწყობისას აუცილებელია შემდეგი სახის მონაცემების არსებობა:

- განცხადების დასახელება - შინაარსიდან გამომდინარე მარტივად აღსაქმელი და მარტივად მოსაძებნი სათაურით;
- თემატურად ჯგუფის მითითება - განცხადების შინაარსის მიხედვით, თემატური ჯგუფის განსაზღვრა;

დღეისათვის არის 50-ამდე არე და ქვეარე, სადაც გაერთიანებულია განცხადებები თემების მიხედვით. შემდეგი ძირითადი არეებია:

- ✓ თანხების კორექტირება - არეში შედის ისეთი ტიპის განცხადებები, რომლის შევსებით და გადაგზავნიდან გადასახადის გადამხდელს შესაძლებლობა აქვს მოითხოვოს თანხების დარიცხვა/შემცირება; თანხის გადატანა გადასახადის ერთი სახეობიდან სხვა სახეობაში; ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება

✓ სალარო აპარატები/ჩგდ/ა.ფაქტურა - გადასახადის გადამხდელს შესაძლებლობა აქვს აღნიშნულ არეში მოიძიოს განცხადებები, რომლითაც შეეძლება საგადასახადო ანგარიშ ფაქტურებზე სხვადასხვა ოპერაციის ჩატარება; GPRS საკონტროლო-სალარო აპარატების რეგისტრაცია/მისამართის ცვლილება ან გაუქმება; ასევე ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტის (ჩგდ) რეგისტრაცია/გაუქმება;

✓ ყადაღა/ინკასო/გირავნობა - საგადასახადო კოდექსის გათვალისწინებით თუ რის საფუძველზე ითხოვს გადასახადის გადამხდელი გირავნობა/იპოთეკის გაუქმებას; საბანკო ანგარიშებზე წარდგენილი საინკასო დავალების მოხსნას ან/და ყადაღის მოხსნას ქონებაზე

✓ სტატუსები/სერტიფიკატები/ცნობები - არეში გაერთიანებულია ყველა ის განცხადება, რომლის საშუალებითაც გადასახადის გადამხდელს შესაძლებლობა აქვს მიიღოს სერტიფიკატები, რომელსაც გასცემს შემოსავლების სამსახური; შეავსოს განაცხადი და ისარგებლოს შეღავათიანი სტატუსებით და მიიღოს ცნობა

✓ საბაჟო, გეზი - გაერთიანებულია ის განცხადებები, რომლებიც დაკავშირებულია საბაჟო ოპერაციებთან, როგორცაა წინასწარი დეკლარირება, გამარტივებული დეკლარირება, განაცხადი მომსახურებაზე შპს „ჯორჯიან რეილვეი ტრანსკონტეინერი“ და სხვა.

✓ Prive - პირადი მრჩეველი - არეში განთავსებულია განცხადება, რომლის საშუალებითაც გადასახადის გადამხდელს შესაძლებლობა აქვს მოითხოვოს პირადი საგადასახადო მრჩეველი, რომელიც ხელშეკრულების ვადებში ვალდებული იქნება აცნობოს საგადასახადო საბაჟო ორგანოებში მიმდინარე საკანონმდებლო სიახლეები და დაეხმაროს ორგანიზციას საბუთების მოწესრიგებაში

✓ სათამაშო ბიზნესი - აღნიშნულ არეში გაერთიანებულია ყველა ის განცხადება რომელიც საგადასახადო კოდექსის მიხედვით შედის სათამაშო ბიზნესში. ასეთებია: ლატარიის მოწყობა, მოსაკრებლის გადახდა, მოწყობის პირობებში ცვლილებების შეტანა, სათამაშო ბიზნესის მოწყობის შესახებ

ნებართვის აღება/გაუქმება, ნებართვისათვის თუ რა ინფორმაციის წარდგენაა საჭირო საგადასახადო ორგანოში, გადამხდელი ავსებს ობიექტის ცვლილების შესახებ შესამაბის განცხადებას, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა, ფუნქციონირების დროებით შეწყვეტა/განახლება და ასევე წამახალისებელი გათამაშების მოწყობის შესახებ განცხადებები

✓ სტაციონარული ობიექტები - გაერთიანებულია განცხადებები ლუქების მოთხოვნა/ობიექტების დალუქვაზე; ნავთობპროდუქტების რეალიზაცია

✓ აქციზური მარკა -გადასახადის გადამხდელს შესაძლებლობა აქვს წარადგინოს განცხადება აქციზური მარკების შეძენის შესახებ

✓ საბაჟო საწყობები და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტები

✓ რეგისტრაცია - გადასახადის გადამხდელს შესაძლებლობა აქვს შეავსოს ყველა ის რეგისტრაციის ფორმა, რომელსაც აწარმოებს შემოსავლების სამსახური

✓ სასაქონლო ინვენტარიზაცია/ჩამოწერა - გადასახადის გადამხდელის მიერ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ბუღალტრულ ნაშთან დაკავშირებული პროცედურები

✓ საგადასახადო შემოწმება - გადასახადის გადამხდელს შესაძლებლობა აქვს მოითხოვოს არაგეგმიური შემოწმება

✓ არქივიდან მასალების გამოთხოვა - გადასახადის გადამხდელის მიერ შემოსავლების სამსახურის შესაბამის ორგანოში წარდგენილი მასალების მისაღებად მოთხოვნილი განცხადებები გაერთიანებულია აღნიშნულ არეში

• განცხადების ტიპის არჩევა - განცხადების დამრეგისტრირებლის და შემსრულებლის განსაზღვრა

✓ ღია სერვისი - განცხადების დარეგისტრირება შესაძლებელია ყველა ტიპის მომხმარებლისთვის, როგორც შემოსავლების სამსახურის თანამშრომლის, და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლის, ასევე ვებ-გვერდიდან გადასახადის გადამხდელის მიერ;



✓ ავტომატური - განცხადება შესასრულებლად არ ნაწილდება შემოსავლების სამსახურის თანაშრომელებზე, შევსებული ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში გადამოწმებით გენერირდება სათანადო პასუხი;

✓ ღია მხოლოდ შემოსავლების სამსახურისთვის - განცხადების დარეგისტრირება შესაძლებელია, მხოლოდ შემოსავლების სამსახურის თანაშრომლების მიერ. ასეთი სახის სერვისის მისაღებად აუცილებელია ადგილზე მისვლა და სათანადო დოკუმენტების ადგილზე მიტანა;

✓ სპეციალური ტიპის განცხადებები - აღნიშნული ტიპის განსაზღვრით, რეგისტრირებული განცხადებები შესასრულებლად დაეწერება სხვა უწყების (საქართველოს რკინიგზა, საკონტროლო სალარო აპარატების რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი კომპანიები) თანაშრომლებს, რომელთაც შემოსავლების სამსახური სერვისით უგზავნის სათანადო მონაცემებს.

✓ შესასრულებლად დაეწეროს განცხადების რეგისტრატორ ოპერატორს - განცხადებების დარეგისტრირება შესაძლებელია, მხოლოდ შემოსავლების სამსახურის სერვის ცენტრების თანაშრომლების მიერ და დარეგისტრირებული განცხადება, ოპერატიულად გადაწყვეტის მიზნით, ეწერება შესასრულებლად იმავე ოპერატორს.

✓ ღია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის - აღნიშნული სერვისით განცხადების რეგისტრაცია შესაძლებელია განახორციელოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანაშრომლებმა;

✓ საკონტროლო სალარო აპარატების გაუქმება - კონკრეტული სახის განცხადება, რომელსაც ასრულებენ შემოსავლების სამსახურთან ხელშეკრულებით წინასწარ განსაზღვრული კომპანიები, ასეთი სახის განცხადების რეგისტრაციის უფლება ცალსახად განსაზღვრულია, განცხადების რეგისტრაციის შემდეგ განცხადება ხდება ავტომატური და სისტემა ასრულებს რა სათანადო ქმედებას (აღნიშნულ შემთხვევაში რეგისტრაციიდან ხსნის ძველი ტიპის საკონტროლო სალარო აპარატებს) ავტომატურად აგენერირებს პასუხს;

- განცხადების ველების ჩამონათვალი და მოკლე აღწერა აუცილებელი ველების მითითებით;

განცხადების ველები შესაძლებელია იყოს ტექსტური, ციფრული, თარიღის ფორმატი-კალენდარი, ველიდან ჩამოშლადი, ასარჩევი მონაცემებით, ან დოკუმენტის ასატვირთი ველი; განცხადების შედგენისას საჭიროა განისაზღვროს ასეთი ველების შინაარსი და მოკლე ტექსტური წარწერა, იმის თაობაზე თუ რა სახის ინფრომაცია უნდა შეივსოს ამა თუ იმ ველში.

ჩამოშლადი და ასარჩევი ველების წარმოებისთვის სისტემას გააჩნია ინსტრუმენტი, რომელიც ახორციელებს სხვადასხვა სახის მასივების გენერირებას. მაგ. ზომის ერთეულები, დეკლარაციის ტიპები, გადასახადის სახეები. რაც თავის მხრივ ქმნის ცნობარების ერთობლიობას, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია სხვადასხვა განცხადების გენერაციისას.

- განცხადების შესახებ მოკლე ინფორმაცია - ინფორმაცია მიეთითება „დამატებითი ინფორმაციის“ სახით კონკრეტულ განცხადებებზე, საიდანაც გადამხდელმა უნდა მიიღოს მოკლე და ამომწურავი სახის ინფორმაცია, კონკრეტული განცხადების თაობაზე. კერძოდ აღნიშნულ ინფორმაციაში აღწერილია თუ რა სახის მომსახურების მიღებაა შესაძლებელი აღნიშნული განცხადების დარეგისტრირებით და რა საჭირო დოკუმენტები და საბუთებია აუცილებელი მომსახურების მისაღებად.

- განცხადების რეგისტრაციის ფორმა (შაბლონი) - განცხადების შინაარსი, ყველა იმ აუცილებელი თუ არა აუცილებელი ველის მითითებით, რომელიც დაეხმარება შემსრულებელს განახორციელოს მომსახურების გაწევა. აღნიშნული შინაარსის განცხადება ამოიბეჭდება განცხადების რეგისტრაციის შემდეგ, მასში დეტალურად უნდა იყოს გაწერილი შესაბამისი მოთხოვნის თაობაზე.

- განცხადების პასუხის ფორმა (შაბლონი ასეთის არსებობის შემთხვევაში) -სისტემაში შესაძლებელია წინასწარ განისაზღვროს პასუხების შესაძლო ტექსტური ვარიანტები სხვადასხვა სტატუსისათვის:

- ა) დადებითი პასუხი;

- მაგალითად „თქვენი განცხადება დაკმაყოფილებულია საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება გაუქმებულია“;

- ბ) უარყოფითი პასუხი;

- მაგალითად „ვინაიდან გერიცხებათ საგადასახადო დავალიანება, თქვენი განცხადება არ დაკმაყოფილდა“;

- გ) შუალედური პასუხი;

- მაგალითად „გთხოვთ, წარმოადგინოთ მომსახურების გაწევის გადახდის ქვითარი“.

- განცხადების მარეგისტრირებლის განსაზღვრა:

- ა) საგადასახადო გადამხდელის ვებ გვერდიდან დასარეგისტრირებელი განცხადებები;

- ბ) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლის გვერდიდან დასარეგისტრირებელი განცხადებები;

- გ) შემოსავლების სამსახურის თანამშრომლის გვერდიდან დასარეგისტრირებელი განცხადებები;

- დ) სხვა უწყების თანამშრომლებისათვის ვებ გვერდიდან.

- შემსრულებლების განსაზღვრა - განცხადების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი ან პირთა წრე, თუ ვის უნდა დაეწეროს კონკრეტული განცხადება შესასრულებლად;

- სისტემაში შესაძლებელია შემსრულებლების განსაზღვრა, როგორც კონკრეტული სერვისის მიხედვით, ასევე შესაძლებელია მოხდეს სერვისების

დაჯგუფება და თანამშრომელს მის მიერ დაკავებული პოზიციიდან გამომდინარე ავტომატურად განესაზღვროს სერვისების ერთობლიობა.

მაგალითისთვის განვიხილოთ შემოსავლების სამსახურის რეგიონული ცენტრების ფუნქცია, მოვალეობები, რომლის თანახმად ამ სექტორში მომუშავე თანამშრომლებს შესასრულებლად ეწერებათ 59-მდე სხვადასხვა სახისა და შინაარსის განცხადება. სერვისცენტრში დასაქმებულთა რაოდენობა აღემატება 200 თანამშრომელს. ადმინისტრირების გამარტივების მიზნით შემოღებული იქნა „სერვისცენტრის ჯგუფის“ განსაზღვრება, რაც თავის თავში მოიცავს 59-მდე სერვისის ერთობლიობას. ამრიგად სერვისცენტრის სპეციალისტის თანამდებობაზე თანამშრომლის გაწერით, ხორციელდება მხოლოდ ერთი ფუნქციის განსაზღვრა, თანამშრომელზე ხდება „სერვისცენტრის ჯგუფის“ ჩართვა, რაც ავტომატურად იწვევს თანამშრომლისთვის 59 სხვადასხვა დასახელების განცხადების გაწერას.

- განცხადების ბილიკი - განცხადების მოძრაობის გზა, თუ რა იერარქიული საფეხური უნდა გაიაროს განცხადებამ შესასრულებლად.

განცხადება შესაძლებელია სრულდებოდეს შემსრულებელთან, რომელიც თავად იღებს გადაწყვეტილებას მომსახურების გაწევის თაობაზე ან განცხადების შესასრულებლად საჭირო იყოს ხელმძღვანელი პირების (პირების) ჩართვა და განცხადების ვიზირებაზე გაგზავნა.

განცხადების ბილიკში თანამშრომლები გაწერილია იერარქიული საფეხურის თანმიმდევრობის მიხედვით და განცხადება გადის წინასწარ განსაზღვრულ საფეხურებს შემსრულებლიდან ვიზის დამდებ პირამდე, ასეთი შესაძლოა იყოს ორი ან ორზე მეტი პირი.

- განცხადების ვადები და ტარიფები - შესრულების ვადები და ტარიფები განსაზღვრულია 2010 წლის 30 მარტის საქართველოს მთავრობის N96 დადგენილებით - „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ [3].

აღნიშნულის მიხედვით დაინტერესებული პირი ვალდებულია პირადად ან მესამე პირის მეშვეობით გადაიხადოს დადგენილი მომსახურების საფასური მომსახურების გაწევამდე.

ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ მომსახურების გაწევისათვის დადგენილი საფასურის გადახდისაგან თავისუფლდება საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახური, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭო, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი ვადაგადაცილებულ საგადასახადო და სასესხო დავალიანებათა რესტრუქტურის მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი კომისია, საქართველოს პროკურატურა, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ეროვნული ბანკი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან სასამართლოში საგადასახადო დავაზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა ხორციელდება საფასურის გარეშე. შემოსავლების სამსახურის მიერ არის დადგენილი „ოქროს სია“, რომლის მონაწილე პირისათვის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებასა და გაფორმებასთან დაკავშირებული, ამ დადგენილებით განსაზღვრული მომსახურების გაწევისას მომსახურების საფასური გადახდილი შეიძლება იქნეს მომსახურების გაწევიდან 30 დღის განმავლობაში.

მომსახურების გაწევისათვის საფასურისგან განთავისუფლებულია: საქონლის იმპორტი სტიქიური უბედურების, ავარიისა და კატასტროფის ლიკვიდაციის, აგრეთვე ჰუმანიტარული დახმარების მიზნით; საქონლის იმპორტი, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით გრანტის შესახებ, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრული წესით; უცხო ქვეყნების დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების ოფიციალური სარგებლობისათვის, აგრეთვე ამ წარმომადგენლობების დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური

პერსონალის (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონელი; ეროვნული და უცხოური ვალუტის (გარდა ნუმისმატიკური მიზნებით გამოსაყენებლად გათვალისწინებულის) და ფასიანი ქაღალდების იმპორტი; საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ტრანზიტი; საქონლის ექსპორტი და გარე გადამუშავება; საქონლის დაბრუნება, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 235-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში; იმ საქონლის დროებითი შემოტანა, რომელიც სრულად გათავისუფლებულია იმპორტის გადასახდელებისაგან; სახმელეთო საზღვარზე განთავსებულ საბაჟო გამშვებ პუნქტში ფიზიკური პირის მიერ საბაჟო დეკლარაციით იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში გაცხადებული 3 000 ლარამდე საბაჟო ღირებულების საქონლის გაფორმება; საფოსტო გზავნილით შემოტანილი, 10 000 ლარამდე ღირებულების საქონლის გაფორმება (გარდა „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ 99-ე გრაფით გათვალისწინებული მომსახურებისა); საწყობის სასაქონლო ოპერაციაში საქონლის გაფორმება (გარდა „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ 99-ე გრაფით გათვალისწინებული მომსახურებისა); შენახვის სხვა ადგილზე სპეციალური სატვირთო საბაჟო დეკლარაციით საწყობის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული ავტონაწილების იმპორტი ან რეექსპორტი.

იმ შემთხვევაში თუ გადასახადის გადამხდელის ინიციატივით მოთხოვნილ იქნა საგადასახადო შემოწმების ჩატარება, პირი უფლებამოსილია მომსახურების საფასური გადაიხადოს საგადასახადო შემოწმების ჩატარებაზე საგადასახადო ორგანოს თანხმობის მიღებიდან 5 დღის ვადაში.

მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირებზე, აგრეთვე ინდივიდუალურ მეწარმეებზე, ფიზიკური პირის ქონების გადასახადის წლიურ დეკლარაციაზე, აგრეთვე იმ საგადასახადო დეკლარაციებზე,

რომელთა საგადასახადო ორგანოში ელექტრონული ფორმით წარდგენა ვერ ხორციელდება შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის არარსებობის გამო სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის დადგენილი საფასურები არ ვრცელდება.

ხოლო საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების სამმართველოში და გაფორმების ეკონომიკურ ზონებში მომსახურების გაწევისათვის დადგენილი ტარიფები ორმაგდება საქონლის არასამუშაო დროს დეკლარირების განხორციელების შემთხვევაში, გარდა „ფოთის“ და „ბათუმის“ გაფორმების ეკონომიკური ზონის მიერ გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის ან კონტეინერით შემოტანილ სატრანსპორტო საშუალებაში განთავსებული საქონლის გაფორმების მიზნით საბაჟო დეკლარაციის შევსებისა.

არასამუშაო დროს მომსახურების გაწევისათვის დადგენილი ტარიფები არ ორმაგდება იმ პირისათვის, რომელსაც „ოქროს სიის“ მონაწილის სტატუსი მინიჭებული აქვს შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

სტანდარტულად უფასო განცხადებისთვის, რომლის ტარიფიც არ არის გაწერილი საქართველოს მთავრობის დადგენილებაში მოქმედებს 10 დღიანი ვადა, არის ასევე გამონაკლისები, მაგალითად ავრტომატური განცხადებები და სხვა რომელთა ვადა განისაზღვრება უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

## **4.2. დანერგვა და მხარდაჭერა**

ელექტრონული განცხადებების საინფორმაციო სისტემის პროექტის ფორმირების პროცესში წინასწარ განისაზღვრა სისტემის შესაქმნელად საჭირო ყველა ეტაპი, პროცესის, მოთხოვნების, განცხადებების შინაარსის შესწავლა, ალგორითმის გამართვა, ცხრილების და პროცედურების

ფორმირება, პროგრამული მოდულების შექმნა, სისტემის ტესტირება. სისტემის დამკვეთთან შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებული იქნა სატესტო-საპილოტო ვერსიის გაშვების სავადო თარიღები. დაიგეგმა სისტემის დანერგვის და მხარდაჭერის ორგანიზების საკითხები.

აღნიშნული პროექტის განხორციელებისათვის შესწავლილი იქნა მოთხოვნები, შეხვედრები გაიმართა საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტის თანამშრომლებთან, რომლებიც უშუალოდ ახდენენ სხვადასხვა სახის განცხადებებით მოთხოვნილი სერვისების შესრულებას. შესწავლილი მოთხოვნების მიხედვით გაიწერა პროცესები, ჩამოყალიბდა განცხადების სახეები, დაიგეგმა სისტემის ფორმირების მიმართულებები და შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებული იქნა ყველა პროცესი და პროექტის განხორციელების ვადები, პროექტის წარმატებით განხორციელების ერთ ერთ მნიშვნელოვან ნაწილად მოიაზრება მისი დანერგვის და შემდგომი მხარდაჭერის საკითხი. პირველ ეტაპზე დაინერგა განცხადებების აწყობის და მართვის სისტემა, რომლის მოქნილი ინტერფეისის დახმარებით უმოკლეს დროში განხორციელდა 200-მდე განცხადების ჩამოყალიბება, შეიქმნა და გაიწერა შიდა მომხმარებლების უფლება-მოვალეობები. ტესტირების პროცესში განხორციელდა სისტემის საცდელი ვერსიის გაშვება, ტესტირების რეჟიმში მიღებული და გათვალისწინებული იქნა სისტემის მომხმარებლების მიერ მოწოდებული მოთხოვნები და შენიშვნები სისტემის მიმართ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოქმედ სისტემაში გათვალისწინებული იქნა მოსალოდნელი ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობები, დღეისათვის არსებულ სისტემაში ცვლილებების ჩატარება და ახალი მოთხოვნების ორგანიზება არ მოითხოვს პროგრამულ კოდებში ცვლილებების განხორციელებას.

შემუშავდა და დაიწერა პროცესუალური დავალება, სადაც დაწვრილებით გაიწერა განცხადების რეგისტრაციის და შემდგომ მისი შესრულებისთვის საჭირო დეტალები. განისაზღვრა სამუშაო ჯგუფი, შეიქმნა



პროგრამის მოხმარების სახელმძღვანელო თითოეული ინტერფეისსათვის, გადამხდლებისათვის ჩაიწერა და ვებ გვერდზე განთავსდა ვიდეო სახელმძღვანელოები.

დაიგეგმა და განხორციელდა თანამშრომლების გადამზადება, ეტაპობრივად ჩაუტარდათ სწავლება, საბაჟო და საგადასახადო სექტორში მომუშავე თანამშრომლებს. მოხდა გადასახადის გადამხდლების ინფორმირება აღნიშნული სისტემის ფუნქციონალის თაობაზე, შემოსავლების სამსახურში გამართული „ღია კარის“ დღეებზე გაიმართა სისტემის პრეზენტაცია, სადაც გადასახადის გადამხდლებს შესაძლებლობა მიეცათ ონ-ლაინ რეჟიმში ენახათ პროგრამის მუშაობის თავისებურებები და გაცნობოდნენ ფუნქციონალს.

ელექტრონული განცხადებების სისტემის დანრეგვის შემდეგ სისტემის მხარდაჭერას ახორციელებს შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფი, ასევე გადამხდლებისათვის მუშაობს შემოსავლების სამსახურის სატელეფონო ცენტრი - „ცხელი ხაზი“, რომელიც ყოველდღიურად ეხმარება და უწევს კონსულტაციებს გადასახადის გადამხდლებს და შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებს. მხარდაჭერის სამსახური აღრიცხავს და არეგისტრირებს სისტემის ფუნქციონირებისას წარმოშობილ ინციდენტებს და ითვალისწინებს რა მომსახურებაზე სწრაფად რეაგირების აუცილებლობას, უზრუნველყოფს ინციდენტების დროულად გადაჭრის საკითხებს. ასევე ახდენს ახალი მოთხოვნების ინიცირებას, რომელთა შესწავლის შემდეგ ხორციელდება მოთხოვნების გათვალისწინება სისტემის ფუნქციონალში.

## დასკვნა

თანამედროვე სამეცნიერო თუ სპეციალურ ნაშრომებში მთავარი აქცენტი კეთდება მიზანდასახული სისტემების ორგანიზებაზე.

სადისერტაციო ნაშრომში აღწერილი ელექტრონული განცხადებების სისტემის პროექტის შემუშავების და დანერგვის მიმდინარეობის საფუძველზე, შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი ძირითადი დასკვნები:

განხორციელდა განცხადებების ელექტრონულად წარდგენის, შემსრულებელთან ავტომატურად გადანაწილების, განხილვის და პასუხების გაგზავნის სისტემა. აღნიშნული სისტემის შექმნა არამართო საქართველოში, არამედ სხვა წამყვანი ქვეყანებისთვისაც სიახლეს წარმოადგენს. აღნიშნული სისტემის ავტომატიზაცია განახორციელა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა. შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის პროექტების დაგეგმვისა და მართვის სამმართველომ შეისწავლა აღნიშნული ამოცანის დეტალები და დაიწერა ტექნიკური დავალება პროგრამისტებისათვის, სადაც დროში გაწერილი იყო ეტაპოვრივად შესასრულებელი დავალებები, რაშიც მონაწილეობა მივიღე, როგორც ანალიტიკოსმა. ასევე ეტაპოვრივად განვახორციელეთ პირველადი ტესტირება შესრულებული სამუშაოების, მომზადდა სახელმძღვანელოები თითოეული ინტერფეისისათვის და გადამხდლებისათვის ჩაიწერა და ვებ გვერდზე განთავსდა ვიდეო სახელმძღვანელოები. ვახდენთ ახალი მოთხოვნების ინიცირებას და დავალების მომზადებას მოსალოდნელ/განსახორციელებელ ცვლილებებზე. ვახორციელებთ განახლებული პროგრამის ლოგიკის ტესტირებას.

ელექტრონული განცხადებების დანერგვამ გამოიწვია შემოსავლების სამსახურსა და გადასახადის გადამხდელებს, მომხმარებლებს შორის ურთიერთობების წარმოების გამარტივება, დროისა და სახსრების დაზოგვა, მოთხოვნებზე სწრაფი რეაგირება, დოკუმენტების ქალაქის ფორმატში

წარმოების აღმოფხვრა, მომსახურების ცენტრებში რიგების შემცირება, აღარ არის სხვა მონაწილე უწყებებში წასვლის საჭიროება. ადამიანური ფაქტორის მინიმუმამდე დაყვანამ, გადამხდელებსა და საგადასახადო/საბაჟო ადმინისტრაციის მუშაკებს შორის კონტაქტის შემცირებამ, ხელი შეუწყო კორუფციის აღმოფხვრას და შესაბამისად გამოიწვია სანდოობის გაზრდა.

მომზადდა პროგრამული უზრუნველყოფის უფრო სწრაფი ინტერფეისი, დოკუმენტების რეალურ დროში წარდგენის შესაძლებლობა, რომელიც იძლევა რესურსების უფრო ეფექტურად მართვის საშუალებას. შემოსავლების სამსახურმა მომხმარებლებს შესთავაზა საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრაციასთან ურთიერთობების უფრო მოსახერხებელი და გამჭვირვალე ფორმა, რომელიც ხელს უწყობს ქვეყანაში ბიზნესპროცესების სწრაფად მიმდინარეობას.

სისტემა ემსახურება 400 000-ზე მეტ სისტემის გარე (გადასახადის გადამხდელები, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საქართველოს რკინიგზა და სხვა) და შიდა (შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები) მომხმარებელს. წელიწადში სისტემის საშუალებით მუშავდება 365000-მდე ელექტრონული განცხადება, თვეში საშუალოდ 31000. განცხადების დამუშავების მინიმალური პერიოდი 1 წუთი მაქსიმალური 2010 წლის 30 მარტის საქართველოს მთავრობის N96-ე დადგენილებით განსაზღვრული ვადა (10 დღე), დამოკიდებულია განცხადების სირთულეზე და პროცესზე.

მომსახურების მისაღებად მომხმარებელს საჭიროა ქონდეს მხოლოდ ინტერნეტთან და პორტალთან წვდომა ან შესაძლებლობა აქვს მომსახურება მიიღოს ნებისმიერ ახლო მდებარე სერვისცენტრში.

აღნიშნული პროექტი ქვეყნის სტრატეგიის ნაწილია და შესაბამისად მისი წარმატებული მიმდინარეობა ქვეყნის წარმატებაა.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი
2. საქართველოს მთავრობის დადგენილება N96 2010 წლის 30 მარტი
3. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ - საქართველოს მთავრობის დადგენილება N96 2010 წლის 30 მარტი
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის ტექნიკური დავალება
5. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის ფუნქციონალური სპეციფიკაცია
6. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N994 ბრძანება
7. შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის ბრძანება N2742 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“
8. 2013 წლის 26 ივნისის N29176 ბრძანებულებით „სსიპ - შემოსავლების სამსახურში საგადასახადო მონაცემთა ავტომატიზირებული სისტემის მეშვეობით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის დოკუმენტის დადასტურების რისკის კრიტერიუმებისა და ამ პროცედურაში საგადასახადო ორგანოს მონაწილეობის პირობების განსაზღვრის შესახებ.“
9. Аруп Нанда и Стивен Фейерштейн – „Oracle PL/SQL для администраторов баз данных“ - 2008
10. СКОТТ УРМАН, РОН ХАРДМАН, Майкл МакЛафлин - „ORACLE DATABASE 10g. Программирование на языке PL/SQL“ 2006

11. Томас Кайт - „Oracle: Эффективное проектирование приложений“ – 2006
12. Джон Джермейни, Дональд К. Бурлесон – „Настольная книга по администрированию Oracle Application Server 10g“ – 2006
13. Oliver Sturm „Functional Programming in C#: Classic Programming Techniques for Modern Projects“ - 2011
14. ITIL - (IT Infrastructure Library) The Official Introduction to the ITIL Service Lifecycle
15. ITIL V3 Service\_Strategy, ITIL V3 Service\_Design, ITIL V3 Service\_Transition
16. ITIL V3 Service\_Operation, ITIL V3 Service\_Improvement
17. შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებ გვერდი <http://www.rs.ge>
18. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის ბრძანება №303 - საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ
19. საქართველოს კანონი შემოსავლების სამსახურის შესახებ
20. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ